

ყოველთვიური ჟურნალი მენარმეზისა და ფინანსისტებისათვის

№7 (307) 2025

ISSN 1512-083X

გამოდის 2000 წლის იანვრიდან

ა	უდიტი
ა	ლრიცხვა
ფ	ინანსები
i	ინფო კონსულტანტი

კლუს

დამოუკიდებელი გამოცემა


**იკითხეთ „ააფის“ ფურცლებზე –
 მაკა ხარაზიშვილი: ინტერვიუ შემოსავლების სამსახურის
 იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
 ლაშა კობერიძესთან**

ჟურნალის პარტნიორი –



გამომცემელი შპს „ააფ-მენეჯმენტი“

PUBLISHER "AAF-MANAGEMENT" LTD



შ ი ნ ა ა რ ს ი

მარიამ აფრასიძე

საგადასახადო და საფინანსო სფეროსთან დაკავშირებული საკანონმდებლო სიახლეები: ივლისი-2025 3

მაკა ხარაზიშვილი

ინტერვიუ შემოსავლების სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ლაშა კობერიძესთან 8

თემურ იობაშვილი

საერთაშორისო არბიტრაჟში წაგებული საქმეები და ქვეყნისთვის დაკისრებული ჯარიმა 15

თემურ იობაშვილი

საქართველოში ინფლაცია გრძელდება 19

ლევან ნატროშვილი

ქვეყანაში ხორბლის წარმოება იზრდება, მაგრამ ყველა უკმაყოფილოა – ინდუსტრია, ფერმერი და პურის მცხობელიც 23

მაკა ხარაზიშვილი

ქართველი მოსამართლეების ქონებრივი დეკლარაციები 26

კითხვა-პასუხი

შრომის ბირჟა ფინანსისტებისათვის 42

ფრიდონ კერვალიშვილი

როგორია NATO-სა და რუსეთს შორის თანაფარდობა იარაღის წარმოებაში 44

უცხოური ვალუტის კურსები

55

გენერალური დირექტორი: ფრიდონ ალშიბაია.

მთავარი რედაქტორი: გიორგი ცერცვაძე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

„აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების“ სარედაქციო კოლეგია: თემურ იობაშვილი (მთ. რედაქტორის მოადგილე), მარიამ აფრასიძე, ფრიდონ კერვალიშვილი (ელექტრონული ვერსიის რედაქტორი), მაკა ხარაზიშვილი.

„კითხვა-პასუხის“ განხილვის საბჭო: ფრიდონ ალშიბაია (საბჭოს თავმჯდომარე), ლევან ასანიძე, ნონა ბერძენიშვილი, ბექა დოლონაძე, ნიკოლოზ ედიბერიძე, ნათია უჩანეიშვილი, გოგა ფარასტაშვილი, ფარნაოზ ნულაია.

იურისტ-კონსულტანტი: გიორგი ბოჭორიშვილი.

გამომცემელი: შპს „აფ-მენეჯმენტი“, რეგისტრირებულია 06.09.1999 წ. საიდენტიფიკაციო კოდი 211390074. ა/ა № GE59PC0133400100000050 „პროკრედიტ ბანკში“, ბ/კოდი MIBGGE22.

მისამართი: ქ. თბილისი, 0177, ვაჟა-ფშაველას გამზ. № 41, III და IV სართული.

ტელ.: 239-33-50, 239-33-47, 239-33-69, 239-57-26.

სარეკლამო სამსახური: (599) 111-001. რეალიზაციის სამსახური: (593) 32-27-05, (597) 69-57-57.

ელ. ფოსტა: info@aaf.ge ვებგვერდი: www.aaf.ge

„ამგვარად, შევახსენებ ყველა ვაჭარს და ვურჩევ მას, ჩათვალოს სიამოვნებად წიგნების სწორი და კარგი წარმოება, ხოლო ვისაც არ აქვს ამის უნარი, მან, დაე, ისწავლოს, ანდა აიყვანოს თავისთვის ნამდვილად ყოჩაღი და პრაქტიკული ახალგაზრდა ბუღალტერი, ვინაიდან სხვაგვარად შენი საქმენი იქცევიან ქაოსად და ბაბილონის გოდოლად, რასაც შენ, თუ სახელი და ქონება შენთვის ძვირფასია, უნდა უფროთხოდე“.

ბენედეტო კოტრული, „სავაჭრო ბუღალტერიის შესახებ“. 1573 წ.

„აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების“ და „ბიზნესი და მენეჯმენტის“

მკითხველთა საყურადღებოდ!

მიმდინარეობს ჩვენი ჟურნალების 2025 წლის გამოწერის კამპანია!

12 თვით ხელმოწერის (12 „ააფი“ + 2 „ბიზნესმენი“) ღირებულებაა 120 ლარი.

თანხა შეგიძლიათ ჩარიცხოთ მითითებულ რეკვიზიტებზე და შემდეგ დაუკავშირდეთ ჩვენს მენეჯერს, რომელიც მოგაწვდით ინვოისსა და გამოწერის დამადასტურებელ ბლანკს.

ჩვენი საბანკო რეკვიზიტებია:

შპს „ააფ-მენეჯმენტი“, საიდენტიფიკაციო № 211390074,

ა/ა № GE59PC0133400100000050 „პროკრედიტ ბანკში“, ბ/კოდი MIBGGE22.

დაგვირეკეთ: 239-33-47 (რეალიზაციის სამსახური თბილისში); (593) 32-27-05; (597) 69-57-57; (599) 11-10-01; (599) 13-72-19.

27-10-93, (595) 55-87-83 (ბათუმი); (579) 31-02-02 (ქუთაისი)

რეალიზაციის სამსახური: ელზა ოთიაშვილი (სამს. უფროსი), მამუკა ელგენდარაშვილი, ნათელა ჯანიაშვილი, ბაქარ ბასილაშვილი (ბათუმი), ბექა დოლონაძე (ქუთაისი).

დამკაბადონებელი: ლადო ლომსაძე.

საავტორო უფლებები დაცულია. სტატიების გადაბეჭდვა შესაძლებელია მხოლოდ ჟურნალის რედაქციასთან შეთანხმებით. მიღებული მასალები არ რეცენზირდება. რედაქცია შეიძლება არ ეთანხმებოდეს ავტორის აზრს. სტატიებსა და რეკლამებს განთავსებული ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები და რეკლამის განმთავსებლები.

იურიდიული პირების განცხადებები ქვეყნდება მხოლოდ სარეკლამო საწყისებზე. ჟურნალის უფასოდ გადაცემა ხდება მხოლოდ სარეკლამო მიზნით. შპს „ააფ-მენეჯმენტი“ იტოვებს უფლებას, თავისი შეხედულებისამებრ, არ გამოაქვეყნოს ზოგიერთი პირის რეკლამები ან/და განცხადებები.

ფასი – 8.75 ლარი.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.08.2025 წ.

ჟურნალის ტირაჟის ნაწილი 2022 წლიდან ვრცელდება ციფრული ვერსიის სახით (ელექტრონულად).

საკანონმდებლო სიხსლევების მიმოხილვა

საკანონმდებლო სიხსლევების მიმოხილვა – ამ რუბრიკას, რომლის დანიშნულება სახელწოდებიდანაც გასაგებია, ჩვენი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი მარიამ აფრასიძე წარმოგიდგინო.

საბადასახადო და საფინანსო სფეროსთან დაკავშირებული საკანონმდებლო სიხსლევები: ივლისი-2025

საქართველოს საბადასახადო კანონმდებლობაში შემთავნილი ცვლილებების გადასახადების ადმინისტრირების შესახებ

– ფინანსთა მინისტრის მიერ 14.07.2025-ში მიღებული №184 ბრძანების საფუძველზე ცვლილება განხორციელდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ინსტრუქციაში, რომელიც ამოქმედდა მიმდინარე წლის 1 აგვისტოდან.

კერძოდ კი, ინსტრუქციას დაემატა 41³ მუხლი – თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ორგანიზატორის/ადმინისტრატორის მიერ თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოების შესახებ ინფორმაციის წარდგენა.

ბრძანების თანახმად თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ორგანიზატორი ვალდებულია საგადასახადო ორგანოს ელექტრონულად წარუდგინოს ინფორმაცია ამავე ზონაში რეგისტრირებული თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს, მათ შორის, რეგისტრირებული მუდმივი დაწესებულების შესახებ.

კერძოდ კი, არაუგვიანეს 2025 წლის 1 სექტემბრისა საგადასახადო ორგანოს ელექტრონულად წარუდგინოს ინფორმაცია ამავე ზონაში 2025 წლის 1 აგვისტომდე რეგისტრირებული თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს, მათ შორის, რეგისტრირებული მუდმივი დაწესებულების შესახებ.

2025 წლის 1 აგვისტოს შემდეგ რეგისტრირებული პირების შესახებ ინფორმაცია შემოსავლების სამსახურს წარუდგინება არაუგვიანეს თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში საწარმოს რეგისტრაციის თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში რეგისტრირებულ საწარმოთა შესახებ კი წარდგენილ ინფორმაციაში ცვლილების შემთხვევაში – არაუგვიანეს შესაბამისი ცვლილების განხორციელების დღის მომდევნო სამუშაო დღეს.

წარსადაგენ ინფორმაციას განეკუთვნება:

- ა) თავისუფალი ინდუსტრიული ზონის დასახელება და მისამართი.
- ბ) თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი, სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტა.
- გ) თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოდ

რეგისტრაციის თარიღი.

დ) თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს საქმიანობის სახე და აღწერა.

ე) თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოსთვის ორგანიზატორის/ადმინისტრატორის მიერ თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში საქმიანობის უფლების მინიჭების, შეჩერების და შეწყვეტის თარიღი.

ყურადსაღებია რომ, 2025 წლის 1 სექტემბრამდე წარსადაგენ ინფორმაციაში ასევე უნდა აისახოს 2025 წლის აგვისტოს თვის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებები.

მაგალითი: იმ შემთხვევაში თუ თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში საწარმო „X“ დაარეგისტრირდა 2024 წლის 15 იანვარს, ზოლო 2025 წლის 15 აგვისტოს შეუწყდა თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში საქმიანობის უფლება, თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ორგანიზატორი ვალდებულია არაუგვიანეს 2025 წლის 01 სექტემბერს საგადასახადო ორგანოსთვის წარსადაგენ ინფორმაციაში ასახოს საწარმო „X“-ის როგორც რეგისტრაციის, ასევე საქმიანობის უფლების შეწყვეტის შესახებ.

– ფინანსთა მინისტრის 17.07.2025-ში მიღებული №190 ბრძანებით ცვლილება შევიდა „ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის (NCTS)“ გამოყენებით საერთო ტრანზიტის პროცედურის განხორციელების საბაჟო ფორმულებების შესახებ“ ინსტრუქციაში და მისი მოქმედება ვრცელდება 2025 წლის 1 ივლისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ცვლილების მიხედვით, აქციზური საქონლის გადაადგილების შემთხვევაში „სატრანზიტო სისტემაში (NCTS)“ რეგისტრირებული ტრანზიტის დეკლარაციის გამოყენება სავალდებულო არ არის 2026 წლის 1 იანვრამდე.

ზედმეტად გადახდილი გადასახადის ან სანქციის თანხის დაბრუნება

– 25.07.2025-ში შემოსავლების სამსახურმა გამოაქვეყნა სატრანსპორტო საშუალებაზე გადახდილი აქციზისა და იმპორტის გადასახადის თანხის

დაბრუნებასთან დაკავშირებული პროცედურების ავტომატიზაციის შესახებ ინფორმაცია.

აღნიშნულის თანახმად, ფიზიკურ ან იურიდიული პირს (იმპორტიორი), აქვს უფლება დაბრუნოს სატრანსპორტო საშუალებაზე გადახდილი აქციზის და იმპორტის გადასახადი (100 პროცენტის ოდენობით), თუ სატრანსპორტო საშუალების თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების საბაჟო პროცედურაში მოქცევიდან (იმპორტი) 180 კალენდარული დღის განმავლობაში განახორციელდა ამ სატრანსპორტო საშუალების ექსპორტის სასაქონლო პროცედურაში მოქცევა და ამავე ვადაში მისი საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანა.

ამ უფლებით სარგებლობა შეუძლია ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, თუ ის აკმაყოფილებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 189-ე მუხლის მე-8 ნაწილის და 198-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე გათვალისწინებულ მოთხოვნებს. კერძოდ კი, სატრანსპორტო საშუალება (საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 კოდში მითითებული მსუბუქი ავტომობილი; 8711 კოდში მითითებული მოტოციკლი (მოპედის ჩათვლით)) თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების საბაჟო პროცედურაში მოქცევიდან (იმპორტი) 180 კალენდარული დღის განმავლობაში მოექცა ექსპორტის სასაქონლო პროცედურაში და ამავე ვადაში დატოვა საქართველოს ტერიტორია. ამასთან, სატრანსპორტო საშუალების ექსპორტის და საქართველოს საზღვრის დატოვების თარიღებიდან არ უნდა იყოს გასული საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-4 მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა (3 წელი).

თანხის დაბრუნების მიზნით, გადასახადის გადამხდელის მიერ შემოსავლების სამსახურისთვის მიმართვა მოიცავს ორ ეტაპს:

პირველ ეტაპზე – შემოსავლების სამსახურის გადასახადის გადამხდელის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდიდან (www.eservices.rs.ge) წარდგენილ უნდა იქნეს განცხადება „სატრანსპორტო საშუალებაზე დარიცხული და გადახდილი აქციზის და იმპორტის გადასახადის თანხის შემცირება პირადი აღრიცხვის ბარათზე“, რის შემდეგაც მოხდება არსებული მონაცემების კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შესწავლა და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ შესაბამისი შეტყობინება გაეგზავნება გადასახადის გადამხდელს ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე განცხადებაზე პასუხის სახით. იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილება იქნება დადებითი და დაკმაყოფილებდა გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა, მოხდება გადახდილი აქციზის და იმპორტის გადასახადის თანხის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე ასახვა-შემცირება.

მეორე ეტაპზე – გადასახადის გადამხდელს შესაძლებლობა ექნება, პირადი აღრიცხვის ბარათზე შემცირებული აქციზის და იმპორტის გადასახადის

თანხის დაბრუნების მიზნით, ავტორიზებული მომხმარებლის გვერდიდან წარადგინოს „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა“ (ახალი განცხადება) „ზედმეტად გადახდილი გადასახადის ან/და სანქციის თანხის დაბრუნების შესახებ“, საგადასახადო კოდექსის 63-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

ფინანსთა მინისტრის საჯარო გადაწყვეტილება საკუთარი წარმოების შენობის/ნაგებობის ძირითად საშუალებად გამოყენების დღგ-ით დაბეგვრის შესახებ

– ფინანსთა მინისტრის მიერ 21.07.2025-ში მიღებულ იქნა №194 საჯარო გადაწყვეტილება, რომელიც ეხება იმ პირებს, ვინც ბიზნესისთვის შენობას ან ნაგებობას საკუთარი ძალებით აშენებს და შემდეგ იმავე ობიექტს ეკონომიკურ საქმიანობაში იყენებს.

მოცემული გადაწყვეტილება განმარტავს დასაბეგრი პირის მიერ საკუთარი წარმოების შენობის/ნაგებობის ძირითად საშუალებად გამოყენების დღგ-ით დაბეგვრის საკითხებს, კერძოდ კი, საგადასახადო კოდექსის 160-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის გამოყენების პირობებსა და ამ ოპერაციის დღგ-ით დასაბეგრი თანხის განსაზღვრის წესს.

სსკ 160-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ანაზღაურების სანაცვლოდ საქონლის მიწოდებად განიხილება დასაბეგრი პირის მიერ საკუთარი წარმოების – შენობის/ნაგებობის ძირითად საშუალებად გამოყენება, თუ იგი სრულად ვერ მიიღებდა დღგ-ის ჩათვლას ამ შენობის თუ ნაგებობის სხვა პირისგან შეძენის შემთხვევაში.

საკუთარ წარმოებად განიხილება დასაბეგრი პირის მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობის მშენებლობა საკუთარი ძალებით ან სამშენებლო-სამონტაჟო მომსახურების შეძენის გზით. რაც მიიჩნევა ე.წ. „თვითმიწოდებად“ და დღგ-ის დაბეგვრის საგნად განიხილება იმ შემთხვევაში, თუ მისი სხვისგან შეძენისას გადამხდელს სრულად არ ექნებოდა დღგ-ის ჩათვლის უფლება.

ოპერაციის დღგ-ით დაბეგვრა ხდება დასაბეგრი პირის მიერ მისი წარმოებული ძირითადი საშუალების ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენების დაწყების მომენტში (მომენტში, როდესაც დასაბეგრი პირი ფაქტობრივად იწყებს საკუთარი წარმოების შენობის/ნაგებობის ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებას, მისი დანიშნულების შესაბამისად).

დაბეგვრა მხოლოდ იმ შემთხვევაში გავრცელდება, თუ ერთდროულად კმაყოფილებდა სამი ძირითადი პირობა:

1. **შენობა/ნაგებობა წარმოებულია თვითონ გადამხდელის მიერ** – ეს ნიშნავს, რომ ის აშენდა მის საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, თავისი ძალებით ან შეძენილი სამშენებლო

მომსახურებით.

2. შენობა/ნაგებობა ფაქტობრივად გამოიყენება ეკონომიკურ საქმიანობაში – მისი დანიშნულების შესაბამისად.

3. დღგ-ის ჩათვლის უფლება შეზღუდულია – ე.ი. გადამხდელს არ ექნებოდა დღგ-ის სრულად ჩათვლის შესაძლებლობა, თუკი აღნიშნული ობიექტი შექმნილი იქნებოდა სხვა დღგ-ის გადამხდელი პირისგან.

დღგ-ით დაბეგვრისას გათვალისწინებული იქნება მხოლოდ იმ საქონლისა და მომსახურების ღირებულება, რომელიც უშუალოდ უკავშირდება შენობის/ნაგებობის მშენებლობას.

საგულისხმოა, რომ მიწის ღირებულება დაბეგვრის ობიექტში არ შედის, ვინაიდან მიწის მიწოდება დღგ-სგან გათავისუფლებულია და არ წარმოადგენს შენობის წარმოების ხარჯს.

გადაწვევები პრაქტიკაში მნიშვნელოვანი იქნება მათთვის, ვინც საკუთარი რესურსებით აშენებს ბიზნესსაქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას – მაგალითად, საწარმოო, კომერციულ ან საოფისე სივრცეებს.

დამატებითი ღირებულების გადასახადის ბიუჯეტში სწორად ასახვისა და შესაძლო საგადასახადო რისკების თავიდან ასაცილებლად გადამხდელმა ყურადღებით უნდა გადაამოწმონ, აკმაყოფილებენ თუ არა ზემოთ ჩამოთვლილ სამივე კრიტერიუმს.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შმტანის შესახებ

– 26.06.2025-ში მიღებული და 04.07.2025-ში გამოქვეყნებული №791-III-XI მ. კანონის საფუძველზე ცვლილებები შევიდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში.

შედეგად 2025 წლის 1 აგვისტოდან კოდექსის 57¹ მუხლით, 57³ მუხლის მე-2-მე-5 ნაწილებით, 57⁴, 63-ე, 66-ე, 66²-66⁵ და 79¹-79³ მუხლებით, 79⁴ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 79⁵ და 79⁷-79⁹ მუხლებით, 86-ე მუხლის მე-12 ნაწილით, იმავე მუხლის შენიშვნის მე-5 და მე-6 ნაწილებითა და 86³ და 159⁵-159⁹ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელი შეიძლება დაედოს შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენის დღიდან არაუგვიანეს 6 თვისა.

აღნიშნული მუხლები ეხება წიაღით სარგებლობას სათანადო ლიცენზიის გარეშე, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის ან წიაღით სარგებლობის ლიცენზიის პირობების დარღვევას, ხეტყის დამზადებისას ტყითსარგებლობის წესების დარღვევას, საქმიანობის განხორციელებას გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარეშე და სხვა.

ამ კანონით კოდექსს დაემატა ახალი 79⁹ მუხლი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული ექსპლუატაციის პირობის

ცვლილება ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილების გარეშე, რომელიც ამოქმედდება მიმდინარე წლის 1 აგვისტოდან.

ამ მუხლის შესაბამისად, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული ექსპლუატაციის პირობის ცვლილება ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილების გარეშე – გამოიწვევს დაჯარიმებას 7 000 ლარიდან 10 000 ლარამდე, განმეორებით ჩადენა კი გამოიწვევს დაჯარიმებას 14 000 ლარის ოდენობით.

ასევე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფლებამოსილ თანამშრომლებს აქვთ ამ კოდექსის 48-ე, 49-ე, 51-ე-51², 51⁴-53², 54-ე, 54¹, 55¹, 55⁴, 56-ე და 57-ე-57⁵ მუხლებით, 58-ე მუხლით (გარდა ამ კოდექსის 58-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებისა), 58¹, 58³, 59-ე, 59³, მე-60, 60³, 61¹, 63-ე-65-ე, 66-ე-69-ე, 69⁴-69⁶, 71-ე, 71¹, 72¹-77-ე, 78-ე და 79¹-79³ მუხლებით, 79⁴ მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 ნაწილებით, 79⁵ მუხლით, 79⁶ მუხლით (ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებების იმპორტის ნაწილში), 79⁷-79⁹ და 82¹-82⁴ მუხლებით, 82⁵ მუხლით (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების წარმოების ნაწილში), 84-ე-85⁵ მუხლებით, 86-ე მუხლით (გარდა ამ კოდექსის 86-ე მუხლის მე-10 და მე-11 ნაწილებისა), 86², 87¹-87³ და 89-ე-89³ მუხლებით, 91³ მუხლის მე-3 ნაწილით, 103¹, 119² და 128²-128⁶ მუხლებით, 151-ე მუხლით (გარდა ამ კოდექსის 151-ე მუხლის მე-3 ნაწილისა) და 181⁶ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელის დადების უფლება.

საზინანსო სფეროში შმტანილი ცვლილებები

– ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ 04.07.2025-ში მიღებული №165/04 ბრძანებით, ცვლილება შევიდა „მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ ამავე პირის 2024 წლის 14 თებერვლის №34/04 ბრძანებაში.

წესს დაემატა 8¹ მუხლი – დამოუკიდებელი აუდიტორის შერჩევა, რომლის მიხედვითაც ლიკვიდაციის პროცესში მყოფი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ქონების/ აქტივის შეფასებას განახორციელებს დამოუკიდებელი აუდიტორი, რომლის შერჩევა მოხდება ლიკვიდატორის მიერ და შერჩეული კანდიდატი წარედგინება ეროვნულ ბანკს წერილობითი თანხმობის მისაღებად.

დამოუკიდებელი აუდიტორი შესაძლოა იყოს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი და უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

– ფლობდეს საშემფასებლო საქმიანობისთვის შესაბამის და შეფასების დამოუკიდებლად და ეფექტურად განხორციელებისთვის საჭირო კვალიფიკაციას, ცოდნას, უნარებს, გამოცდილებასა და შესაბამის რესურსებს.

– იყოს დამოუკიდებელი როგორც ლიკვიდაციის პროცესში მყოფი მიკროსაფინანსო ორგანიზაციისგან, ასევე ეროვნული ბანკისგან ამ მუხლის მე-8–მე-10 პუნქტების შესაბამისად.

– არ უნდა ჰქონდეს ინტერესთა კონფლიქტი ლიკვიდაციის პროცესში მყოფ მიკროსაფინანსო ორგანიზაციასთან, ეროვნულ ბანკთან ამ მუხლის მე-11–მე-14 პუნქტების შესაბამისად.

ეროვნული ბანკის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში ლიკვიდატორსა და დამოუკიდებელ აუდიტორს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომლითაც დამოუკიდებელ აუდიტორს განესაზღვრება შეფასების განხორციელების ვადა, კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება და შეფასებასთან დაკავშირებული სხვა საჭირო საკითხები.

შეფასების განხორციელებისას დამოუკიდებელი აუდიტორი:

– არ უნდა დაექვემდებაროს ინსტრუქციებსა და მითითებებს მიკროსაფინანსო ორგანიზაციისგან და ეროვნული ბანკისგან.

– არ უნდა მიიღოს ფინანსური ან სხვა სახის სარგებელი მიკროსაფინანსო ორგანიზაციისგან და ეროვნული ბანკისგან.

დამოუკიდებელ აუდიტორს არ უნდა ჰქონდეს არსებითი მიმდინარე ან პოტენციური ინტერესთა კონფლიქტი მიკროსაფინანსო ორგანიზაციასთან და ეროვნულ ბანკთან.

ინტერესთა კონფლიქტი გულისხმობს, სულ მცირე, შემდეგ პირებთან ინტერესთა კონფლიქტს:

ა) მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ადმინისტრატორები.

ბ) მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი ან სხვაგვარად მაკონტროლებელი პირები.

გ) ეროვნული ბანკის მიერ ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე იდენტიფიცირებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მნიშვნელოვანი კრედიტორები.

არსებით ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა:

ა) დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ მიმდინარე ან წარსულში გაწეული მომსახურება მიკროსაფინანსო ორგანიზაციისთვის ან/და ამ მუხლის მე-12 პუნქტში მითითებული პირებისთვის და გაწეული მომსახურების კავშირი შეფასებისთვის რელევანტურ საკითხებთან; ამასთან, მიმდინარე არსებით ინტერესთა კონფლიქტად ითვლება, თუ პირმა შეფასების განხორციელების წინა საანგარიშო წლისთვის, განახორციელა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის აუდიტორული შეფასება;

ბ) პირადი („საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავი) ან პროფესიული ურთიერთობა დამოუკიდებელ აუდიტორსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციას ან/და ამ მუხლის მე-12 პუნქტში მითითებულ პირებს შორის;

გ) საინვესტიციო ან სხვა არსებითი ფინანსური ინტერესის არსებობა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიმართ დამოუკიდებელი აუდიტორის მხრიდან;

დ) სხვა გარემოება, თუ ლიკვიდატორის შეფასებით მას შეუძლია დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ შეფასების განხორციელებაზე გავლენის მოხდენა.

თუ აუდიტორი იურიდიული პირია, ამ შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს ნებისმიერი სტრუქტურული გამიჯვნა, რომელსაც შეუძლია აუდიტორის დამოუკიდებლობაზე გავლენის მქონე ფაქტორების აღმოფხვრა, მათ შორის, იმ თანამშრომლების გამორიცხვა, რომლებიც ჩართული იყვნენ მომსახურების განხორციელებაში.

– ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ 09.07.2025-ში მიღებული №168/04 ბრძანებით, ცვლილება შევიდა „ვალუტის გადამცვლელი პუნქტებისა და მათი დირექტორების მიმართ ფულადი ჯარიმების ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესში“.

შედეგად, ვალუტის გადამცვლელი პუნქტი დაჯარიმდება 2 000 ლარით, თუ პუნქტის/ფილიალის მიერ დაირღვა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით დამტკიცებული „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესით“ განსაზღვრული შემდეგი მოთხოვნები და ვალდებულებები:

– მე-3, მე-4 და მე-9 მუხლებით განსაზღვრული სარეგისტრაციო პირობები.

(მუხლი 3. რეგისტრაციის პირობები. მუხლი 4. გადაწყვეტილება რეგისტრაციის თაობაზე. მუხლი 9. პუნქტის შემოწმება).

– მე-6 მუხლის პირველი პუნქტით, მე-7 მუხლის პირველი პუნქტითა და მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მომხმარებელთა ინფორმირებასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

– მე-8 მუხლით განსაზღვრული პუნქტის/ფილიალის ვიდეომეთვალყურეობის სისტემასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

– რეგისტრაციისა და რეგულირების წესით განსაზღვრული სხვა ვალდებულებები.

ადმინისტრატორი, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ორგანიზაციის მიერ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიზნებისათვის შესაბამისობის კონტროლის სისტემის დანერგვასთან და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებას ან ეროვნული ბანკის წერილობითი მითითებების და განსაზღვრული მოთხოვნების შესრულებას, დაჯარიმდება – 3 000 ლარის ოდენობით.

– 21.07.2025-ის №175/04 ბრძანებით, ცვლილება განხორციელდა „ანგარიშვალდებული პირის მიერ კლიენტის მფლობელობისა და კონტროლის სტრუქტურის შესწავლის და ბენეფიციარი მესაკუთრის

იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის წესში“.

ბრძანების თანახმად, ანგარიშვალდებული პირის მიერ კლიენტის მფლობელობისა და კონტროლის სტრუქტურის შესწავლის და ბენეფიციარი მესაკუთრის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის წესის მოქმედება გავრცელდება „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ ანგარიშვალდებულ პირებზე.

წესით განისაზღვრება ანგარიშვალდებული პირის მიერ კლიენტის მფლობელობისა და კონტროლის სტრუქტურის შესწავლის და ბენეფიციარი მესაკუთრის იდენტიფიკაციის და ვერიფიკაციის მიზნით მოსაპოვებელი საიდენტიფიკაციო მონაცემები, ინფორმაცია და დოკუმენტები, აგრეთვე ამ მონაცემების, ინფორმაციისა და დოკუმენტების აღრიცხვის, განახლების, დამოწმებისა და შენახვის წესი.

მფლობელობისა და კონტროლის სტრუქტურის შესწავლა უნდა წარიმართოს წესით განსაზღვრული სანდო წყაროების გამოყენებით. ნაკლები რისკის დონისთვის მიკუთვნებული კლიენტის მფლობელობისა და კონტროლის სტრუქტურის შესწავლის მიზნით, ანგარიშვალდებული პირს აქვს უფლება გამოიყენოს ამ წესით განსაზღვრული სანდო წყაროებისგან განსხვავებული სანდო წყაროები.

ანგარიშვალდებულმა პირმა, ნაკლები რისკის არსებობის შემთხვევაში, ბენეფიციარი მესაკუთრის იდენტიფიკაციის მიზნით, სულ მცირე, უნდა მოიპოვოს მისი სახელი და გვარი, მოქალაქეობა და ერთ-ერთი საიდენტიფიკაციო მონაცემი.

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების ნაკლები რისკების არსებობისას, მფლობელობისა და კონტროლის სტრუქტურის შესწავლა და ბენეფიციარი მესაკუთრის ვერიფიკაცია შესაძლებელია დასრულდეს საქმიანი ურთიერთობის დამყარების შემდეგ, თუ ეს აუცილებელია კლიენტის მომსახურების შეფერხების თავიდან ასაცილებლად. ამ შემთხვევაში

მფლობელობისა და კონტროლის სტრუქტურის შესწავლა და ბენეფიციარი მესაკუთრის ვერიფიკაცია უნდა დასრულდეს გონივრულ ვადაში, არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა საქმიანი ურთიერთობის დამყარებიდან.

ანგარიშვალდებულმა პირებმა 2025 წლის 1 სექტემბრამდე უზრუნველყონ საკუთარი შიდა კონტროლის პოლიტიკისა და წესების შესაბამისობა ამ ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებთან.

იხილეთ ასევე:

– 11.07.2025-ის მთავრობის №255 დადგენილება, „მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ამავე პირის 2020 წლის 10 აპრილის №235 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

– 11.07.2025-ის მთავრობის №252 დადგენილება, „საქართველოში სარეალიზაციოდ განკუთვნილი თამბაქოს ნაწარმისა და მისი შეფუთვის სტანდარტიზების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ 2022 წლის 16 მაისის №257 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

– 01.07.2025-ის მთავრობის №240 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტის ფრინველის ხორცის მარკეტინგული მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ ამავე პირის 2019 წლის 18 ივლისის №340 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

– 08.07.2025-ის ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №166/04 ბრძანება, „აქტივების მმართველი კომპანიისა და მისი მმართველი ორგანოს წევრების მიმართ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ კანონმდებლობის დარღვევისთვის ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის დამტკიცების შესახებ“.

მარიამ აფრასიძე

ვისაც შემოსავალი ლარში აქვს, უცხოურ ვალუტაში სესხის აღება შეეზღუდათ

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მათ, ვისაც ეროვნულ ვალუტაში აქვს შემოსავალი, 1 აგვისტოდან 750,000 ლარის ეკვივალენტი სავალუტო სესხის აღება შეუზღუდა.

ეროვნულმა ბანკმა ეს გადაწყვეტილება 28 მაისს მიიღო და განმარტა, რომ ეს ცვლილება მიმართულია საბანკო კრედიტების დოლარიზაციის შემცირებისკენ.

ეროვნულმა ბანკმა სავალუტო სესხების ზღვარი 2025 წლის 1 იანვრიდანაც გაზარდა და დღემდე ის 500,000 ლარს შეადგენდა. 2024 წელს კი ეს ზღვარი 200,000 ლარიდან 400,000 ლარამდე გაზარდა, შესაბამისად დღეს მიღებული გადაწყვეტილება ამ პოლიტიკის ნაწილია და ის ზღვრის კიდევ 250,000 ლარით ზრდას მოიცავს.

საბანკო სექტორში დაკრედიტების ზრდის ტემპი შედარებით შენელებულ მაჩვენებელზე ნარჩუნდება. ივნისში კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელის ზრდის ტემპმა 15.5% შეადგინა.

ბოლო მონაცემებით კი, საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანი საკრედიტო პორტფელი 64.7 მილიარდ ლარს შეადგენს, საიდანაც ლარზე 57.1% მოდის, წლიურ ჭრილში კრედიტების ლარიზაცია 2.76 პროცენტული პუნქტით არის გაზრდილი.

სტუმარი

სტუმარი – ამ რუბრიკის მეშვეობით ჩვენი ჟურნალი გაგაცნობთ ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში (როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორში) მონაწილე პიროვნებებს.

ინტერპიუ შემოსავლების სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ლაშა კობერიძესთან

ლაშა კობერიძე – დაიბადა 1989 წლის 28 იანვარს ქ. თბილისში.

ბანათლება

2006-2010 წლები – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი (ბაკალავრი), სპეციალობა – ბიზნესი და მართვა, მოდული – ფინანსები და საგადასახადო საქმე.
2010-2012 წლები – საერთაშორისო ურთიერთობების სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტი (მაგისტრი), სპეციალობა – კერძო სამართალი.

სამუშაო გამოცდილება

- 19.08.2021–დღემდე – შემოსავლების სამსახურის იურიდიული დეპარტამენტი, დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.
- 03.10.2014–დღემდე – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აკადემია, საგადასახადო კურსების ტრენერი.
- 07.07.2020–დღემდე – საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF), TADAT Trained ექსპერტი.
- 05.02.2021–19.08.2021 – შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტი, მსხვილ გადამხდელთა ოფისის (LTO) ხელმძღვანელი.
- 25.03.2019–05.02.2021 – შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტი, საგადასახადო შემონმების სამმართველოს უფროსი.
- 15.02.2018–25.03.2019 – შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტი, გასვლითი საგადასახადო შემონმების სამმართველოს უფროსის მოადგილე.
- 20.08.2016–15.02.2018 – შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტი, ხარისხის კონტროლის სამმართველო, ჯგუფის მენეჯერი.
- 07.2015–08.2015 – ავსტრიის ფინანსთა სამინისტრო (The Austrian Ministry of Finance), სტაჟირება (Vienna, Graz, Salzburg).
- 06.06.2013–20.08.2016 – შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტი, ხარისხის კონტროლის სამმართველო, მთავარი ექსპერტ-აუდიტორი.
- 15.11.2011–06.06.2013 – შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტი, შემონმების მთავარი სამმართველო, გასვლითი საგადასახადო შემონმების უფროსი, აუდიტორი.
- 01.04.2011–15.11.2011 – შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტი-აუდიტორი
- 15.02.2011–15.05.2011 – შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრი, კამერალური შემონმების განყოფილება, საგადასახადო ოფიცერი.
- 06.11.2010–15.02.2011 – შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრი, მომსახურების დეპარტამენტი. სტაჟიორი.



ჰყავს მეუღლე და შვილი.

- მაღლობა ინტერვიუსთვის, ბატონო ლაშა. საგადასახადო და აუდიტის მიმართულებით, თქვენ მნიშვნელოვან რეფორმებსა და გადაწყვეტილებებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული. ამიტომ საინტერესოა თქვენი პოზიციის გაზიარება ამ საკითხებთან დაკავშირებით. თუმცა, სანამ პროფესიულ კითხვებზე გადავალთ, მოგვიყვით თქვენ შესახებ.

– დასაწყისში ვიტყვი, რომ კმაყოფილი ვარ ჩემი ცხოვრებით და ვამაყობ ჩემი განვლილი გზით. 1989 წლის 28 იანვარს თბილისში დავიბადე. დავამთავრე 117-ე საშუალო სკოლა. საკმაოდ ბევრითი მოსწავლე ვიყავი. სკოლაც კარგი იყო. იმ პერიოდში ექსპერიმენტული სწავლება დაინერგა. მეშვიდე კლასიდან ტექნიკური და ჰუმანიტარული მიმართულებები გამოცხადდა. მათემატიკა ძალიან მიყვარდა, ეს ოჯახიდანაც მომეყვებოდა, დედამ ჩემი მთავარი ბუღალტერი იყო. ასე რომ, მე-7 კლასიდან ტექნიკური მიმართულებით გავაგრძელე სწავლა და 11 კლასი შედარებით გაძლიერებული მათემატიკის სწავლებით დავამთავრე. სწავლა გავაგრძელე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე. მოდულად ფინანსები და საგადასახადო საქმე ავირჩიე, მაშინვე გადაწყვეტილი მქონდა, რომ ფინანსისტი გავმხდარიყავი. საგადასახადო მიმართულებითაც ძალიან კარგი ლექტორები მყავდა. უნივერსიტეტში სწავლის პარალელურად ვმუშაობდი და იმ 4 წელში ძალიან დიდი გამოცდილება მივიღე. ჯერ 2 წელი ბუღალტრად დავსაქმდი. სხვადასხვა მცირე კომპანიას ბუღალტრულ აღრიცხვას ვუკეთებდი. საკმაოდ დატვირთული დღეები იყო, მაგრამ ის პროცესი მომწონდა. მგონია, ცხოვრებაში რაც ბევრს აკეთებ, უფრო მეტის ძალა და ენერჯია გეძლევა. საკმაოდ ღირებული გამოცდილება დავაგროვე საქართველოს საბანკო ასოციაციასთან არსებულ საბანკო სწავლების ცენტრში და ცოტა ხნით ბანკშიც ვიმუშავე საკრედიტო მენეჯერის პოზიციაზე.

2010 წლის გაზაფხულზე შემოსავლების სამსახურში ღია ვაკანსიები გამოცხადდა, საკმაოდ დიდი კონკურენცია იყო, დაახლოებით 1500 განაცხადით სამი ჯგუფი უნდა შეექმნათ, ჯამში 60 ადამიანი. ამ დროს უკვე ბოლო კურსზე ვიყავი. გადავავხანეთ CV-ები, გარკვეული გამოცდილებაც მქონდა, გადასახადები ვიცოდი, ასე თუ ისე ბუღალტრულ თემებთანაც შეხება მქონდა. ამიტომაც შემდეგი პროცედურების გავლა საკმაოდ გამიმარტივდა. ჯერ პროფესიული გამოცდები ჩავაბარეთ, მერე უნარები, 100-დან 85 ქულა იყო გამსვლელი. მესამე ეტაპი მოიცავდა გასაუბრებას სტაჟირებისთვის. ოქტომბერში, სწავლა პოლიციის აკადემიაში დავიწყეთ. თვენახევარში 30 საგანი გავიარეთ, ყოველკვირა გამოცდა გვქონდა. ეს ჩემთვის სასწაულად კარგი სწავლება იყო, დღით 9 საათზე იწყებოდა და საღამოს 6 საათამდე გრძელდებოდა. შემდეგ თბილისის რეგიონულ ცენტრებში გადავწავილეთ. ასე დაიწყო შემოსავლების სამსახურში ჩემი საქმიანობა.

- შემოსავლების სამსახურში თქვენი პირველი სამსახურებრივი პოზიცია რა იყო?

– თავდაპირველად, მუშაობა მომსახურების დეპარტამენტში მონაცემთა დამუშავების განყოფილებაში დავიწყე, ძალიან გამიმართლა ხელმძღვანელშიც. 2011 წელს გადმოვედი აუდიტის დეპარტამენტში, სადაც საერთო ჯამში 10 წელი გავატარე. ეს იყო კამერალური შემოწმებების განყოფილება, ჯერ ვიყავი აუდიტორი, მერე უფროსი აუდიტორი, მთავარი ექსპერტ-აუდიტორი. არსებობდა ხარისხის კონტროლი, რომელიც ალტერნატიული საგადასახადო შემოწმებებისა და აუდიტის დეპარტამენტის აუდიტორების მიერ დაწერილ აქტზე ხარისხის დასკვნას წერდა. იმ დროს ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა კადრი ვიყავი. შემდეგ ხარისხის კონტროლის ჯგუფის უფროსი გავხდი. ორი მიმართულება მქონდა – აუდიტის პროექტები ხარისხობრივად სწორი და გამართული უნდა ყოფილიყო, ასევე ალტერნატიული აუდიტის პროექტის ნაწილშიც კერძო აუდიტორების ხარისხის კონტროლის გადამოწმება მიწვევდა. ამის მერე გასვლით საგადასახადო შემოწმებებში სამმართველოს უფროსის პოზიციაზე გადავედი, შემდეგ საგადასახადო შემოწმების სამმართველოს უფროსად და 2021 წელს კი მსხვილ გადამხდელთა ოფისის ხელმძღვანელი გავხდი. სხვებთან ერთად საკმაოდ დიდი წვლილი მიმიძღვის მსხვილ გადამხდელთა ოფისის ამ ფორმით ჩამოყალიბებაში, იმ პერიოდში პირველად გაერთიანდა აუდიტი და სერვისი. ანუ მანამდე იყო მხოლოდ აუდიტი, დაემატა სერვისი, საკმაოდ კვალიფიციური კადრებით, ჩამოყალიბდა ახალი სტრატეგია, გაიწერა ახალი მიზნები. ეს იყო ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი ეტაპი, 10-წლიანი გამოცდილების დაგვირგვინება.

ეს გახლდათ ერთ-ერთი სამსახური, სადაც მომეცა შესაძლებლობა ჩემი მენეჯერული უნარები სრულფასოვნად გამოემჟღავნებინა – საკითხის დაძვრა, პრობლემის გადაწყვეტა, ერთგვარი ბიუროკრატიული პროცესი, თანამშრომლებთან ურთიერთობა, დაახლოებით 65 ადამიანი მუშაობდა, ყველა ძლიერი აუდიტორი. ეს იყო გუნდურობაზე დაფუძნებული, ძალიან გამჭვირვალე სტრუქტურა.

მსხვილ გადამხდელთა ოფისი ჩამოყალიბდა აუდიტის დეპარტამენტის შიგნით, მსოფლიო პრაქტიკა აჩვენებს, რომ კომპანიებს, რომელიც ბიუჯეტის შემოსავლების დიდ წილს აფორმირებს, შესაძლებელია სპეციფიკური მიდგომა და შემოწმება სჭირდებოდეს. მაგალითად, საწყის ეტაპზე ასეთი 206 კომპანია იყო, რომელიც დაახლოებით ბიუჯეტის შემოსავლების 40 პროცენტს ქმნიდა. კომპანია, რაც უფრო კომპლექსურია, მეტი ოპერაციები აქვს, მის დეკლარაციებს თვალყურის დევნება მეტად სჭირდება, ეს არის მეგობრული მიდგომა. შემოსავლების სამსახურის მხრიდან პრიორიტეტი კანონშესაბამისობის ამაღლებას ენიჭება, რაც ნიშნავს იმას, რომ პირმა მისი კუთვნილი გადასახადი ნებაყოფლობით გადაიხადოს და საგადასახადო შემოწმებით ჩარევა საჭირო არ გახდეს. პირობითად, თუ შენ მაინც და მაინც არ გაქვს რისკი, შენს ვალდებულებებს კეთილსინდისიერად ასრულებ, რეკომენდაციებს

ითვალისწინებ, დეკლარაციებიც არ არის რისკიანი, ურთიერთობაშიც კარგად მოდიხარ, შემოსავლების სამსახური გეუბნება, რომ მეც გეხმარები და შეიძლება მას ბენეფიტებიც შესთავაზონ. მაგალითად, როდესაც გადამხდელი კითხვას სვამს, მას სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უფასოდ უგზავნის პასუხს, უხსნის საკითხს, ეხმარება დეკლარირებაში, აცნობს სიანსებს. ვფიქრობ, ურთიერთდობის არსებობა, ყველასთვის კარგია – სახელმწიფოსთვისაც გადახდის კუთხით, ბიზნესისთვისაც, ერთგვარ დაცულობას გრძობს, რომ მისი ყველა ოპერაცია შესწავლილია, თუკი რაიმე ხარვეზი აღმოჩნდება შემოწმება არ შედის, უპირველესად რეკომენდაციას აძლევს. ეუბნებიან, გაასწორე და ჩვენ გარეშე თავად დაადეკლარირე. ეს აჩვენებს, რომ სამსახურს ჩასაფრებულის პოზიცია არ აქვს. ეს იყო მთავარი იდეა და მიზანი. მსხვილ გადამხდელებთან შეხვედრებიც გაიმართა. მგონია, რომ მათთან ურთიერთობის ფორმატში ეს ერთ-ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო, რასაც შემოსავლების სამსახური ყოველთვის აკეთებს.

პარალელურად, სისტემატურად ემონაწილეობდი საგადასახადო თემატიკასთან დაკავშირებულ სამუშაო ღონისძიებებში, საერთაშორისო შეხვედრებსა და კონფერენციებში, ამასთან სამსახურებრივი მიზნებიდან გამომდინარე ჩართული ვიყავი საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF), ევროკავშირის პროექტის (EU Twinning), დიდი ბრიტანეთის მთავრობის (GGF) და Doing Business 2017-2020 წ. პროექტებში.

- რაც შეეხება იურიდიულ დეპარტამენტს, რომელშიც ახლა მუშაობთ, ამ დეპარტამენტის მთავარი ფუნქცია რა არის?

- იურიდიულ დეპარტამენტში 2021 წლის აგვისტოდან გადავედი. ორი განათლება მაქვს – როგორც ეკონომიკური, ასევე იურიდიული. შესაბამისად, ეს მეორე განათლებაც პრაქტიკაში გამომაღვა. ერთია მათემატიკა, ციფრები და მეორეა კანონმდებლობასთან მუშაობა. დღეს, იურიდიულ დეპარტამენტი ფუნქციურად საკმაოდ დატვირთულია. ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა – საჯარო გადაწყვეტილებები, რომელიც ყველაზე მაღალი ლეგიტიმაციის დოკუმენტია და ამ მიმართულებით საკმაოდ გამოცდილი კადრები გვჭირდება. ზოგადად, დეპარტამენტი ორი მიმართულებით მუშაობს, ერთია სამართლებრივი დოკუმენტების ექსპერტიზა, ეს იქნება ხელშეკრულებები, მემორანდუმები, ცვლილებები, კანონპროექტებარე თუ ნორმატიული აქტები, მთავრობის დადგენილებები, საკმაოდ შრომატევადი საქმეა. მეორე მიმართულებაა – წინასწარი გადაწყვეტილებები. ეს არის შემოსავლების სამსახურის ფასიანი სერვისი, რომელსაც საგადასახადო კოდექსის 47-ე მუხლი არეგულირებს. საკმაოდ კარგი ინსტრუმენტია. გადასახადის გადამხდელს შესაძლებლობა აქვს დააზღვიოს თავისი ბიზნეს-ოპერაცია, გარანტირებული პასუხი ჰქონდეს კონკრეტულ კითხვაზე. სამწუხაროდ, შეიძლება შეიქმნას ისეთი სიტუაცია, რომელზედაც კოდექსის კონკრეტული მუხლი კონკრეტულ კითხვაზე პასუხს არ იძლევა, ან გადამხდელის ოპერაციები იმდენად სპეციფიკურია, რომ დასკვნა პირდაპირ ვერ გამოგაქვს, ან ბუნდოვანების ნაწილი შემოდის, ან ამ კონკრეტულ საკითხზე პრაქტიკის არარსებობაა. გადასახადის გადამხდელს შეუძლია საგადასახადო ორგანოს მიმართოს, აილოს წინასწარი გადაწყვეტილება, რომელიც უშუალოდ თანხმდება შემოსავლის სამსახურის უფროსთან, ასევე ფინანსთა მინისტრთან. ფინანსთა მინისტრის თანხმობით გამოიცემა გადაწყვეტილება, რომელიც აუდიტის თუ შემდგომ რევიზიისთვის, ნებისმიერი საგამოძიებო თუ მაკონტროლებელ ორგანოსთვის, იქ არსებულ გარემოებებს და მონაცემებს ვერ შეცვლის. მთავარია, თქვენ სწორად ჩამოყალიბებული პოზიცია და კითხვები გქონდეთ, სამსახური ამაზე კომპეტენტურად გიპასუხებთ. ის დოკუმენტი თქვენთვის საიდუმლო ინფორმაციაა, მხოლოდ თქვენზე ვრცელდება. შესაბამისად, შეგიძლიათ თქვენი ოპერაციები დაბეგრეთ, იხელმძღვანელოთ ამ წინასწარ გადაწყვეტილებებში მითითებული მექანიზმითა და მეთოდით. როგორც უკვე აღვნიშნე, შემდეგ სხვა ორგანოებს მისი შეცვლა არ შეუძლიათ. ერთადერთი გამონაკლისია, თუ პირობითად, კოდექსის ნორმა შეიცვალა ან რამე ფაქტობრივი გარემოება არასწორად იყო მითითებული. თუ ფაქტობრივი გარემოება სწორადაა მითითებული, კანონმდებლობის ნორმა მოქმედია, ეს გადაწყვეტილება შეიძლება 1 წელი, 5 წელი, 10 წელი, ან სამუდამოდ მოქმედი იყოს. ეს ინსტრუმენტი 2010 წლიდან მოქმედებს, აქვს მაღალი ლეგიტიმაცია და დღემდე საკმაოდ პოპულარულია და ერთ-ერთი ყველაზე კარგი სტატუსით სარგებლობს. ამიტომაც, იურიდიული დეპარტამენტის წინასწარი გადაწყვეტილებების სამმართველოს, ფაქტობრივად, 24/7-ზე გვიწვეს მუშაობა, ახალ პრაქტიკებთან შეჭიდება, ადაპტაცია. ვიყენებთ სხვადასხვა კანონმდებლობას, ვაკეთებთ თარგმანებს. საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, დაახლოებით, 20 ეტაპია გასავლელი. მიხარია, რომ მეც ამ გუნდის წევრი გავხდი და მათ ჩემი გამოცდილებით ვეხმარები.

- ალბათ, ეს დეპარტამენტი ჩართულია საგადასახადო დაგების განხილვის პროცესებშიც. რამდენად ადევენტთ თვალს დაგების განხილვის საბჭოს სხდომებს? ბევრი გადამხდელი და აუდიტორი აღნიშნავენ, რომ ამ ბოლო დროს, დაგების განხილვისას გადამხდელებთან სერიოზული მსჯელობა, კამათი თითქმის აღარ არის. ისმენენ გადამხდელის პოზიციას, რომელიც მას საჩივარში ისედაც უწერია, ერთ-ორ შეკითხვას უსვამენ და მერე არის სტანდარტული პასუხი – ამდენი და ამდენი დღის შემდეგ გაცნობებთ ჩვენს პოზიციას. თქვენი შეფასებით, ეს არის განხილვა?

- როგორც მოგეხსენებათ, დაგები არის ორეტაპიანი, შემოსავლების სამსახურში და ფინანსთა სამინისტროში. შემიძლია, შემოსავლების სამსახურზე მოგახსენოთ, ვინაიდან ჩვენ დეპარტამენტს ფინანსთა სამინისტროსთან ამ

ნაწილში კვთა არ გვაქვს. მე არ ვარ ბოლომდე კომპეტენტური ამ ნაწილში, ვინაიდან დავებთან მუშაობა არ მიწევს, თუმცა ჩემს შეხედულებას გაგაცნობთ იმ დონეზე, რა დონეზეც ამ საკითხში ჩანდელი ვარ. პანდემიის შემდეგ, როდესაც საკითხები ონლაინ განიხილებოდა, ცხადი გახდა, რომ ამ პრაქტიკის გამოყენება შემდეგაც შესაძლებელი იყო. ეს პრეტენზია შეიძლება ნაწილობრივ მისაღები იყოს, ნაწილობრივ, ალბათ, არა. ბევრი საკითხი გადამხდელთან ერთად წყდება, ამას სისტემატური სახე აქვს. არის საკითხები, როდესაც გადამხდელის დაბარება და აქტიური განხილვის წარმოება არ არის საჭირო, ვინაიდან თემა არის მარტივი, უბრალოდ ტექნიკური საკითხია. ეს ჩემი აზრია, ვილაცამ ეს პროცესი შეიძლება დროის გაყვანის მიზნით გამოიყენოს. თუმცა არის საკითხი, რომელიც დასაბუთებასა და მსჯელობს საჭიროებს, ამ შემთხვევაში გადამხდელს იბარებენ და საკითხს მასთან ერთად განიხილავენ. ვფიქრობ, რომ გადამხდელს ყველაფერი აქვს იმისთვის, რომ თავისი პოზიცია დააფიქსიროს.

- თქვენი დეპარტამენტი თუ არის ჩართული, მათ შორის თქვენც, შემოსავლების სამსახურის სხვადასხვა მეთოდური მითითებების მომზადებაში?

- დიას, ჩართულია. უფრო კონკრეტულად, მეთოდოლოგიური ხასიათის დოკუმენტები მეთოდოლოგიის დეპარტამენტის მიერ მუშავდება, ეს მათი პრეროგატივაა. რიგ შემთხვევაში, იურიდიულ დეპარტამენტს სხვადასხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტის ინიცირება გაუკეთებია. წინასწარი გადაწყვეტილებების ფარგლებში თუ მნიშვნელოვანი საკითხები წარმოიშვა, ხშირად, ვცდილობთ, ეს საკითხი ცალკე ამოვიღოთ, კონკრეტული თემის მიმართ დიდი ინტერესის გამო. ამის გარდა, როგორც აღვნიშნე, სხვადასხვა მიმართულებით იყო მეთოდური მითითებები, პროექტები. საკმაოდ ჩართული ვართ, იმიტომ, რომ სხვადასხვა ინფორმაციას სიღრმისეულად ვაძუშავებთ, მიიღება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები როგორც სამართლებრივი ტექნიკის, ისე საგადასახადო დაბეგვრის კუთხით.

- ხომ არ ფიქრობთ, რომ ზოგიერთი მეთოდური მითითება ძალიან სუბიექტურია და შორს არის სამართლიანობისგან? მაგალითად შარშან მიღებული მითითება - დებიტორული დაგაღიანების შესახებ, რომელიც ფაქტობრივად მხოლოდ ვარაუდის საფუძველზე უბეგრავს გადასახადის გადამხდელს მიუღებელი დებიტორული დაგაღიანების თანხებს.

- არ მგონია, ეგ ცოტა აბსტრაქტული ვარაუდია. მაშინ მუხლზე უნდა ვიმსჯელოთ ან უნდა ვთქვათ კონკრეტულად რა ნაწილში შეიძლება დაიბეგროს ვარაუდის დონეზე. ალბათ მე ასე არ ვკითხულობ. მას აქვს თავისი წესები, არგუმენტები. ვარაუდის დონეზე დაბეგვრა საგადასახადოს ინტერესის სფერო აბსოლუტურად არ არის. მინიმუმ ამის მოტივს ვერ ვხვდები. თუ რამე კონკრეტული ქეისი არსებობს, შეგვიძლია ინდივიდუალურად ვიმსჯელოთ, მე მსგავსი შთაბეჭდილება არ მრჩება. შეიძლება რაღაც გასასწორებელი იყოს, დოკუმენტი ყოველ წელს იხვეწება, ადრესატ პირებს გასაცნობად ეგ ზაენება, თუ რამე პრობლემაა, ყველას აქვს შენიშვნის დაფიქსირების შესაძლებლობა. ამასთანავე, როდესაც დოკუმენტი პროექტის დონეზე საბჭოში განიხილება, ყველა ჩართულ პირს აქვს საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის შესაძლებლობა. იმიტომ, თუ რამე კონკრეტული შენიშვნაა, ალბათ, უნდა დაფიქსირდეს და მერე შეიძლება ვიმსჯელოთ. ამ ეტაპზე მაგ ვერსიას არ დავეთანხმებოდი.

- ზოგიერთ გადაწყვეტილებაზე გვესმის, რომ ეს არ იყო სამართლიანი. თქვენი შეფასებით, სამართალი და სამართლიანობა ერთი და იგივე ცნებებია?

- ალბათ არა, სამართლიანობის შეფასება სუბიექტურია. მარტივ მაგალითს მოვიყვანოთ, შემოსავლის სამსახურის თანამშრომელი ვალდებულია კანონში მკაცრად გაწერილ წესებს მიჰყვეს, მან კოდექსში გაწერილი ჩანაწერებით უნდა იხელმძღვანელოს. ჩემს გამოცდილებას გეტყვით, თითქმის ყველა შემოწმება მასსოვს, არცერთ გადამხდელთან ცუდი ურთიერთობა არ მქონია, მიუხედავად იმისა, რომ დარიცხვა მისთვის შეიძლება არასასურველი ყოფილიყო. ამის მთავარი მიზეზი არის ის, რომ ყოველთვის ვცდილობდი, მათთვის კანონმდებლობაში ჩანაწერი ამეხსნა - რა მესმის, რა გამომდინარეობს, რაშია ლოგიკა. გარდა ამისა, ბევრისთვის რჩევაც მიმიცია - მე ასე ვკითხულობ, კანონის ჩანაწერი ასეთია, პრაქტიკა ასეა მისაღები, შეიძლება იქ გასაჩივრების მომენტს იტოვებს. მანამდე, თუ დააკვირდებით შემოწმების აქტის ფორმას, 2014-2015 წლებში შიგნით გრაფაც კი გაჩნდა, სადაც გადამხდელის პოზიცია ფიქსირდებოდა. საკმაოდ რთულია კანონმდებლობის ნორმების სრული გაგება, ერთმანეთთან დაკავშირება. შესაბამისად, ბუნებრივია, კონკრეტულ ნაწილში, ჩემსა და გადამხდელს შორის შეიძლება ბუნდოვანება და ორაზროვნება წარმოიშვას. შემოწმებელი იმ მიმართულებით ფიქრობს, რომ რამე არ შეეშალოს, კანონმდებლობას არ გადაუხვიოს და ეს, სწორია. ბუნებრივია, შემოწმებელს დასკვნა ლოგიკური დასკვნების საფუძველზე გამოაქვს. თუმცა გადაწყვეტილება, შეიძლება, მაინც არ იყოს გადამხდელისთვის სასიამოვნო. საბოლოოდ, ამ კითხვას შევხედოთ ასე: შემოწმებელი სამართალს მიჰყვება, სამართლის ნაწილი, ალბათ, სამართლიანია, მაგრამ შეიძლება ზუსტად ვერ პასუხობდეს მიმდინარე პროცესს ან მოთხოვნას. ზუსტად ამისათვისაა საჭირო შემდგომი ცვლილება, მსჯელობა, თუნდაც პრაქტიკაში წარმოშობილი საკითხის განზოგადება. ეს არის სამუშაო პროცესი, რათა დავინახოთ ის

განსხვავებები რაც არის. ამიტომ არის ცვლილებები, იგივე კანონმდებლობაში, იგივე ფინანსთა მინისტრის 996-ე ბრძანებაში. ერთ წელიწადში, 996-ე ბრძანებაში, დაახლოებით, 30-35-მდე ცვლილება შევიდა.

- თქვენ აქტიურად ხართ ჩართული ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მუშაობაში. ეს აკადემია რა ტიპის ტრენინგებს სთავაზობს მსმენელს და ზოგადად როგორია სწავლების პროცესი? თქვენ კონკრეტულად რა საგნებს კითხულობთ?

- ტრენინგების ჩატარება, ცოდნის და გამოცდილების გაზიარება, როგორც პიროვნული, ისე პროფესიული ზრდისთვისაც ერთ-ერთი ყველაზე კარგი და ღირებული პროცესია. მგონია, განათლება არის ის, რომელიც ყოველთვის უნდა გავზარდოთ, შესაბამისად ამით პრობლემებს ყოველთვის ვუშველოთ და გარკვეული საკითხებიც მარტივად გადავწყვიტოთ. ამიტომ, განათლებაში რესურსს, როგორც ჩემს ბავშვობაში დებდნენ მშობლები, პედაგოგები, მეც ამ მიმართულებით მინდა ვიარო, ჩემი მიზანია განათლებაზე ყოველთვის ვიზრუნო როგორც საკუთარზე, ისე სხვაზე.

ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში ლექციებს 2014 წლიდან ვკითხულობ, ძირითადი მიმართულებაა საგადასახადო კანონმდებლობა, რომლის ერთ-ერთი კურსია საგადასახადო აუდიტი, შემოწმების პროცესი. გადამხდელთან ურთიერთობისას როგორ უნდა მოვემზადოთ, რა გავითვალისწინოთ. კანონმდებლობაში თითოეულ მუხლს ვშლი, მინდა კონკრეტულ საკითხებზე გულწრფელად ვისაუბროთ, ვაფიქსირებ ჩემს პოზიციას. კონკრეტულ სიტუაციაში მე რას ვიზამდი, რისკი სადაა, ყველა შესაძლო ვარიანტი უნდა განვიხილოთ და დავამუშაოთ. ამით გონება უფრო იზრდება. მეც გავდივარ ტრენინგებს, იმის მიხედვით, თუ რა სფერო დამჭირდება.

აკადემიის პარალელურად 2016-2017 წლებში, ფინანსთა მინისტრის ბრძანებების გაცნობის კუთხით, თვითონ საგადასახადო აუდიტორებთანაც ჩავატარე ტრენინგები. ზღვა ინფორმაციაა და მნიშვნელოვან დეტალებზე საჭიროა ყურადღების გამახვილება. ამ ორ წელიწადში მომიწია მათთან ურთიერთობა, რა დროსაც აუდიტის დეპარტამენტის აუდიტორებთან ერთად მეც დიდი გამოცდილება მივიღე.

2018-2020 წლებში უკვე ვუძღვებოდი აუდიტის დეპარტამენტის სტაჟიორების გადამზადების პროგრამას. გულწრფელად ვამაყობ, იმ წლებში სტაჟიორების გადამზადებით და იმ დონით, რასაც მათ მიაღწიეს, ვინაიდან პროგრამა, კანონმდებლობა, თემები გავწერეთ პრაქტიკაზე ორიენტირებულად, მაგალითებით. ამ სწავლებამ კარგი თაობა გაზარდა, მათთან დღემდე კარგი ურთიერთობა მაქვს. მიხარია, იმ ხალხს წარმატებულ ადგილებზე რომ ვხედავ.

აკადემიაში მუშაობას ვაგრძელებ, ძირითადი სამსახურის შემდეგ, 7-დან 10 სთ-მდეა ლექციები და იქ ვიტვირთებით - კანონმდებლობა, აუდიტი, სხვადასხვა საკითხის განხილვა, მოთხოვნა საკმაოდ დიდია. შეგნებულად ვირჩევ ისეთ საკითხებს, რომელიც შეიძლება შედარებით პრობლემურია და მათზე ხალხს პასუხის მიღება სჭირდებოდა. შეიძლება 100%-იანი არ იყოს ჩემი პასუხი, მაგრამ მსჯელობის დროს ვიხილავ იმ ვერსიებს, კონკრეტულ საკითხს რა რისკი შეიძლება ჰქონდეს. ეს ტრენინგებიც არ არის, უფრო ვორქშოპებია, მსჯელობა.

ასევე ტრენინგები ჩავატარე საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიწვევით, რომელიც საგადასახადო საკითხებს ეხებოდა. სავაჭრო პალატამ დანერგა ასეთი ტრადიცია, წელიწადში ერთხელ, პალატის წევრებს, საკანონმდებლო სიახლეებს აცნობს. ტრენინგები თბილისში, თელავში, გორში, ქუთაისში, ზუგდიდში, ოზურგეთში და ბათუმში ჩატარდა, რათა მეწარმეები ცვლილებებს მომზადებულები შეხვდნენ.

წლების განმავლობაში გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან თანამშრომლობით ასევე ჩართული ვიყავი „ქალების ეკონომიკური გაძლიერების“ არაერთ მნიშვნელოვან წამოწყებასა და პროექტებში, რომლებიც წარმატებით დასრულდა.

- როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, ფინანსთა სამინისტრო ქონების გადასახადის რეფორმაზე მუშაობდა. ზოგადად დიდი ხანია ამ კუთხით აუცილებელ ცვლილებებზე მიდის საუბარი, ზოგიერთი თქვენი კოლეგა მისი საქართოდ გაუქმების მომხრეა. კონკრეტულად რა უნდა შეიცვალოს? ეს ეხება 40000 ლარიანი ზღვრის გაზრდას, შენობა-ნაგებობებზე ქონების გადასახადის ფიზიკური და იურიდიული პირების ქონების ფართობის მიხედვით განსაზღვრას, თუ რას?

- აბსოლუტურად გეთანხმებით, ქონების გადასახადში ბევრი რამე შესაცვლელია. ჩემი აზრით, ქონების გადასახადი ერთ-ერთი რთული გადასახადია. წარმოიდგინეთ, ფიზიკურმა პირმა, რომელმაც ქონების გადასახადი უნდა გადაიხადოს, ჯერ ის უნდა დათვალოს 40 000 ლარიანი ზღვარი თუ აქვს, მერე ოჯახის შემოსავალი ითვლება, ოჯახიც თავად უნდა განსაზღვროს, 40 000 ლარიანი ზღვარში რა შედის ის ცალკე უნდა დათვალოს, მიიღებს მათემატიკას, მერე უნდა დათვალოს რა ქონებას ფლობს, ვინაიდან ზოგიერთი ქონება დაბეგვრის ობიექტია, ზოგი არა. ამის მერე უნდა გამოთვალოს, თუ რა არის არსებული ქონების საბაზრო ფასი, რაც ფიზიკური პირისთვის საკმაოდ რთული შესაფასებელია. ეს მარტო ქონების ნაწილია, მიწაზე ცალკე კოეფიციენტებია - საკარმიდამო, სახნავი. ტრენინგებზეც მითქვამს, რომ მაგალითად, დღევანდელი ადმინისტრირების პირობებში დღე უფრო მარტივი გადასახადი მგონია, ვინაიდან ლოგიკაზე აგებული ჯაჭვია და საკმაოდ შინაარსიანი გადასახადია.

ქონების გადასახადის რეფორმის კუთხით, ვიცი რომ პროექტი არსებობდა, გაცნობილიც ვარ. 2022 წლის 17 მაისს ფინანსთა მინისტრის ბრძანებაც გამოიცა სამუშაო ჯგუფის შექმნასთან დაკავშირებით. უბრალოდ, ეს

შპს „ლევერიჯ კონსალტინგი“



- ფინანსური ანალიზი და დიაგნოსტიკა
- ფინანსური მოდელირება, ბიუჯეტირება და მართვის პროცესების მონესრიგება
- ფინანსური მენეჯერის აუტსორსი
- გაზარდეთ თქვენი კომპანიის მომგებიანობა ჩვენი დახმარებით

ცოდნა წარმატების საწინდარია!

დაგვიკავშირდით: +995 (579) 30 71 71

შემოსავლების სამსახურის ფუნქციას არ განეკუთვნება, თუმცა ჩართულები ვიყავით. თუ ჩემი პერსონალური აზრი გაინტერესებთ, ქონების გადასახადში ბევრ რამეს შევცვლიდი – განაკვეთის, ქონების შეფასების ფიზიკური პირის დაბეგვრის კუთხით. ამ თვალსაზრისით, ევროპის პრაქტიკაც მოკვლეული მაქვს.

პირველად, ქონების გადასახადს 2015 წელს შევეხე, ევროკავშირის პროექტის ფარგლებში, ავსტრიის ფინანსთა სამინისტროში მუშაობისას გავიარეთ ეს საკითხი, ვნახე იქაური პრაქტიკა და მომეცა შესაძლებლობა შედარება გამეკეთებინა. პირობითად, თუ ჩვენ ავტომობილს მისი კუბური მოცულობის მიხედვით განვანბნავენ, ევროპა ბევრავს გამონაბოლქვის მიხედვით. მეორე ვარიანტია, შეიძლება შემოსავალი მქონდეს 100 000 ლარი, რომელიც პირობითად 0.8 კოეფიციენტით იბეგრება, მაგრამ ქონება არ მიფიქსირდებოდეს, შესაბამისად გადასახადი ნული მექნება. ამასთანავე, შეიძლება 40 001 ლარის შემოსავალი მქონდეს და ქონებაზე იმდენი გადასახადი მომიწიოს, მაგალითად მამა-პაპისეულ სახლზე, რაც მგონია სამართლიანობის კუთხით გასასწორებელია. ასევე შესაძლებელია, ძველი ნაფიქსირებული და ის დაიბეგროს, ხოლო ოქროს ზოდი, რომელიც სახლში მაქვს, არ იბეგრება. ასევე გასაზრდელია ზღვარიც, დღეს ფულს სხვა მსყიდველობითი უნარი აქვს, ვიდრე წლების წინ ჰქონდა. ფიზიკური პირი 40 000-იან ზღვარს ძალიან მალე აღწევს, მაშინ ამ მიმართულებით საგადასახადო ტვირთო თუ მსუბუქი იყო, დღეს შეიძლება მძიმე იყოს. ამიტომ დაბეგვრის ობიექტს, გაანგარიშების ზღვარს შევცვლიდი. მიწებზეც ტექნიკური პრობლემაა, ვინაიდან განაკვეთების დადგენა, მიწის კატეგორიების განსაზღვრა, ამ ერთ პატარა გადასახადში, ეს ყველაფერი ძალიან ბევრია და ალბათ სამართლიანია, რომ გადაამუშავდეს. ამაზე ღია მსჯელობებიც იყო, არის მიღებული შენიშვნები. არ ვიცი მზად როდის იქნება. ალბათ, მოვა დრო და შეიცვლება, უკეთესობისკენ დაკორექტირდება.

- როგორია თქვენი მოსაზრება მოგების გადასახადით დაბეგვრის ე-წ „ესტონური მოდელის“ მიმართ? ყველა არ ემხრობა ამ მოდელს. განსხვავებული აზრი არსებობს, ზოგს მოსწონს, ზოგი კი თვლის, რომ ამ მოდელმა საქართველოში არ გაამართლა.

– მოგების გადასახადის ე-წ „ესტონური მოდელი“ 2017 წლის 1-ლი იანვრიდან ამოქმედდა. 2016 წელს შემოსავლების სამსახურში ჯგუფი შეიქმნა და სამუშაო კომისიის მდივანი გახლდით, „ესტონური მოდელის“ გადმოტანაშიც ვიყავი ჩართული. ახალი ფორმები შემუშავდა, დეკლარაციების გაიწერა, ყველაფერმა ჩვენს ხელში გაიარა. მე მომწონს. ძირითად მიმართულებებს გამოვყოფ. პირველი, ამან ბიზნესი წაახალისა. მაგალითად, 100 ათასი ლარის შემოსავლიდან, კომპანიას ხარჯი თუ 60 ათასი ლარი ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს 100 ათასი ლარი მყიდველს ჯერ არ ჩაურიცხავს, 40 ათას ლარიან მოგებაზე, რომელიც გამოუვიდა, 15 პროცენტი ბიუჯეტში მაინც უნდა გადაეხადა. „ესტონური მოდელის“ შემთხვევაში, 100 ათასი რომც ჩაერიცხოს, იმ 40 ათას ლარს სახლში თუ არ წაიღებს, ანუ არ გაანაწილებს, მაშინ არც დაიბეგრება. ანუ დაბეგვრადი გახდა მხოლოდ განაწილებული მოგება, რომელიც ფიზიკურ პირამდე მივიდა. ამან გამოიწვია ის, რომ კომპანიებში ძალიან დიდი თანხები დარჩა, ამ ყველაფერს ეკონომიკური გადმოსახელიდან, რომ შევხედოთ, კომპანიას ახალი ტექნოლოგიებით გადაიარაღების შესაძლებლობა შეექმნა, ფული სხვა ხარჯებში ჩაიღო, მათ შორის თანამშრომლების ხელფასებში, ბიზნესის განვითარებაში. მეორე – კომპანიამ თანხის აქტივებში დაბანდება დაიწყო. შესაბამისად, მომავალში თუნდაც ეკონომიკური კრიზისის ლიკვიდური აქტივითა და ძლიერი კაპიტალით ხვდება. აქედან გამომდინარე, რეფორმამ მინიმუმ ამ კუთხით ძალიან დადებითად იმუშავა. ასევე მგონია, რომ დაბეგვრის ახალი სქემით ძალიან ბევრი უცხოური კაპიტალის მოზიდვა გახდა შესაძლებელი. ერთადერთი საკითხი, რაზედაც შეიძლება მსჯელობა ღირდეს, ეს არის სხვადასხვა ტექნიკური „ჩაკეტვები“ (შეზღუდვები). არის სხვადასხვა მექანიზმი, რომელიც ჩარჩოში მოქცევას საჭიროებს, მაგრამ 99%-ით, ვფიქრობ, ამ რეფორმამ გადამხდლებზე კარგად იმუშავა, წაახალისა ეკონომიკა. ინვესტიციის „ჩაბრიალება“, უცხოური ინვესტიციის შემოდინება. ბაზრის მიმართ ეს ყველაფერი უკვე მდგრადი გახდა, რასაც კომპანიების ზრდა მოჰყვა.

- რას შეცვლიდით საგადასახადო კოდექსში, მხოლოდ თქვენი გადასაწყვეტი რომ იყოს?

- არის ბევრი რამე, საგადასახადო კოდექსი ცოცხალი ორგანიზმივითა და მასში ცვლილებები ბიზნესის განვითარებას უნდა დაეწიოს. პირველად, კოდექსი 1997 წელს მივიღეთ და უკვე 28 წელია გასული ანუ კოდექსი არის ახალგაზრდა, 30 წლის ადამიანი, ევროპის ქვეყნებთან შედარებით. ნიდერლანდებთან მქონდა შეხება და ჩემთან მოუყვანიათ მაგალითი, რომ ეს 1967 წლის ბოლო შესწორებით გაკეთდა. ხვდებით, რამხელა ისტორია და სტაბილური ბიზნეს-გარემო აქვთ? აქაც დროთა განმავლობაში საკანონმდებლო ცვლილებები უკეთესობისკენ და კონკრეტული საკითხის უფრო მეტად დარეგულირებისკენ მიდის. 10 წლის წინ გარკვეული დოკუმენტები არ გვქონდა, დღეს გვაქვს ინსტრუქციები, სიტუაციური სახელმძღვანელოები, მეთოდური მითითებები, გზამკვლევები, შეხვედრები, ასევე რამდენჯერმე გაიზარდა განმარტებების გამოცემა, პრაქტიკები, საჯარო გადაწყვეტილებების გამოცემა, რომელიც გადამხდელებს სხვადასხვა საკითხის გარკვევაში მაქსიმალურად ეხმარება. საგადასახადო კოდექსი დედა დოკუმენტია, რომელშიც ცვლილება საკმაოდ შრომატევადია, საგადასახადო კანონმდებლობა შედგება კანონქვემდებარე აქტებისგან, სადაც უფრო მეტად გაშლილია სხვადასხვა საკითხი. თუ ვსაუბრობთ, რომ კოდექსში საჭიროა ცვლილებები, დიან საჭიროა! რამდენიმე მნიშვნელოვანი მუხლი ახლებურად ჩამოსაყალიბებელია. მაგალითად, ძალიან კარგი იყო 2021 წლიდან, ევროკავშირთან ჰარმონიზაციის კუთხით დღე-ის რეფორმა რომ გავატარეთ. იქ მოქმედი დღე გადმოვიღეთ და ამან მოგვცა ის, რომ დღე ერთ-ერთი ყველაზე კარგი კარია კოდექსში, რომელიც თითქმის ყველა კითხვაზე პასუხობს, შეგვიძლია ევროპის სხვადასხვა სასამართლოს გადაწყვეტილება გამოვიყენოთ, მდიდარი პრაქტიკა ვნახოთ. მეც ძალიან ბევრ მუხლს, რომელიც 1997 და 2004 წლის კანონიდან არის გადმოტანილი, კაპიტალურად გადავაკეთებდი. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალი, წილების რეალიზაციის მომენტები, დავუშვათ სსკ 150-151-ე მუხლები, რომლებიც შეიცავს ისეთ საკითხებს, სადაც ორგანიზაცია იკვეთება, ეს საკითხი შეიძლება პრაქტიკაში კი არის დალაგებული, მაგრამ უმჯობესია ფართო საზოგადოებისთვის უფრო სწორად ჩამოყალიბებული მიმართულებები გახდეს. ზოგადად პროცესი უკეთესობისკენ მიდის და ამ ყველაფერს დრო სჭირდება.

- როგორია თქვენი სამომავლო პროფესიული გეგმები, კერძო სექტორში გადასვლაზე თუ ვიფიქრიათ?

- ნაფიქრი ალბათ ყველას აქვს, მაგრამ რამდენჯერმე შეგნებულნი უარი ვთქვი. ჩემი პრინციპი ყოველთვის ასეთი იყო: 365 დღის განმავლობაში ყველამ ჩვენი საქმე რომ ვაკეთოთ, ხარისხი იქნება ერთი, თუ ჩვენს საქმეს ოდნავ რაღაცას დავაკლებთ, ხარისხიც დაიკლებს. თუ ჩვენი ოდნავ იმაზე მეტს ვაკეთებთ, ვიდრე შეგვიძლია, ჩვენც ვავიზრდებით, სახელმწიფოც და ყველა მიმართულებას ეშველება. ცოდნა, გამოცდილება, მსჯელობა, გადაწყვეტილების მიღების უნარი სხვა დონეზე გადავა. ჩვენი განათლებით სხვა ურთიერთობებიც დალაგდება. ძალიან მიყვარს ის საქმე, რასაც ვემსახურები. გულწრფელად მგონია, რომ სახელმწიფო სამსახურში დადებული თითოეული აგური სიამაყით მავსებს. იგივე ჩვენი მიდგომა, გადაწყვეტილების მიღება, ტრენინგები, ეს ყველაფერი გაერთიანებულია ამ სამსახურში, შემდეგ მე კერძო სექტორს ვუზიარებ. ბოლომდე არ ვიცი, კერძო სექტორში ასეთი პროდუქტიულობის განცდა თუ მექნება. მქონია შემოთავაზებები, მაგრამ უარი მითქვამს, იმიტომ რომ მიყვარს ის, რასაც ვაკეთებ. ამას ისიც უსვამს ხაზს, რომ წლების განმავლობაში, ჩემი საქმის სანიშნო და მაღალ დონეზე შესრულებისთვის ოთხჯერ მაქვს მიღებული როგორც შემოსავლების სამსახურის, ისე ფინანსთა მინისტრის სამსახურებრივი „მადლობის სიგელი“ და ეს ერთგვარ სიამაყეს მგვრის ყოველთვის.

- თავისუფალი დრო ალბათ, თქვენთვის ისეთივე დეფიციტია, როგორც ბევრი სხვა თქვენი კოლეგისთვის. და როდესაც მას გამოძებნით, როგორ იყენებთ? რა გიყვარს? რამე ჰობი ხომ არ გაქვთ? ასევე, ვინ არიან თქვენი ოჯახის წევრები?

- საკმაოდ აქტიური ცხოვრება მაქვს და მინდა, ამ ცხოვრებაში ბევრი ემოცია გამოვცადო. თავისუფალ დროს დავდივარ ლაშქრობაში. ფეხით მიყვარს სიარული და 2010 წლიდან, მეგობრებთან ერთად, მთელი საქართველო შემოვიარე, ყველა კუთხეში ვარ ნამყოფი, თუ სადმე შეგხვდით კარვითა და ჩანთით, არ გაგიკვირდეთ. 2014 წელს ალპინიზმმაც გამიტაცა, მეგობრებთან ერთად მყინვარწვერი დავლაშქრეთ. რაჭიდან ვარ, დილაობით თოვლიან კავკასიონს შევყურებდი და ვფიქრობდი, ახლოდან როგორი იქნებოდა, თოვლში სიარული როგორი იყო, რა განწყობა დამეუფლებოდა, როგორი იქნებოდა უჰაერობის განცდა. ასე რომ, ძალიან მიყვარს მთა და ჩემი ერთ-ერთი დიდი ჰობი მთებში სიარულია.

რაც შეეხება ოჯახის წევრებს, ჩემი მეუღლეა თაკო მოდებამე, გვყავს 4 წლის შვილი – კესანე. ახლა მეორე ბავშვს ველოდებით. იდეალური მეუღლე მყავს, ყოველთვის გვერდში მიდგას, ძალიან მშრომელია. ბავშვთა განმავითარებელ წიგნებს და ბარათებს ქმნის. თავად შეისწავლა, სერტიფიცირებაც გაიარა, პროგრამებიც იყიდა. ძირითადად, ბავშვების მეტყველების განვითარებაზე მუშაობს. თუ ვინმეს ამის საჭიროება აქვს, არ ზარდება, ეხმარება, სიამოვნებს სიკეთის კეთება. თავისი პერსონალური ბლოგიც აქვს.

ესაუბრა მაკა ხარაზიშვილი

ეკონომიკა და პოლიტიკა

ეკონომიკა და პოლიტიკა – ამ რუბრიკით გამოქვეყნებულ სტატიებში განხილულია საქართველოში მიმდინარე ის მოვლენები და პროცესები, რომლებიც კავშირშია ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებასთან; აგრეთვე შეგუებით სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებას მსგავს სიტუაციებში.

საერთაშორისო არბიტრაჟში წაგებულ საქმეები და ქვეყნისთვის დაკისრებული ჯარიმა
ვის გამო მოუწევს სახელმწიფო ბიუჯეტს ასეულობით მილიონი დოლარის გადახდა

საქართველოში რომ სასამართლო სისტემა მაღალი ნდობით არ გამოირჩევა, ამას ხელისუფლების ოპონენტებიც ხშირად ამბობენ და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც. სახელმწიფოს წარმომადგენლები ადგილობრივ სასამართლოში იოლად აღწევენ სასურველ შედეგს, მაგრამ იგივე შესაძლებლობა საერთაშორისო არბიტრაჟში უკიდურესად რთულია. ამიტომაც, როდესაც ინვესტორებს სახელმწიფოსთან აქვთ დავა, ხშირად საერთაშორისო სასამართლოს მიმართავენ ხოლმე. რაც საყურადღებოა, საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი გამამტყუნებელი გადაწყვეტილებების შედეგად, სახელმწიფო ბიუჯეტს უკვე მნიშვნელოვანი მოცულობის თანხები აქვს დაკისრებული.

ერთ-ერთი მსხვილი საარბიტრაჟო დავა საქართველომ გასული წლის ბოლოს წააგო. კომპანია Enka Renewables-მა საქართველოს საერთაშორისო არბიტრაჟში 383.2 მილიონი დოლარი მოუგო. მანამდე კი, საქართველომ 76 მლნ დოლარის დავა წააგო Inter Rao-სთანაც, რომელიც ელექტროენერჯის ტარიფებს შეეხებოდა.

„ინტერ-რაოსთან“ წაგებულ დავა

საქართველომ Inter Rao-სთან ორი საარბიტრაჟო დავა წააგო. როგორც Bpn.ge წერს, ერთი მხრივ, საუბარია, 76 მილიონ დოლარიან საარბიტრაჟო დავაზე, რომელიც 2017 წლიდან მსოფლიო ბანკთან არსებულ საერთაშორისო საინვესტიციო დავების მოგვარების ცენტრში (ICSID) მიმდინარეობდა, მეორე დავა კი, საქართველომ წააგო სტოკჰოლმის საარბიტრაჟო ტრიბუნალში. საუბარია პარალელურ საინვესტიციო დავაზე Inter Rao-სთან, რომლის ფარგლებშიც ქვეყანას 112 მილიონი დოლარის გადახდა დაეკისრა.

არსებული განმარტებით, საქართველოს არა ორივეს, არამედ მხოლოდ ერთ-ერთი დავის თანხის გადახდა მოუწევს, რადგან შეკრებითობა არბიტრაჟის შემთხვევაში არ ხდება.

2021 წლის დეკემბერში, საქართველოს რუსული კომპანიის სასარგებლოდ კომპენსაციის გადახდა სტოკჰოლმის არბიტრაჟმა დაავალა. იუსტიციის სამინისტროს ცნობით, მაშინ „ინტერ-რაო“ 200 მილიონს ითხოვდა, არგუმენტების წარდგენის შემდეგ

კი თანხა 80 მილიონამდე შემცირდა.

საქართველოს მთავრობის 2 წლის წინანდელი ინფორმაციით, დავა გრძელდება, თუმცა როგორც ბოლო გადაწყვეტილებით ჩანს, სტოკჰოლმის არბიტრაჟმა გადასახდელი თანხა გაზარდა.

Inter Rao-სთან დავა 2017 წელს დაიწყო. კომპანია 2 ქართულ ჰიდროელექტროსადგურს ფლობს, რომელსაც, თავის მხრივ, ეკუთვნის ენერგეტიკული კომპანია თელასის 75%. მოსარჩელები საქართველოს ხელისუფლებისგან ლარის გაუფასურებით მიყენებული ზარალის ანაზღაურებას ითხოვდნენ. საქმე ეხებოდა ტარიფების საკითხს. საქართველოს ხელისუფლება კი მიიჩნევდა, რომ ტარიფები სწორად იყო განსაზღვრული.

„ენკასთან“ წაგებულ დავა

საქართველომ 2024 წლის დეკემბერში ENKA-სთან საერთაშორისო საარბიტრაჟო დავა წააგო. მაშინ, კომპენსაციის მოცულობის შესახებ ცნობილი გახდა თავად ENKA-ს მიერ გამოქვეყნებული განცხადებიდან, რომლის თანახმადაც კომპენსაცია 383.2 მილიონ დოლარს შეადგენდა. მთავრობამ კი განაცხადა, რომ ამ განაჩენს გაასაჩივრებდნენ.

თუმცა, როგორც ირკვევა, განაჩენი მზარდია და მისი აღსრულებისთვის ENKA-მ აშშ-ის კოლეუმბიის ოლქის სასამართლოს მიმართა, აღნიშნულ სასამართლოში დარეგისტრირებული მიმართვის თანახმად კომპენსაციის მოცულობა უკვე გაზრდილია და ის უკვე 450 მილიონ დოლარს აღემატება. ამასთან, აღნიშნულ თანხას საურავიც ერიცხება, რაც FED-ის განაკვეთს პლუს 4%-ს შეადგენს, ეს კი ამჟამად 8.5%-ია.

მიმართვის თანახმად, საქართველოს მიერ გადასახდელი კომპენსაციებია:

- საქართველოს დაეკისროს Enka-სთვის 297,000,000 აშშ დოლარის გადახდა, ამ თანხაზე დაწესებული იქნება პროცენტი როგორც არბიტრაჟის გადაწყვეტილებამდე, ისე გადაწყვეტილების შემდგომ, ყოველდღიურად დარიცხვით და თვეში ერთხელ კაპიტალიზებით, შეერთებული შტატების ფედერალური სარეზერვო ბანკის უზრუნველყოფილი ლამის დაფინანსების განაკვეთის (SOFR) პლუს 4 პროცენტის ოდენობით.

- საქართველოს დაეკისროს Enka-სთვის გადახდა

52,411,764.70 აშშ დოლარის ოდენობით, როგორც საგადასახადო კომპენსაციის (Tax Gross-Up) თანხა, იმ შემთხვევაში, თუ Enka გადაიხდის აღნიშნულ თანხას საქართველოს საგადასახადო ორგანოებში; აღნიშნულ თანხაზე დარიცხული იქნება ყოველდღიური პროცენტი და თვეში ერთხელ კაპიტალიზება SOFR პლუს 4 პროცენტის განაკვეთით, Enka-ს მიერ საქართველოს საგადასახადო ორგანოებში გადახდის დღიდან მოყოლებული;

• ასევე, საქართველოს დაეკისროს Enka-სთვის გადახდა 11,290,927 აშშ დოლარის, 307,644.66 ევროსა და 34,861.58 ბრიტანული გირვანქა სტერლინგის ოდენობით, ამ თანხებზე კი დარიცხული იქნება ყოველდღიური და თვეში ერთხელ კაპიტალიზებული პროცენტი SOFR პლუს 4 პროცენტის განაკვეთით, 2024 წლის 27 ნოემბრიდან მოყოლებული.

საარბიტრაჟო დავა 2021 წლის ოქტომბერში დაიწყო, მას შემდეგ, რაც სახელმწიფოსთან არსებული საინვესტიციო შეთანხმება ფორს-მაჟორის გამო შეწყდა. კომპანია აღნიშნული პერიოდისთვის „ნამახვანჭვის“ \$800 მილიონიანი ჰიდროელექტროსადგურის სამშენებლო სამუშაოების დასაწყებად ემზადებოდა და წინასწარ სამუშაოებზე 100 მილიონამდე უკვე ჰქონდა ინვესტირებული.

კომპანიამ არბიტრაჟს მიმართა სახელმწიფოს მიერ საინვესტიციო პირობების უხეში დარღვევის გამო, რაც საინვესტიციო შეთანხმების უგულვებელყოფას უკავშირდებოდა. „ნამახვანჭვის“ პროექტთან დაკავშირებით, მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 2021 წლის 9 ივნისს განაცხადა, რომ ჰიდროელექტროსადგურის პროექტი არსებული სახით აღარ განხორციელდებოდა. თუმცა, ეს გადაწყვეტილება საერთაშორისო არბიტრაჟის შეფასებით წინააღმდეგობაში მოდიოდა სახელმწიფოს მიერ გაფორმებულ საინვესტიციო ხელშეკრულებაში, რომლის დარღვევის შემთხვევაშიც ENKA-ს მთავრობის ქმედებების საარბიტრაჟო ტრიბუნალში გასაჩივრება შეეძლებოდა.

კომპანია Enka Renewables-ი, რომელიც თურქული საინჟინრო და ენერჯეტიკული კომპანია ENKA-ს შვილობილია, 433 მეგავატის სიმძლავრის „ნამახვანჭვის“ ჰიდროელექტროსადგურის კასკადს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში აშენებდა. პროექტის ექსპლუატაციაში შესვლა 2025-2026 წლებში იგეგმებოდა.

არბიტრაჟში წაგებული დავა მხოლოდ ბიუჯეტის ხარჯი არ არის

საქართველოსთვის ინვესტორებთან მიმდინარე საარბიტრაჟო დავები კვლავ ერთ-ერთ მთავარ ფისკალურ რისკად რჩება.

როგორც „2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის წლიური შესრულების შესახებ“ მთავრობის ანგარიშზე აუდიტის სამსახურის მოხსენებაშია აღნიშნული, 2024

წლის ბოლოს არსებული მდგომარეობით, სახელმწიფო \$3.3 მილიარდის საარბიტრაჟო დავებშია ჩართული.

ეკონომიკის მინისტრის ყოფილი მოადგილე და ანალიტიკურ ცენტრ „ჯეოქეისის“ მრჩეველი ნიკოლოზ ალავიძე BMG-სთან ამბობს, რომ ამ მოცულობის საერთაშორისო საარბიტრაჟო დავები შემდეგზე მიუთითებს – ინვესტორებთან ურთიერთობაში ქართულმა მხარემ არაერთი შეცდომა დაუშვა.

მისივე შეფასებით, ინვესტორებისთვის ასანაზღაურებელი კომპენსაციის მიღმა, საარბიტრაჟო დავები ბიუჯეტისთვის წნეხი იურიდიულ მომსახურებაზე გაწეული მილიონობით ლარის ხარჯების ფონზეცაა.

„წაგებულ საარბიტრაჟო დავებში დაკისრებული თანხის გარდა ჩვენ ვიცით, რომ ასევე სოლიდური, ათეულობით მილიონი ლარია იურიდიული მომსახურების ხარჯები, რაც ასევე „ჩაძირული“ ხარჯია, რადგან ეს თანხაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა გადავიხადოთ.

თუმცა ამ დავებში ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და ყურადსაღები არის ის, რომ ეს სისტემური პრობლემაა, იქნება ეს ENKA თუ სხვა დანარჩენი საარბიტრაჟო დავები. ეს ნიშნავს იმას, რომ როდესაც სახელმწიფომ ხელშეკრულებები გააფორმა, როდესაც პროექტზე მიდიოდა მუშაობა, არაკომპეტენტურად იყო ეს ყველაფერი გაკეთებული. დაახლოებით 10-მდე საარბიტრაჟო დავაა, სადაც ერთი და იგივე საძირკველია – კორუფცია, არაკომპეტენტურობა, შესაძლო მიზანმიმართული ქმედება, რომელმაც შეუძლებელი გახადა ამ პროექტების განხორციელება. შესაბამისად, ინვესტორებმა მიმართეს არბიტრაჟს, რასაც მოუშვადებელი დახვდა სახელმწიფო. ეს კი მნიშვნელოვანი რეპუტაციული და მატერიალური რისკია. დავების ნაწილი სახელმწიფოს წაგებით უკვე დასრულდა და სავარაუდოდ, ეს თანხები საბოლოოდ გადასახდელი იქნება, რადგან როგორც წესი, არბიტრაჟის დასრულების შემდეგ მხარეებს შორის მოლაპარაკებები აღარ ხდება ხოლმე“, – ანაცხადა ნიკოლოზ ალავიძემ.

როდესაც სახელმწიფო საერთაშორისო არბიტრაჟში რომელიმე ინვესტორთან მსხვილ თანხას წააგებს, ასეთი შემთხვევა სხვა ინვესტორებისთვისაც ხდება სიგნალი.

საქართველოს ენერჯეტიკის აკადემიის პრეზიდენტის, პაატა ცინცაძის შეფასებით, ენერჯეტიკის სექტორის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა შეჩერებული მსხვილი ჰქესების პროექტებია.

როგორც BMG-სთან პაატა ცინცაძე აცხადებს, საინვესტიციო გარემოზე ნეგატიურად აისახება მათ შორის საარბიტრაჟო დავა, რომელიც საქართველოს მთავრობასა და „ნამახვანჭვის“ ინვესტორ კომპანია ENKA-ს შორის მიმდინარეობდა.

„ყველაზე დიდი პრობლემა ჩვენთვის უკვე ბოლო 30 წელია დიდი წყალსაცავიანი ჰესების მშენებლობაა. სამწუხაროდ, ვერ ვახორციელებთ ვერც ხულონს, ვერც ნენსკრა ჰესს და ვერც „ნამახვანჭვის“ პროექტებს. ეს სამივე პროექტი, რომელსაც შეუძლია შეიტანოს გარდამტეხი როლი საქართველოს ენერჯეტიკის სექტორში, სამწუხაროდ, გაჩერებულია. ენერჯეტიკაში

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიზარდა, თუ ეს დიდი პროექტები გაცოცხლდება და რამენაირად მოხერხდება მათი განხორციელება.

ინვესტორები ქვეყანაში მიმდინარე ნებისმიერ პროცესს ყურადღებით აკვირდებიან. მათ საკუთარი სახსრები უნდა ჩაღონ პროექტში და არავის უნდა საკუთარი ინვესტიციების, ფულის დაკარგვა. ძალიან სკრუპულოზურად აკვირდებიან ყველა ამ პროცესს. ის, რომ „ნამახვანჭის“ ინვესტორს, თურქულ კომპანია ENKA-ს საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ საარბიტრაჟო დავა დასჭირდა, ეს უკვე ცუდი ნიშანია. არ უნდა სჭირდებოდეს ინვესტორს დავა“, – განაცხადა პაატა ცინცაძემ.

ინვესტორის საზიანოდ მიღებული გადაწყვეტილება „ანაკლიის“ პროექტზე და ხელისუფლების რამპანია

იმ საქმეებში, სადაც არბიტრაჟმა სახელმწიფო გაამტყუნა, ხელისუფლების წარმომადგენლები თითქმის არავითარ კომენტარს არ აკეთებენ. სამაგიეროდ, ვრცელი განცხადებები გააკეთეს „ანაკლიის“ პროექტზე ინვესტორის საზიანოდ მიღებულ გადაწყვეტილებაზე. იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, ანაკლიის პორტის საქმეზე დავა მამუკა ხაზარაძემ და ბადრი ჯაფარიძემ ვაშინგტონის არბიტრაჟშიც წააგეს. სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ საინვესტიციო დავების გადაწყვეტის საერთაშორისო ცენტრმა საქართველოს მთავრობის მოთხოვნები სრულად დააკმაყოფილა. როგორც უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში ვკითხულობთ, ვაშინგტონის არბიტრაჟის მიერ დადასტურდა, რომ ანაკლიის პორტის პროექტის არგანხორციელება მთლიანად მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძისა და მათი პარტნიორების პასუხისმგებლობაა და საქართველოს მთავრობის მხრიდან რაიმე ფორმით ხელშეშლას ადგილი არ ჰქონია.

აღნიშნული დავის ფარგლებში, ხაზარაძისა და ჯაფარიძის ჰოლანდიელი პარტნიორი, ბობ მეიერი 64 მილიონი დოლარის გადახდას ითხოვდა, თუმცა, არბიტრაჟმა მისი ყველა მოთხოვნა უარყო და მას თავად დააკისრა საქართველოს მთავრობის სასარგებლოდ ექვს ნახევარი მილიონი დოლარის გადახდის ვალდებულება.

გავრცელებული ინფორმაციით, ანაკლიის საქმეზე დავა ხაზარაძემ და ჯაფარიძემ სახელმწიფოსთან პარიზის არბიტრაჟშიც წააგეს. მათ სახელმწიფოს სასარგებლოდ 650 ათასი დოლარის გადახდის ვალდებულება დაეკისრა.

ვრცელი კომენტარი გააკეთა იუსტიციის მინისტრის მოადგილე ბექა ძამაშვილმა. მისი განმარტებით, „ყველა ბრალდებას ჯერ ერთი წლის წინ პასუხი გასცა პარიზის არბიტრაჟმა. დღეს ჩვენ უკვე გვაქვს ვაშინგტონის არბიტრაჟის გადაწყვეტილება, სადაც ძალიან მკაფიოდ წერია, რომ ხელისუფლების მხრიდან პროექტს ჰქონდა

სრული მხარდაჭერა“.

„საზოგადოებას კარგად ახსოვს, რამხელა პოლიტიკური აჟიოტაჟი იყო ანაკლიის პორტთან დაკავშირებით, თითქოს ეს პროექტი ვერ განხორციელდა ხელისუფლების ბრალეულობით. საუბარი იყო დასავლური ინვესტიციების ხელშეშლაზე. ყველა ამ ბრალდებას ჯერ ერთი წლის წინ პასუხი გასცა პარიზის არბიტრაჟმა. დღეს ჩვენ უკვე გვაქვს ვაშინგტონის არბიტრაჟის გადაწყვეტილება, სადაც ძალიან მკაფიოდ წერია, რომ ხელისუფლების მხრიდან პროექტს ჰქონდა სრული მხარდაჭერა; ინვესტორებს მიეცათ შესაძლებლობა, რომ არაერთხელ გადავადებოდით ამ ვალდებულებების შესრულების პერიოდი, თუმცა, მათ მხოლოდ საკუთარი ბრალეულობით ვერ შეძლეს პროექტის განხორციელება.“

განსაკუთრებული აქცენტი გამაზვიებელია იმ ასპექტზე, რომელზეც მამუკა ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძე განსაკუთრებით აქტიურად აპელირებდნენ ხოლმე. საუბარია მათ წინააღმდეგ წარმართულ სისხლისსამართლებრივ დევნაზე. ვაშინგტონის არბიტრაჟმა ამ საკითხზე ძალიან მკაფიო პასუხი გასცა, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში არ შეიძლება ვინმეს ჰქონდეს მოლოდინი, რომ თუ ჩაიდენს დანაშაულს, მას ექნება რაიმე დაზღვევა იმის გამო, რომ ის რაიმე პროექტთან თუ რომელიმე პოლიტიკოსთან არის დაკავშირებული.

ასევე, ყურადსაღებია, რომ ეს გადაწყვეტილება მიღებულია სამი არბიტრის მიერ ერთხმად, მათ შორის, მომჩივნების მიერ დანიშნულმა არბიტრამაც მიიღო გადაწყვეტილება, რომ მთლიანად პროექტის განუხორციელებლობაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ ინვესტორებს. ალბათ, უკვე უნდა დამთავრდეს სპეკულაციები, თითქოს ამერიკულ თუ დასავლურ ინვესტიციას შეეშალა ხელი, რადგან დღეს ჩვენ უკვე გვაქვს ვაშინგტონის არბიტრაჟის გადაწყვეტილება“, – განაცხადა ბექა ძამაშვილმა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე კომენტარი გააკეთა პრემიერმა ირაკლი კობახიძემაც.

„ძალიან მარტივადაა საქმე – სახელმწიფო იყო აბსოლუტურად მართალი „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ მიმართ, ყველა პირობა შევუქმენით ჩვენ, კონსტიტუციაშიც კი შევიტანეთ ჩანაწერი იმისათვის, რომ ამ პროექტის განხორციელება გამხდარიყო შესაძლებელი, თუმცა ვერცერთი ინვესტორი მათ ვერ მოიზიდეს. ამის სანაცვლოდ, დაიწყეს დავა სახელმწიფოსთან და სცადეს, რომ ხალხის ფული, ბიუჯეტის ფული წაეღოთ უსამართლოდ. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში მიღებულ იქნა სამართლიანი გადაწყვეტილება და არბიტრაჟმა მიიღო ზუსტად ის გადაწყვეტილება, რაც შეესაბამებოდა სინამდვილეს. ჩვენ შევუქმენით ყველა პირობა კონსორციუმს იმისათვის, რომ მოეზიდათ ინვესტორი, თუმცა, სწორედ მათ ჩააგდეს ეს ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი ჩვენი ქვეყნისთვის. შესაბამისად, არბიტრაჟმა მიიღო აბსოლუტურად

ლოგიკური გადაწყვეტილება“ – განაცხადა კობახიძემ. თუმცა, როდესაც ლაპარაკია „ინტერ-რაოსთან“, ან „ენკასთან“ წაგებულ მრავალმილიონიან დავებზე, სახელმწიფოს წარმომადგენლები დუმილს ირჩევენ. იუსტიციის სამინისტრომ კი BMG-ის მოთხოვნილ ინფორმაციას ხუთთვიანი დაგვიანებით უპასუხა და წერილში აღნიშნა, რომ „ნამახვანჰესის“ პროექტთან დაკავშირებით წაგებულ დავაზე გადაწყვეტილების გაუქმების მიზნით სარჩელი შეტანილია სასამართლოში და ამჟამად შესაბამისი წარმოება მიმდინარეობს.

რომან ბოცირიძის შეფასება

საქართველოს ეროვნული ბანკის ყოფილი ხელმძღვანელი, პარლამენტის ყოფილი წევრი რომან ბოცირიძე ყურადღებას ამახვილებს როგორც არბიტრაჟში წაგებულ თანხებზე, ასევე იმ ფულზე, რომელიც სახელმწიფომ იურიდიულ მომსახურებაზე დახარჯა, თუმცა, მაინც გამტყუნდნენ.

„საქართველოს მთავრობამ მის მიერ გაფუჭებული საქმეების მოსაგვარებლად საერთაშორისო არბიტრაჟებში დავის გამო 2016-2024 წლებში მხოლოდ საადვოკატო მომსახურებაზე დახარჯა დაახლოებით 350 მილიონი ლარი.

საერთაშორისო არბიტრაჟებში დღეისათვის გვედგებიან 3,3 მილიარდ დოლარს. ასეულ მილიონობით დოლარი უკვე გადავიხადეთ ან გადასახდელია არბიტრაჟებში დასრულებულ საქმეებზე.

კატასტროფული შედეგები დადგა შარშან, რომლის მიჩქმალვაც უნდა მთავრობას და ხმას არ

იღებს: ნამახვანის ჰესიდან ინვესტორის გაძევების შედეგად ქვეყანას დაეკისრა 383 მილიონი დოლარის გადახდა (საერთაშორისო სავაჭრო პალატის, ICC-ის არბიტრაჟში, პარიზი), ხოლო რუსულ „ინტერ-რაოსთან“ დავაში დაგვეკისრა 76 მილიონი დოლარის გადახდა (სტოკჰოლმის საერთაშორისო არბიტრაჟი).

„ინტერ-რაოს“ საქმე დამთავრებულია და გასაჩივრებას არ ექვემდებარება „ნამახვანთან“ დაკავშირებით მხოლოდ პროცედურებზე შეიძლება ვედავოთ, დრო მოვივოთ, მაგრამ თითქმის ასპროცენტის ალბათობით შედეგები არ შეიცვლება.

460 მილიონი დოლარი ანუ თითქმის იმდენი, რამდენიც ანაკლიის აშენებას ეყოფოდა დააკარგვინა ქვეყანას ამ რუსულმა რეჟიმმა. ეს არის დიდი დანაშაული და ყველამ უნდა ავოს პასუხი. მხოლოდ ეს ორი ფაქტი საკმარისია, რომ „ოცნების“ მთელი მთავრობა გასამართლეს. „ინტერ-რაოს“ შემთხვევაში უშუალო პასუხისმგებელია კახა კალაძე, ხოლო თურქული „ენკას“ შემთხვევაში – ირაკლი ღარიბაშვილი“, – აღნიშნა ბოცირიძემ.

როგორც ჩანს, სახელმწიფოს საკმაოდ დიდი თანხის გადახდა მოუწევს საერთაშორისო არბიტრაჟებში წაგებული დავების სანაცვლოდ. თუმცა, როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, მთავარი პრობლემა ბიუჯეტიდან ჯარიმაში გადახდილი ფული არც არის – ქვეყნისთვის გაცილებით მძიმეა ის რეპუტაციული ზიანი, რაც ცივილიზებული სამყაროს თვალში ისედაც არ აკლია „ქართული ოცნების“ მმართველობის გამო.

თემურ იობაშვილი

სესხებზე საპროცენტო განაკვეთების კლებას ველოდებით – საბანკო ასოციაცია

საბანკო ასოციაციაში ვარაუდობენ, რომ მიმდინარე წლის ბოლომდე ლარის სესხებზე საპროცენტო განაკვეთი შემცირდება. როგორც ასოციაციის პრეზიდენტმა, ალექსანდრე ძნელაძემ განაცხადა, გასულ პერიოდში სესხების გაძვირება მათ შორის იმ ფაქტორით იყო გამოწვეული, რომ ლარში სადეპოზიტო პორტფელი შედარებით ნაკლები ტემპით იზრდებოდა.

მისი განმარტებით, ბოლო პერიოდში ბაზარზე დამატებითი ლარის რესურსი გაჩნდა, მათ შორის ეროვნული ბანკის სავალუტო ინტერვენციების გამო. შესაბამისად, მოლოდინია, რომ წლის ბოლომდე საპროცენტო განაკვეთები უნდა შემცირდეს.

„წლის დასაწყისში ლარის გარკვეული დეფიციტი არსებობდა, რამაც საპროცენტო განაკვეთებზეც იქონია მცირე ზეგავლენა. თუმცა, როგორც იცით, უკანასკნელ პერიოდში ეროვნულმა ბანკმა ინტერვენციები განახორციელა და უცხოური ვალუტა შეიძინა, რამაც გარკვეულწილად ლარის დამატებითი რესურსი გააჩინა ბაზარზე. ასევე სხვადასხვა მიმართულებით მოხდა ლარის გრძელვადიანი რესურსის გამოთავისუფლება, რომლის მინოდებაც მოხდა საბანკო სექტორისთვის. თუმცა, კვლავინდებურად, როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდმაც განაცხადა, გამონვევად მაინც რჩება გრძელვადიანი ლარის რესურსი შედარებით მცირე ბანკებისთვის, ვიდრე საბანკო სექტორის მსხვილი მოთამაშეებისთვის.

დეფიციტის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ლარში სადეპოზიტო პორტფელის ზრდის ტემპი უფრო ნაკლები იყო, ვიდრე საკრედიტო პორტფელის იზრდებოდა. დღეის მდგომარეობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საკრედიტო პორტფელის ზრდის ტემპიც აღარაა ისეთი აქტიური ზაფხულიდან და სხვადასხვა ფაქტორიდან გამომდინარე. ამიტომ წლის ბოლომდე ლარში საპროცენტო განაკვეთების უფრო შემცირებას ველით, ვიდრე ზრდას“, – განაცხადა ალექსანდრე ძნელაძემ.

ცნობისთვის, ბოლო ერთ წელში ლარში გაცემული სესხების საშუალო საპროცენტო განაკვეთი დაახლოებით 1.5 პროცენტული პუნქტით, თითქმის 16%-მდეა გაზრდილი. ამავე პერიოდში გაძვირდა ლარის იპოთეკური სესხებიც და წელს ივნისში ამ სეგმენტის ეროვნული ვალუტის სესხების საშუალო განაკვეთმა 13%-ს გადააჭარბა.

საქართველოში ინფლაცია ბრძოლა

რამ გამოიწვია სამომხმარებლო ფასების მზარდი ტენდენცია

როგორც ჩანს, საქართველოში დაბალი ინფლაციის ეტაპი დასრულდა. 2023 წლის აპრილის შემდეგ წლებად აღიარებულ ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელზე, 3%-ზე დაბალი იყო ყოველთვის. აპრილიდან მოყოლებული კი მაჩვენებელი ყოველთვის მატულობს. წლიურმა ინფლაციამ აპრილში 3,2%, მაისში 3,5%, ივნისში 4,1%, ივლისში კი 4,3% შეადგინა. თუკი ტენდენცია გაგრძელდა, მომდევნო თვეებშიც კიდევ უფრო გაზრდილ ინფლაციას უნდა ველოდოთ, რაც ნამდვილად არ არის სასარბილო.

წინა წლების მდგომარეობა მოკლედ

თუ გავიხსენებთ, საქართველოში ბოლო წლებში ინფლაცია ყველაზე მაღალი 2021 წლის დეკემბერში იყო, 13,9%. მაშინ ინფლაცია მკვეთრად გაიზარდა წლის განმავლობაში – იანვრის 2,8%-დან დეკემბრის 13,9%-მდე. ზრდის მთავარ მიზეზად გლობალური ფასების ზრდა, ლარის გაუფასურება, ენერჯორესურსების გაძვირება და პანდემიის შემდგომი ეკონომიკური წნეხი დასახელდა.

2022 წელს ინფლაცია წლის პირველ ნახევარში მაღალი იყო (13-14%), რაც ძირითადად სურსათის, ენერჯისა და საცხოვრებლის ხარჯების ზრდით აიხსნება.

წლის მეორე ნახევარში წლიური ინფლაცია თანდათანობით შემცირდა, დეკემბერში 9,8%-მდე, რაც ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებასა და ბაზრის სტაბილიზაციას უკავშირდება.

2023 წელს ინფლაცია მკვეთრად შემცირდა წლის განმავლობაში – იანვრის 9,4%-დან დეკემბრის 0,4%-მდე.

კლების ტენდენცია ძირითადად განპირობებული იყო გლობალური ფასების სტაბილიზაციით, ლარის „გამყარებით“ და ეროვნული ბანკის მკაცრი მონეტარული პოლიტიკით.

2024 წელს ინფლაცია წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად დაბალი იყო წინა წლებთან შედარებით.

ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ოქტომბერში (0,3%), ხოლო წლის ბოლოს, დეკემბერში, ინფლაცია 1,9%-მდე გაიზარდა.

2025 წელი – ინფლაცია მზარდია

იანვრიდან მოყოლებული, საქართველოში 2025 წელს ინფლაცია ყოველთვის მატულობს. როგორც სტატისტიკის დასაწყისში აღვნიშნეთ, მიზნობრივ მაჩვენებელს, 3%-ს აპრილში გადასცდა, მანამდე კი ყოველთვის მატებით მიაღწია.

ინფლაციის მაჩვენებელი 2025 წლის განმავლობაში ასე იცვლებოდა:

თვე	წლიური ინფლაცია (%)	თვიური ცვლილება (%)
იანვარი	2.0	+0.4
თებერვალი	2.3	+0.2
მარტი	2.9	+0.5
აპრილი	3.2	+0.3
მაისი	3.5	+0.4
ივნისი	4.1	+0.3
ივლისი	4.3	-0.2

ინფლაცია თანდათანობით იზრდება იანვრიდან ივლისამდე, რაც ძირითადად სურსათის ფასების მატებითაა განპირობებული.

საქსტატი ინფლაციას ყოველთვის 300-ზე მეტი დასახელების საქონლის ფასის გამოკვლევით ითვლის. საქსტატის თანახმად, ივლისში ინფლაციამ 4,3% შეადგინა, რაც ბოლო ორი წლის განმავლობაში ფასების ზრდის მაქსიმალური მაჩვენებელია. ინფლაციის დეტალური ანგარიშის მიხედვით, ივლისში წინა წელთან შედარებით ყველაზე მეტად 124%-ით ლიმონი გაძვირდა. მეორე ადგილზეა კივი ფასის 65%-იანი მატებით, მესამეზე კი კარტოფილი ფასის 55%-იანი მატებით.

2025 წლის ივლისში ყველაზე გაძვირებული საქონლის ჩამონათვალი:

№	პროდუქტი	ფასის ცვლილება
1	ლიმონი	124%
2	კივი	65%
3	კარტოფილი	55%
4	ნიორი	35%
5	კაკაო	32%
6	ქორწინების 958 სინჯის ოქროს ბეჭედი	29%
7	საავადმყოფოს მომსახურება	26%
8	ნაყინი	26%
9	ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტები	23%
10	მანდარინი	23%

რაც შეეხება ყველაზე გაიაფებულ საქონელს, წელს ყველაზე მეტად – 27%-ით გაიაფდა კიტრი, ასევე 25%-ით გაიაფებულად ითვლება ინტერნეტის ტარიფი, რადგან გასულ წელს კომპანიებმა ტარიფის შენარჩუნებით ინტერნეტის სიჩქარის გაზრდის გადაწყვეტილება მიიღეს, ასევე 19%-ით არის შემცირებული წიწაკის ღირებულება, საზამთრო კი 16%-ით არის გაიაფებული.

№	პროდუქტი	ფასის ცვლილება
1	კიტრი	-27%
2	ინტერნეტის გადასახდელი	-25%
3	წიწაკა	-19%
4	საზამთრო	-16%
5	ქალის შარვალი	-16%
6	მწვანე ლობიო	-15%
7	სპორტული ფეხსაცმელი	-14%
8	მამაკაცის დათბუნებული ქურთუკი	-12%
9	ღიზელის საწვავი	-11%
10	მაცივარი	-11%

მქსაპრტმზის კომენტარები

ინფლაციის გაზრდილ მაჩვენებელზე კომენტარი გააკეთა ეკონომისტმა პაატა ბაირახტარმა. როგორც მან გაზეთ „რეზონანსს“ განუცხადა, მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა და მომდევნო თვეებში მოსალოდნელია არსებული მზარდი ტენდენციის შენარჩუნება.

როგორც ბაირახტარი ამბობს, ფასების მაჩვენებლებს თვიურ ჭრილში თუ შევხედავთ, გამოჩნდება, რომ სამომხმარებლო ფასები ზოგ შემთხვევაში შემცირებულია წინა თვესთან შედარებით, რაც დაკავშირებულია სეზონურ ფაქტორთან.

„ჩვენი ეკონომიკა სეზონურია და რიგ პროდუქტებზე ზაფხულის პერიოდში ღირებულება იკლებს ხოლმე, განსაკუთრებით კი ამაზე ზეგავლენა მოახდინა ბოსტნეულმა და ბალჩეულმა. რაც შეეხება წლიურ შედეგს, აქ ნამდვილად გვაქვს ზრდა 4%-ით, რაც მიზნობრივ მაჩვენებელზე მაღალია, თუმცა ქვეჯგუფებს თუ ჩავშლით, გამოჩნდება, რომ სიტუაცია გაცილებით მძიმეა. მაგალითად, ისეთ პროდუქტებზე, რომლებიც მოწყვლადი ფენებისთვის მნიშვნელოვანია (სურსათი და უალკოჰოლო სასმელები), წლიურ ჭრილში აღინიშნება ფასების 10%-იანი მატება, რაც საკმაოდ მტკივნეულად აისახება ჩვენი მოსახლეობის დიდ ნაწილზე, რადგან საქართველოს სამომხმარებლო

კალათაში ამ ჯგუფს ყველაზე დიდი წილი უჭირავს. 40%-მდეა სამომხმარებლო კალათაში სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების წილი, რაც ძალიან მაღალი მაჩვენებელია.

ასევე მტკივნეულია ფასების ზრდა ჯანდაცვის სექტორში, სადაც 9%-ზე მაღალია მატება წლიურ ჭრილში. ჩვენი მოსახლეობა 4%-იან ინფლაციას უფრო მტკივნეულად სწორედ ამ გარემოებების გამო აღიქვამს.

რაც შეეხება პროგნოზს, მე ველოდები, რომ წლის მეორე ნახევარში ინფლაციის დონე უფრო გაიზრდება და მიმდინარე წლის ინფლაცია მიზნობრივზე მაღალ მაჩვენებელზე შენარჩუნდება“, – განაცხადა „რეზონანსთან“ პაატა ბაირახტარმა.

შედარებით ოპტიმისტური განწყობა აქვს სტატისტიკოს სოსო არჩვაძეს. მან კომენტარი ჯერ კიდევ ივნისის თვის მაჩვენებელზე გააკეთა და აღნიშნა, რომ საქართველოში ინფლაციის ბოლოდროინდელ ზრდაზე გავლენას საერთაშორისო ფაქტორები ახდენს, თუმცა, საქართველოში სამომხმარებლო ფასების მნიშვნელოვანი ზრდა აღარ არის მოსალოდნელი, თუკი რამე ფორს-მაჟორული არ მოხდა გლობალური მასშტაბით.

„ივნისში ინფლაცია 4%-ზე დაფიქსირდა, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია და შემძლია ვითხრათ, რომ 2023 წლის მარტის შემდეგ ასეთი მაღალი მაჩვენებელი საქართველოს არ ჰქონია, რაც, პირველ რიგში, უკავშირდება იმას, რომ ჩვენ დიდწილად დამოკიდებული ვართ გლობალურ ბაზრებზე და ძალიან ხშირად სწორედ ეს ფაქტორი ახდენს გავლენას ჩვენს შიდა სამომხმარებლო ფასებზე, მაგრამ თუ წინა თვესთან შედარებით არსებულ სურათს შევხედავთ, ვნახავთ, რომ სიმბოლური, თუმცა მაინც შემცირებაა, რაც ბოლო ათი წლის განმავლობაში არ ყოფილა. ეს ნიშნავს, რომ ფასების დონემ პიკურ ზღვარს მიაღწია და მისი ზრდის შემდგომი ეკონომიკური საფუძველი, რამე ფორს-მაჟორული გარემოება თუ არ მოხდა გლობალური მასშტაბით, ნაკლებად მოსალოდნელია“, – განაცხადა არჩვაძემ.

მისი თქმით, მომავალს ზომიერი ოპტიმიზმით უნდა შევხედოთ. „ახლა ისეთ რეჟიმში გვიწევს არა მხოლოდ ჩვენ, არამედ მთელ მსოფლიოს ცხოვრება, რომ წინასწარ რაიმე პროგნოზის გამოთქმა საკმაოდ ძნელია, თუმცა 3%-იანი მიზნობრივი მაჩვენებელი, რომელზეც ორიენტაცია გვაქვს აღებული, წინა წლებში გაცილებით დაბალ დონეზე იყო შენარჩუნებული“, – განუცხადა სოსო არჩვაძემ „რეზონანსს“.

„თიბისი კაპიტალის“ შეფასება

„თიბისი ბანკის“ შვილობილი – „თიბისი კაპიტალი“, რომელიც საბროკერო, კვლევითი და საინვესტიციო კომპანიაა, პერიოდულად აქვეყნებს მიმდინარე მოვლენების შესახებ მიმოხილვებს. ამჟამად

შპს „ცოდნისა“-ს შვილობილმა კომპანიამ – შპს „იბერ-ინფომ“ 11,5-წლიანი სასამართლო დავა (საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერთან“ დაკავშირებით) გამარჯვებით დაასრულა!



2024 წლის 16 მაისს უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა განჩინება (საქმე № 330210013162326) დავაზე, რომელიც წარმოებდა საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერთან“ დაკავშირებით შპს „იბერ-ინფოს“ სარჩელზე შპს „ეფემჯი სოფტის“ და შპს „ფინანსური მართვის ჯგუფის“ წინააღმდეგ.

ვინაიდან უზენაესმა სასამართლომ არ მიიღო წარმოებაში ეს სარჩელი, ამით მან ძალაში დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც შპს „იბერ-ინფოს“ სარჩელი ცნობილი იქნა სამართლიანად (ვინაიდან ძალაში დარჩა მანამდე მიღებული თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება) და მონინააღმდეგე მხარეს, შპს „იბერ-ინფოსთვის“ გადასახდელად დაეკისრა დიდი ოდენობის ჯარიმა მის მიერ 2010-2012 წლებში განხორციელებული ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფისა და საავტორო უფლებების დარღვევის გამო (აღნიშნული გადაწყვეტილების დასკვნითი ნაწილის მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად).

ამით ეს დავა, რომელიც 2012 წლის დეკემბერში დაიწყო და შესაბამისად, უპრეცედენტოდ დიდხანს – 11,5 წლის განმავლობაში გაგრძელდა, დასრულდა შპს „იბერ-ინფოს“ გამარჯვებით!

შპს „იბერ-ინფომ“ არის შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“-ს ერთ-ერთი შვილობილი კომპანია, რომელიც 1997 წლის ნოემბერშია დაფუძნებული და მას შემდეგ საქართველოში ავრცელებს საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერს“. დღეისათვის, ეს საქართველოში ფართოდ გავრცელებული და პოპულარული პროგრამაა.

„თიბისი კაპიტალი“ გაზრდილი ინფლაციის შესახებ ავრცელებს ანგარიშს.

„წლიური ინფლაცია ივლისში 4.3%-მდე გაიზარდა, რაც ივნისის მონაცემს 0.3 პროცენტული პუნქტით აღემატება და 2023 წლის მარტის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. მიუხედავად ამისა, ივნისის 7.3%-თან შედარებით საგრძნობლად შემცირდა სეზონურად შესწორებული და გაწლიურებული ყოველთვიური ინფლაცია და ივლისში მიზნობრივ მაჩვენებელზე უმნიშვნელოდ მეტი, 3.1% შეადგინა. თვიურ ჭრილში ინფლაციური ზეწოლის კლებაზე მიუთითებს სხვა ანალიტიკური საზომებიც, როგორცაა სხვადასხვა მეთოდით გაანგარიშებული საბაზო ინფლაცია. მთლიანობაში, 2024 წლის ნოემბრის შემდეგ, სეზონურად შესწორებული ყოველთვიური ინფლაცია, წინა პერიოდებთან შედარებით, საკმაოდ მაღალია, რაც ყურადსაღები ფაქტორია. ამავდროულად, ინფლაციის მიმდინარე დინამიკა ჩვენს მოლოდინებთან თანხვედრაშია. თიბისი კაპიტალის პროგნოზით, მომდევნო თვეებში ინფლაცია კვლავ გაიზარდება, წლის ბოლოსთვის კი, საბაზო ეფექტის გათვალისწინებით, მცირედით შენელებს“, – აღნიშნულია ორგანიზაციის

მიმოხილვაში. მიმოხილვაში ასევე აღნიშნულია, რომ მომსახურების ინფლაციამ, რომელიც ინფლაციური მოლოდინებისა და გრძელვადიანი ტენდენციის შეფასებისთვის ყველაზე შესაფერისია, რადგან ნაკლები მერყეობითა და იმპორტული კომპონენტის შედარებით მცირე წილით ხასიათდება, ივლისში 3% შეადგინა. მომსახურების ინფლაცია მიმდინარე წელს ჯამური მაჩვენებლის ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია და, მომდევნო თვიდან ინტერნეტის გადასახადის ერთჯერადი ეფექტის ამოწურვის შემდგომ, კვლავ გაიზარდება. ამასთან, საყურადღებოა, რომ მომსახურების ფასების ზომიერი ზრდა, თუნდაც მიზნობრივ მაჩვენებელზე მეტად, აუცილებლად ინფლაციურ ზეწოლაზე არ მიუთითებს, რადგან განვითარებად ეკონომიკებში მწარმოებლურობის დონის ზრდას არავაჭრობად სექტორებში ფასების ზრდა კანონზომიერად მოსდევს. მომსახურებასთან ერთად, გაზრდილია საქონლის ინფლაციაც, დიდწილად სურსათის ფასების მნიშვნელოვანი მატების გამო. საერთაშორისო და ადგილობრივი ფაქტორების ერთობლიობით, მოსალოდნელია, რომ საკვებზე ფასების

ზრდა მომდევნო თვეებშიც გაგრძელდება.

ორგანიზაციის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველოში ინფლაციის ზრდის მიზეზი ადგილობრივია და, უცხოური გავლენა პირიქით, ინფლაციის კლებას უწყობს ხელს. მარტივად რომ ვთქვათ, ადგილობრივი პროდუქციის გაძვირება იწვევს ინფლაციის ბოლოდროინდელ ზრდას, ხოლო, იმპორტული საქონელი, მათ შორის საწვავი, მეტწილად გაიაფებით ხასიათდებოდა.

„ინფლაციის ბოლოდროინდელი აჩქარება ადგილობრივ და შერეულ პროდუქტებზე მზარდი ფასებითაა განპირობებული, ხოლო იმპორტული ინფლაცია უარყოფითია. ამდენად, სურათი განსხვავებულია 2021-2022 წლების ეპიზოდისგან, როდესაც ინფლაციის ზრდის მთავარი წყარო იმპორტული საქონელი იყო.

ადგილობრივი პროდუქციის ინფლაციის მატებაში მიმდინარე წელს ყველაზე დიდი წილი სურსათზე მოდის – განსაკუთრებით, პურზე, ყველსა და ხორცზე – თუმცა, საკვების გარდა, ფასები პროდუქტების ფართო სპექტრზეა გაზრდილი. სურსათი – უპირველესად, მხესუმზირას ზეთი, კარტოფილი და შოკოლადი – განაპირობებდა ყველაზე მეტად შერეული პროდუქციის ინფლაციის ზრდასაც, მედიკამენტებთან ერთად. რაც შეეხება იმპორტულ ინფლაციას, რომელიც უარყოფითია, ერთი მხრივ, ზრდის კუთხით გამოვყოფთ ყავისა და სიგარეტის (მათ შორის, აქციზის გადასახადის გავლენით) ფასებს, ხოლო, მეორე მხრივ, კლების კუთხით აღსანიშნავია, პირველ რიგში, ფასები საწვავზე და, აგრეთვე, ელექტრონულ მოწყობილობებსა და ჭურჭელზე, სხვა სიტყვებით – გრძელვადიანი მოხმარების საქონელზე.

მართლაც, თუ პროდუქტებს მოხმარების ხანგრძლივობის მიხედვით დავაჯგუფებთ, 2025 წელს მოკლევადიანი მოხმარების საქონელს ჯამურად იმპორტულ ინფლაციაში წვლილი, ფაქტობრივად, არ შეუტანია, მიუხედავად იმისა, რომ რაოდენობრივად იმპორტული პროდუქციის ნახევარზე მეტს წარმოადგენს. საპირისპიროდ, დეფლაცია მთლიანად საშუალო და გრძელვადიანი მოხმარების საქონელზე მოდიოდა. ამავდროულად, ადგილობრივი პროდუქტების ინფლაციაში წამყვანი მომსახურება და მოკლევადიანი მოხმარების საქონელი იყო, ხოლო შერეული პროდუქტების ინფლაციაში – აგრეთვე მოკლევადიანი მოხმარების საქონელი. ინფლაციის ფაქტორების ეს ასიმეტრია კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს გრძელვადიანი მოხმარების საქონლის როლის მნიშვნელობას მიმდინარე მაკროეკონომიკურ გარემოში, რაზეც არაერთხელ გვისაუბრია, და ადასტურებს, რომ ინფლაცია სულ უფრო მეტადაა განპირობებული ადგილობრივი ფაქტორებით“, – აღნიშნავს „თიბისი კაპიტალი“.

ორგანიზაცია ასევე ყურადღებას ამახვილებს ინფლაციაზე ირიბი გავლენის მომხდენ სხვა

ფაქტორებზეც.

„სხვა მაჩვენებლების მხრივ, მთლიანმა სავალუტო რეზერვებმა ივლისის ბოლოს მდგომარეობით 5 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია, რაც ივნისთან შედარებით 7.1%-ით, ანუ \$331 მილიონი აშშ დოლარითაა გაზრდილი. რეზერვების ზრდა თანხვედრაშია საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ ივლისში ინტერვენციების აჩქარების ჩვენს მოლოდინებთან. არსებული შეფასებით, მოცულობითი ინტერვენციები აკვისტოს პირველ კვირაშიც ვრძელდება. როგორც ადრეც აღინიშნა, ინფლაციური ზეწოლის დამატებით მნიშვნელოვანი გაძლიერების შემთხვევაში, რაც, ვფიქრობთ, რომ სადღეისოდ საბაზო სცენარი არაა, უცხოური ვალუტის არსებული სიჭარბე, სავარაუდოდ, ლარის უფრო მეტ „სიმყარეში“ აისახება. ეს განსაკუთრებით საყურადღებოა იმის ფონზე, რომ „თიბისი კაპიტალის“ მოკლევადიანი და გრძელვადიანი წონასწორობის ჩარჩოს თანახმად, ლარი წონასწორობაში დონესთან შედარებით უფრო სუსტი რჩება. კერძოდ, მართალია, დოლარის გლობალური გაუფასურების ფონზე ლარი დოლართან მიმართებით მცირედით გამყარდა, თუმცა კიდევ უფრო მეტად გამყარდა საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ვალუტები. ამდენად, ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი, შეწონილი სავაჭრო პარტნიორების ვალუტების მიმართ, პირიქით, გაუფასურდა, რაც იმპორტული პროდუქციის გაძვირების გარკვეულ რისკს შეიცავს.

ამავდროულად, ინფლაციის მიმდინარე დინამიკა ჯერ კიდევ აქცენტის გაკეთებას უფრო ადგილობრივ მოთხოვნასა და საპროცენტო განაკვეთებზე მიაბრუნებს, ვიდრე ლარის გაცვლით კურსზე, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, ინფლაციის მხრივ არა იმპორტული, არამედ ადგილობრივი პროდუქტები დომინირებს. რასაკვირველია, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ადგილობრივად წარმოებული პროდუქტის შუალედური მოხმარებისთვის იმპორტის საკმაოდ მაღალ კომპონენტსაც მოიცავს. ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ ბოლო შეხვედრისას, რომელიც 30 ივლისს გაიმართა, სებ-მა საპროცენტო განაკვეთი 8%-იან ნიშნულზე შეინარჩუნა“, – აღნიშნულია მიმოხილვაში.

ჩვენი მხრიდან კი, კიდევ ერთხელ შეგვიძლია აღვნიშნოთ – ინფლაციის ზრდა სამომხმარებლო ფასების ზრდას ნიშნავს და უფრო ნაკლებ ხელმისაწვდომობას ამა თუ იმ პროდუქტისაზე. ასეთ შემთხვევაში, თუ შემოსავალმა არ გადააჭარბა ინფლაციას, სიღარიბე კიდევ უფრო მოიმატებს. რაც შეეხება „გლობალურ ფაქტორებს“, როგორც ჩანს, დღეს მიზეზად ეგ ნაკლებად გამოდგება. ევროკავშირში და ევროზონაში საქართველოსთან შედარებით დაბალი ინფლაციაა და საშუალოდ 3%-ს შეადგენს. რაც აქ, ჩვენთან ხდება, ეს ადგილობრივი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგია.

თემურ იობაშვილი

ქვეყანაში ხორბლის წარმოება იზრდება, მაგრამ ყველა უკმაყოფილოა – ინფლაცია, ფერმერი და პურის მცხობელიც

წელს 200 ათას ტონამდეა ხორბლის მოსავალი, რომლიდანაც ნახევარი საფურაჟეა

საქართველოში ხორბლის მოსავლიანობა იზრდება, თუმცა ხარისხი კვლავ დიდი გამოწვევაა. არსებული პროგნოზით, წელს მოსავლის მოცულობა 200 000 ტონას მიაღწევს, მაგრამ მისი ნახევარი ადამიანის საკვებად გამოუსადეგარი იქნება. ამის მიზეზად სექტორში უამინდობას ასახელებენ, თუმცა ეს მხოლოდ მიმდინარე პრობლემა არ არის. ასეა თითქმის ყოველ წელს. მოწეული მოსავლის მინიმუმ ნახევარი საფურაჟეა (რომელიც მხოლოდ მესაქონლეობაშია გამოიყენება) და ადამიანის კვების რაციონში მისი შეტანა არ შეიძლება.

პურის მწარმოებლები თესლის დაბალ ხარისხზე ამახვილებენ ყურადღებას და აცხადებენ, რომ მთავრობის და ფერმერების ძალისხმევა სწორედ აქეთკენ უნდა იქნას მიმართული და ხორბლის ჯიშობრივი გაუმჯობესება მოხდეს, რაც, თავის მხრივ, ფასზეც აისახება. რადგანაც ეს ვერ ხერხდება, წისქვილკომბინატების მიერ წარმოებული ფქვილის ხარისხი გაუარესდა, რაც სავაჭრო ობიექტებში დახლებზე განთავსებულ პურსაც ეტყობა.

2025 წლის დასაწყისში 1 კგ სასურსათო ხორბალი დაახლოებით 90-95 თეთრი ღირდა, თუმცა შემდეგ ვითარება შეიცვალა და ფასი დაბლა წამოვიდა. დღეს წისქვილკომბინატებში ჩაბარების ფასი მაქსიმუმ 70 თეთრია, ხოლო 65 თეთრი კვება ზღვარია. მაღალ ფასს შეჩვეულ ფერმერებს, ეს ტენდენცია უკვე აღარ მოსწონთ.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემით, ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოში ხორბლის წარმოება 135-150 ათასი ტონის ფარგლებშია. საერთაშორისო ტენდენციების ფონზე, მნიშვნელოვანი პროგრესია მიღწეული საშუალო საპექტარო მოსავლიანობის მხრივ. 2023 წელს ეს მაჩვენებელი შეადგენდა 2.6 ტონას ერთ ჰექტარზე, ხოლო 2024 წელს 3 ტონამდე გაიზარდა.

ნათესი ფართობის მოცულობა ასევე სტაბილურია და 50-55 ათასი ჰექტარის ფარგლებში მერყეობს. ხორბლის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი ბოლო ოთხი წლის განმავლობაში შეადგენს საშუალოდ 22%-ს, რაც მნიშვნელოვნად აღემატება 2017-2020 წლების მაჩვენებელს, როდესაც კოეფიციენტი, საშუალოდ, 15% იყო.

მიუხედავად ამისა, თვითუზრუნველყოფის ზრდამ

არსებული პრობლემები ვერ მოაგვარა და ხარისხის გამო ქართული პურის წარმოებაში ადგილობრივი ნედლეული ნაკლებად გამოიყენება. ეს არ არის მხოლოდ წლებგანდელი პრობლემა. ზედიზედ რამდენიმე წელია, ქართული ხორბლის ხარისხი სტანდარტს ვერ პასუხობს და სახელმწიფოს მუდმივად უწევს მასზე ფასის ხელოვნური შენარჩუნება. სწორედ ამას ემსახურება იმპორტულ ფქვილზე მოსაკრებლის დაწესება, რომელიც 1 ტონაზე უკვე 300 ლარს შეადგენს. მიდგომა მინიმუმ წლის ბოლომდე შენარჩუნდება, მომავალში გაგრძელების პერსპექტივით.

რაც შეეხება წლებგანდელ მოსავალს, „საქართველოს ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის“ აღმასრულებელი დირექტორის ლევან სილაგავას ინფორმაციით, საქართველოში ხორბლის მოსავალი 2025 წელს შესაძლოა, 200 ათასი ტონა იყოს, რაც 2024 წელთან შედარებით, დაახლოებით 35%-ით მეტია. სილაგავამ ჩვენთან საუბრისას ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ საქართველოში წვიმებმა მარცვლეულის მოსავლის აღების პროცესი დროებით შეანელა, რაც ხარისხზე აისახა და სასურსათო ხორბლის ნაწილი არასასურსათოს კატეგორიაში გადავიდა.

მთლიანობაში, ფუნდამენტური ფაქტორების გათვალისწინებით, მესხორბლეობაში არსებული მდგომარეობა სტაბილურია. როგორც ლევან სილაგავა ვარაუდობს, დინამიკა შენარჩუნდება.

„მოსავალი ჯერ დაბინავებული არ არის, მაგრამ უკვე გამოკვეთილია, რომ მსოფლიოში ყველგან სტაბილურობაა. ფუნდამენტური ფაქტორები ამას მიუთითებს. შესაბამისად, საქართველოს ბაზარზეც ანალოგიური ვითარებაა. 15 სექტემბრიდან უფრო გამოიკვეთება სიტუაცია და მოსავლის საკითხიც საბოლოოდ გაირკვევა.“

სამწუხაროდ, ხარისხი არის მნიშვნელოვანი გამოწვევა. პირველ ხანებში, უამინდობის გამო, ხორბლის დიდი რაოდენობა საკვებად გამოუსადეგარი გახდა. ახლა დასაწყობება ხდება, საბოლოო სურათი სექტემბერი გვეცოდინება – რამდენია მოწეული და როგორ. დაანონსებული რაოდენობა 200 000 ტონაა და ვფიქრობ, პროგნოზი გამართლდება.

გლობალურ ბაზრებზეც სტაბილურობაა, მათ შორის, რუსეთში, ყაზახეთში, უკრაინასა და ევროკავშირშიც.

ერთადერთი ფაქტორია, რომ რუსეთში რუბლი არასტაბილურია, რამაც შეიძლება საექსპორტო ფასში გარკვეული კორექტირება შეიტანოს. პოლიტიკური მდგომარეობაც საყურადღებოა და გარკვეულწილად იქონიებს გავლენას.

ბოლო პერიოდში გამოიკვეთა ტენდენცია, რომ ირანში გადის ქართული ხორბალი, ზუსტად რა რაოდენობაა ვერ გეტყვით. სტატისტიკური ინფორმაცია შემოდგომაზე გამოქვეყნდება, მთავარია, რომ ქართული ხორბალი უკვე საექსპორტო მაჩვენებლებითაც გამოირჩევა და ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ მისი ხარისხობრივი დონე გაუმჯობესდეს“, – განაცხადა ლევან სილაგავამ.

გარდა ამისა, წელს პირველი პრეცედენცია, როცა წისქვილკომბინატებმა და კომბინირებული საკვების მწარმოებელმა რამდენიმე ქარხანამ ფერმერებს ხორბლის შენახვა შესთავაზეს.

„ფერმერებს უკვე შეუძლიათ წისქვილკომბინატებსა და კომბინირებული საკვების ქარხნების ნაწილში ხორბლის მოსავლის შენახვა და მათთვის მისაღებ პერიოდში მოსავლის გაყიდვა. შექმნილია შტაბი, რომლის საკმაოდ ეფექტურად მუშაობს, შტაბში არიან წისქვილკომბინატები, მარცვლეულის ასოციაცია, პურის მწარმოებლები, ასევე, წელს შტაბს მეფრინველეობის ფაბრიკები და კომბინირებული საკვების მწარმოებელი ქარხნები დაემატა, რამაც უფრო ეფექტიანი გახდა საქმიანობა. შტაბში წყდება პრობლემური საკითხები და შეიძლება ითქვას, რომ საკმაოდ ეფექტიანად მუშაობს“, – აღნიშნა სილაგავამ.

მისი თქმით, წისქვილკომბინატებსა და ცხოველთა კომბინირებული საკვების ქარხნებში 1 ტონა ხორბლის შენახვის ტარიფი თვეში 1-დან 3 დოლარის ფარგლებშია.

„წელს პირველად ხდება ისიც, რომ წისქვილკომბინატებმა და კომბინირებული საკვების მწარმოებელმა რამდენიმე ქარხანამ შევთავაზეთ ფერმერებს ხორბლის შენახვა. არიან ფერმერები, ვისაც ახლა არ სურთ ხორბლის ჩაბარება. ჩვენ მათ შევთავაზეთ წისქვილკომბინატების საცავებში მარცვლეულის შენახვა და იმ პერიოდში, როდესაც მათთვის მისაღები ფასი იქნება, იმავე წისქვილკომბინატში ან სხვა წისქვილკომბინატში გაყიდვა. 1 ტონის შენახვის ღირებულება არის დაახლოებით 1 დოლარიდან 3 დოლარის ფარგლებში თვეში, რაც საკმაოდ ნორმალური ღირებულებაა. ეს პრაქტიკაა მსოფლიოში – ჩვენთან პირველად ამუშავდა“, – განაცხადა ლევან სილაგავამ.

დღესდღეობით, ხარისხთან ერთად, გამოწვევა არის ხორბლის ფასი. მარცვლეულის მწარმოებელთა გაერთიანების ხელმძღვანელი ნიკოლოზ ბენიაიძე ღიად აცხადებს, რომ ამჟამინდელი ფასი, პრაქტიკულად, მოწეული ხორბლის თვითღირებულების ტოლია, რის გამოც ფერმერები გაყიდვისგან თავს იკავებენ.

„ფერმერები თავს იკავებენ იმ იმედით, რომ მოსავლის სრულად დაბინავების შემდეგ ფასი გაიზრდება და გაყიდვას რეალური აზრი ექნება.

ჯერჯერობით ამის შესაძლებლობა არ არის, რადგან ფასი თვითღირებულებას არ აღემატება.

შარშან შედარებით ნაკლები ფართობი იყო დათესილი. შემოდგომაზე და ზამთარში მარცვლეულის გაძვირებასთან ერთად ნათესი სავარგულების ოდენობა მცირედით გაიზარდა. ეს არის მთავარი გამოწვევა, რადგან საქართველოში ვერ დგინდება ფასი, ძირითადი მოთამაშეები რუსეთი და ყაზახეთი არიან და ისინი ადგენენ წესებს.

შარშან წლის ბოლოს და მიმდინარე სეზონის დასაწყისამდე, ფაქტობრივად, 1 ლარამდე იყო ქართული ხორბლის ღირებულება, მაგრამ ახლა კვლავ დაბლა წამოვიდა. მნიშვნელოვანია, რომ მარცვლეულის ღირებულება როგორც წისქვილისთვის, ასევე მეპურეებისა და ფერმერებისთვის უნდა იყოს რეალური და სამართლიანი. წლიდან წლამდე პრობლემა მოსავლის ხარისხი და რაოდენობაა. ადგილობრივი მოსავალი 2-3 თვეზე მეტხანს არ გვეოფნის, რაც ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებისთვის დიდი პრობლემაა“, – განაცხადა ნიკოლოზ ბენიაიძემ.

დარგში არსებულ პრობლემაზე ამახვილებს ყურადღებას ფერმერი დედოფლისწყაროს რაიონიდან ელზა ოთიაშვილიც, რომლის შეფასებითაც, სერიოზული გამოწვევაა მოსავლიანობის ზრდა, რაც კვალიფიციურ სპეციალისტებს მოითხოვს. ხარისხი ხშირ შემთხვევაში ვერ პასუხობს სტანდარტს და საბოლოოდ ფასზეც ნეგატიურად აისახება.

„ჰექტარზე 2 ტონა ხორბალი დღეს ნორმალურ მოსავლიანობად მიიჩნევა, მაგრამ წლების წინ, საბჭოთა პერიოდში, ეს მაჩვენებელი 4 ტონას შეადგენდა. ერთი მხრივ პრობლემაა იმიტომ, რომ საჭირო დონეზე ვერ ვანოყიერებთ მიწას, რადგან გარკვეულ რესურსს და ცოდნას მოითხოვს, რის შესაძლებლობაც ფერმერების დიდ ნაწილს არ აქვს.

სამწუხაროდ, მემარცვლეობის სფეროში არ არსებობს აგრონომი, ვინც რეკომენდაციას გასცემს და სწორი მიმართულების შერჩევაში ეხმარება ფერმერებს. ამ მხრივ საკმაოდ რთული სიტუაციაა.

რა მოსავალიც წელს მივიღე, ხარისხი ნორმალური გამოვიდა. როგორც წესი და რიგი იყო, დავამუშავე მიწა, ნორმალური მოსავალი მივიღე. ამინდმაც ამ მხრივ, გარკვეულწილად, შეგვიწყო ხელი, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ფერმერების დიდი ნაწილი უკმაყოფილოა. ცალკე საკითხია ფასიც, როგორი კარგი ხორბალიც არ უნდა მიიღო, 60 თეთრზე ძვირად ვერ ყიდი, ამ დროს მოსავლის მოყვანა საკმაოდ დიდ ხარჯს უკავშირდება. აქ არ არის მხოლოდ მიწის დამუშავება და მარცვლეულის აღება, შენახვის პირობებიც აუცილებელია.

მთლიანობაში, კომპლექსურად ყველა რგოლი რომ გამართული იყოს, სპეციალისტი უნდა არსებობდეს. ამაზე შემთხვევით არ გამიმახვილებია ყურადღება, დარგი ამ მხრივ დიდ დეფიციტს განიცდის. შესაბამისად, ხორბალიც არ იყიდება იმ ფასად, რომ ხარჯი დაიფაროს

და მოგებაც დარჩეს. სერიოზული პრობლემის წინაშეა სექტორი და ეს მოცემულობა რომ შეიცვალოს, სახელმწიფოს მხრიდან მიდგომაც შესაცვლელია, მეწარმე ფერმერებს მთავრობა განსაკუთრებული ყურადღებას უნდა აქცევდეს“, – განაცხადა ფერმერმა ოთიაშვილმა ჩვენთან საუბრისას.

ხორბლის ხარისხის საკითხი განსაკუთრებით მტკივნეული თემაა პურის წარმოებისთვის. ეს სექტორი მთავრობისგან ფქვილის იმპორტისთვის დაწესებული გადასახადის გაუქმებას ითხოვს და აცხადებს, რომ ხარისხიანი პროდუქციის იმპორტი უნდა გაიზარდოს, რაც ხარისხის პრობლემას საბოლოოდ მოაგვარებს.

როგორც პურის მცხოვრებელთა ასოციაციის ხელმძღვანელმა მალხაზ დოლიძემ განაცხადა, ბაზრის სტაბილურობისთვის აუცილებელია, ბიუროკრატიული ბარიერი მოიხსნას.

„წელს 200 ათას ტონამდე ხორბლის მოსავალს ველოდებით და აქედან ნახევარი საფურაჟია, რაც პურის მცხოვრებლებისთვის არასახარბიელო ვითარებას ქმნის. ჩემი წინადადებაა, რომ მთავრობა ჩაერიოს და დაიწყოს პრობლემის მოგვარება. ჩვენთან, წისქვილკომბინატებში, ძირითადად, ყაზახური ხორბალია. ხდება კუპაჟი, ანუ ერთმანეთში შერევა. ხარისხობრივი მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად კარგია თუ ფქვილს რუსული ხორბალი შეერევა, რადგან ხარისხზე დადებითად აისახება.“

პურს სინესტე არ უნდა ჰქონდეს, ეს არის ქართული პროდუქტის ავადმყოფობა. რაც უფრო მშრალია, პროდუქტიც მით უკეთესია. ზაფხულის პერიოდში ფქვილი დაავადებისკენ არის მიდრეკილი, ამიტომ ყველა მეპურე ცდილობს, სიმჟავე არეგულიროს, 40%-ზე მეტი არ უნდა იყოს პურის მჟავიანობა, ამას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

ხარისხი მნიშვნელოვანია. ჩვენ პრობლემა გვაქვს იმის გამოც, რომ ბევრი მეწარმე გაურკვეველი წარმომობის თესლს იყენებს. სასწრაფოდ უნდა გაუმჯობესდეს ხორბლის ჯიშობრივი სტრუქტურა, ეს არის გადამწყვეტი. მთავრობამ მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი ფერმერებს, ამასთან, ფქვილზე დაწესებული გადასახადი მოიხსნას, თუ გვინდა, რომ პურის წარმოება უფრო სტაბილური გახდეს, ამ ნაბიჯების გადადგმა აუცილებელია“, – განაცხადა მალხაზ დოლიძემ ჩვენთან საუბრისას.

წინააღმდეგ შემთხვევაში, პურის მწარმოებლები მუდმივად ხარისხისა და ფასის პრობლემის წინაშე იქნებიან. ბოლო პერიოდში პური ორჯერ გაძვირდა და ახლა ერთი 500-გრამიანი ყველაზე ფართოდ მოხმარებადი ე.წ. ქვის პური 1.20 ლარი ღირს, როცა რამდენიმე თვის წინ 1.05 ლარი ღირდა. ამის მიზეზია ის, რომ 1 ტონარა ფქვილი 50 ლარიდან 58 ლარამდე გაძვირდა. მართალია, ბოლო რამდენიმე კვირაა გაიაფების ტენდენციაა და ახლა 1 ტონარა ფქვილი 53-54 ლარი ღირს, მაგრამ პურის მწარმოებელი ქარხნები გაიაფებას აღარ აპირებენ. მიზეზად უკვე გაზრდილი

ხარჯს, ბაზარზე არსებულ გაურკვეველობას და იაფი ფქვილის იმპორტის შეზღუდვას ასახელებენ.

იმპორტირებულ პროდუქტზე გადასახადი ქართველი მეხორბლეებისა და ადგილობრივი წისქვილების ხელშეწყობის მიზნით დაწესდა. აღნიშნული ბაჟი 2023 წლის ივნისიდან მოქმედებს და თავიდან ტონაზე 200 ლარი იყო, მაგრამ თანდათან მოიმატა და 300 ლარამდე გაიზარდა. ქერსა და ქატოზე გადასახადი კვლავ 0.20 ლარია, ანუ ტონაზე 200 ლარს შეადგენს.

გადასახადის დაწესების ძირითადი მიზანი იაფი რუსული ფქვილის იმპორტის შეზღუდვა იყო, რომელიც, ერთი მხრივ, ადგილობრივი მოსავლის რეალიზაციას დიდ პრობლემას უქმნიდა, ხოლო, მეორე მხრივ, წისქვილკომბინატები თითქმის სრულად გააჩერა, რადგან ხორბლის იმპორტი გაცილებით ძვირი ჯდება, ვიდრე ფქვილისა. მთავრობამ გადასახადის დაწესებით ფქვილის იმპორტს ხელოვნური ბარიერი შეუქმნა, რამაც ქართველ ფერმერებს და წისქვილკომბინატებს ამოსუნთქვის საშუალება მისცა, მაგრამ პრობლემა შეუქმნა პურის მწარმოებლებს. ადგილზე გადაუმავებული ფქვილი გაძვირდა, ხოლო ხარისხი გაუარესდა. ამას მოჰყვა პურზე ფასის ზრდა და ხარისხობრივი პრობლემები. საბოლოო ჯამში, მეხორბლეები და მეპურეები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ და ამჟამადც მთავრობას სათავეს გადაწყვეტილების მიღებას სთხოვენ, ხოლო ორივე მხარის დაკმაყოფილება შეუძლებელია.

რაც შეეხება ხორბლის მოსავლის სტატისტიკას, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ცნობით, გასულ წელს საქართველოში 148,5 ათასი ტონა ხორბალი იქნა წარმოებული. თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი კი 22% იყო. ამ მხრივ წელს აშკარა გაუმჯობესება გვექნება.

ფაქტია, რომ მეხორბლეობაში პრობლემის მოგვარება სწორედ ხარისხის გაუმჯობესებით უნდა დაიწყოს. თითქოს ქვეყანაში მარცვლეულის წარმოება იზრდება, მაგრამ ყველა მხარე უკმაყოფილოა – ინდუსტრია, ფერმერიც და პურის მცხოვრებელიც. ვიდრე ეს მოცემულობა არ გაუმჯობესდება, სამივე სექტორში პრობლემები მუდმივად იქნება, ამიტომ ექსპერტების თქმით, მთავრობის მხრიდან უფრო მეტად ქმედითი ნაბიჯია გადასადგმელი, რამაც სტრატეგიული პროდუქტის წარმოების ზრდა და მარცვლეულის ხარისხის გაუმჯობესება უნდა უზრუნველყოს. ამისათვის, სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ პირველ რიგში, აუცილებელია სათესლე მასალის ხარისხის გაუმჯობესება, რომელიც სათესლე მეურნეობების ამოქმედებით უნდა გადაიჭრას. ასევე, აუცილებელია ხორბლის ჯიშობრივი გაუმჯობესება – ადგილობრივი ჯიშების აღდგენა და მსოფლიოში ცნობილი მაღალმოსავლიანი თესლის შემოტანა, რომლებიც ფერმერებს შელავათიანი პირობებით გადაეცემა.

ლევან ნატროშვილი

ქართული მოსამართლეების ქონებრივი დეკლარაციები

ბოლო პერიოდში, ქართულმა მართლმსაჯულებამ კიდევ ერთი დარტყმა მიიღო. „კორუფციაში მონაწილეობის გონივრული საფუძველი“ და „თანამდებობის ბოროტად გამოყენება“ – ესენია ის ბრალდებები, რომლის საფუძველზეც აშშ-მ, დიდმა ბრიტანეთმა და ბალტიისპირეთის ქვეყნებმა რამდენიმე ქართველი მოსამართლე დაასაჩქიერეს, დაუწვეს მათ ფინანსური სანქციები ან/და სავიზო შეზღუდვები. დასაჩქიერებული მოსამართლეები ამ ბრალდებებს უსამართლოს უწოდებენ. მიუხედავად ამისა, აღნიშნული გადაწყვეტილება, საზოგადოების დიდ ნაწილში, კიდევ ერთხელ აჩენს კითხვებს ქართული სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობასა და გამჭვირვალობაზე.

მოსამართლეების დასაჩქიერების თემა აქტუალური მას შემდეგ გახდა, რაც საქართველოში მიმდინარე აქციების მონაწილეთა დაკავება დაიწყო და მათი საქმეების განხილვა სასამართლოებში გადავიდა. ამ ფონზე საზოგადოებისთვის კიდევ უფრო საინტერესო გახდა მოსამართლეების ქონებრივი დეკლარაციების შესახებ ინფორმაცია. ჩვენ რამდენიმე მათგანს განვიხილავთ.

მიხეილ ჩინჩალაძე – მოსამართლე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე, დაიბადა 1978 წლის 9 მარტს, თბილისში. დეკლარაცია ჩაბარებული აქვს 2025 წლის 30 ივნისს. მისი ოჯახის წევრები არიან: მეუღლე – მარიკა მარიკაშვილი, შვილები – ბარბარე და ვიქტორია ჩინჩალაძეები.

დეკლარაციის მიხედვით, მიხეილ ჩინჩალაძის საკუთრებაშია 156 კვ.მ ბინა, თბილისში ბახტრიონის ქუჩაზე, რომელიც 2006 წელს პაპამ აჩუქა. დოკუმენტში მისი მეუღლის მარიკა მარიკაშვილის სახელზეა 28 000 დოლარი, რომელიც უცხოეთიდან დედისგან მიიღო, ხოლო მიხეილ ჩინჩალაძის სახელზეა 15 000 დოლარის დანაზოგი.

დოკუმენტის მიხედვით, მარიკა მარიკაშვილი არის შპს „მეამას“ კონსულტანტი, საიდანაც 2024 წელს მიღებული აქვს 36 000 ლარი, ხოლო მიხეილ ჩინჩალაძეს თბილისის სააპელაციო თავმჯდომარის პოზიციაზე ხელფასის სახით მიღებული აქვს 116 676 ლარი. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, მიხეილ ჩინჩალაძე 2023 წელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ხოლო 2025 წელს დიდმა ბრიტანეთმა დაასაჩქიერა.

ნინო ქადაგიძე – მოსამართლე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, დაიბადა 1969 წლის 30 ივლისს, თბილისში. დეკლარაცია ჩაბარებული აქვს 2025 წლის 21 თებერვალს. ნინო ქადაგიძის ოჯახის

წევრია მისი მეუღლე – ირაკლი ანთაძე.

დეკლარაციის მიხედვით, ირაკლი ანთაძის საკუთრებაშია 900 კვ.მ მიწის ნაკვეთი, მცხეთის მუნიციპალიტეტში, ნავდარაანთკარში, რომელიც 2008 წელს 900 დოლარად შეიძინა. ნინო ქადაგიძის სახელზეა რეგისტრირებული თბილისში, ბურძღლას ქუჩაზე 109,5 კვ.მ ბინა, შეძენილი 2009 წელს, ფასი 60 000 დოლარი; ასევე, 750 კვ.მ მიწის ნაკვეთი სოფელ წაკვისში, შეძენილია 2021 წელს, ფასი 30 000 დოლარი. ნინო ქადაგიძეს „საქართველოს ბანკის“ სხვადასხვა სახის ანგარიშზე უფიქსირდება 5 193 ლარი, 4 940 დოლარი, 7 663 ევრო. დოკუმენტში დანაზოგის გრაფაში მითითებული აქვს 13 000 დოლარი.

ნინო ქადაგიძეს, საანგარიშო პერიოდში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პოზიციაზე მიღებული აქვს 11 520 ლარი, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოზიციაზე – 164 020 ლარი.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი – მოსამართლე, იუსტიციის საბჭოს მდივანი, დაიბადა 1974 წლის 16 ივნისს, თბილისში. დეკლარაცია ჩაბარებული აქვს 2025 წლის 27 თებერვალს. ნიკოლოზ მარსაგიშვილის ოჯახის წევრები არიან: მამა – გურამ მარსაგიშვილი, დედა – ციური ტუჩაშვილი, შვილები – მარიამ, კესანე და ბარბარე მარსაგიშვილები, მეუღლე – სალომე წიკლაური, გერები – ალექსანდრე და ლიზი მგზავრიძეები.

სალომე წიკლაურის საკუთრებაშია 4 180 კვ.მ მიწის ნაკვეთი, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფელ ახალსოფელში, რომელიც 2024 წელს მემკვიდრეობით მიიღო. გურამ მარსაგიშვილი სახელზეა რეგისტრირებული რამდენიმე მიწის ნაკვეთი ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, 118 კვ.მ ბინა და 21 კვ.მ ავტოფარეხი, თბილისში, გლდანში.

საანგარიშო პერიოდში ნიკოლოზ მარსაგიშვილს „საქართველოს ბანკის“ სხვადასხვა სახის ანგარიშზე მითითებული აქვს – 31 000 ლარი, 10 554 დოლარი, დანაზოგის გრაფაში კი უფიქსირდება 7 100 დოლარი.

დოკუმენტის მიხედვით, 2024 წელს ნიკოლოზ მარსაგიშვილს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის პოზიციაზე მიღებული აქვს 11 385 ლარი, იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტში, მოსამართლის პოზიციაზე კი – 95 271 ლარი.

ირაკლი ბონდარენკო – იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე, დაიბადა 1976 წლის 21 მარტს, თელავში. დეკლარაცია ჩაბარებული აქვს 2025 წლის 27

თებერვალს. მისი ოჯახის წევრები არიან: მეუღლე – გიული გიორგაძე, შვილები – ანი, თიკო და ნინო ბონდარენკოები.

ირაკლი ბონდარენკოს სახელზეა რეგისტრირებული 50 კვ.მ ბინა ბათუმში, შეძენილია 2016 წელს, ფასი 23 000 დოლარი; 86,3 კვ.მ ბინა თბილისში, მირიან მეფის ქუჩაზე, შეძენილია 2019 წელს, ფასი 37 000 დოლარი; ავტომანქანა MAZDA 6, შეძენილია 2021 წელს, ფასი 22 000 ლარი.

საანგარიშო პერიოდში გიული გიორგაძეს თბილისის საქალაქო სასამართლოში კონსულტანტის პოზიციაზე მიღებული აქვს 26 358 ლარი, ანი ბონდარენკოს „საქართველოს ბანკში“ პარალელგაღის პოზიციაზე მიღებული აქვს 13 265 ლარი, ირაკლი ბონდარენკოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის პოზიციაზე მიღებული აქვს 2 499 ლარი, ხოლო მოსამართლის ხელფასი – 118 716 ლარი.

ქეთევან ცინცაძე – იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე დაიბადა 1988 წლის 5 სექტემბერს, თბილისში. დეკლარაცია ჩაბარებული აქვს 1015 წლის 30 ივნისს. მისი ოჯახის წევრები არიან: მეუღლე – არჩილ მაისურაძე, შვილი – ნიკოლოზ მაისურაძე.

დოკუმენტის მიხედვით, ქეთევან ცინცაძის სახელზეა რეგისტრირებული 955 კვ.მ მიწის ნაკვეთი (50%) თბილისში კრავაი ჯაყელის ქუჩაზე, შეძენილია 2022 წელს, ფასი 36 468 ლარი; 69 კვ.მ ბინა თბილისში, პოლიტკოვსკაიას ქუჩაზე, შეძენილია 2016 წელს, ფასი 34 000 დოლარი; 42,26 კვ.მ ბინა თბილისში, დიღმის მასივი, შეძენილია 2004 წელს, ფასი 15 000 დოლარი. არჩილ მაისურაძის საკუთრებაშია ავტომანქანა MERCEDES-BENZ E300, შეძენილია 2024 წელს, ფასი 10 797 დოლარი. საანგარიშო პერიოდში ქეთევან ცინცაძეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის პოზიციაზე მიღებული აქვს 145 093 ლარი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის პოზიციაზე 11 577 ლარი, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ლექტორის ხელფასი – 4 172 ლარი, ხოლო იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ლექტორის ხელფასი – 3 925 ლარი. არჩილ მაისურაძე არის „გრინ დაზღვევა საქართველოს“ კორპორატიული გაყიდვების მენეჯერი, მას ამ პოზიციაზე ხელფასის სახით მიღებული აქვს 53 977 ლარი.

დიმიტრი გვრიტიშვილი – თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, დაიბადა 1980 წლის 16 ოქტომბერს დუშეთში. დეკლარაცია ჩაბარებული აქვს 2025 წლის 29 იანვარს. მისი ოჯახის წევრები არიან: მეუღლე – სალომე დათუაშვილი, შვილები – ნიკოლოზ, გიორგი და ალექსანდრა გვრიტიშვილები.

დეკლარაციის მიხედვით, გიორგი გვრიტიშვილის სახელზეა რეგისტრირებული 31,56 კვ.მ ბინა თბილისში,

გლდანის რაიონში, შეძენილია 2013 წელს, ფასი 35 500 დოლარი; 2578 კვ.მ მიწის ნაკვეთი, დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ზემო ბულაჩაურში, რომელიც ჩუქების სახით მიიღო. სალომე დათუაშვილის საკუთრებაშია ავტომანქანა TOYOTA RAV4, შეძენილია 2024 წელს, ფასი 19 000 დოლარი. დეკლარაციაში, დიმიტრი გვრიტიშვილს „თიბისი ბანკის“ სახელფასო ბარათზე მითითებული აქვს 1983 ლარი, ხოლო სალომე დათუაშვილს „თიბისი ბანკის“ მიმდინარე ანგარიშზე – 10 000 ლარი.

სალომე დათუაშვილს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ საერთაშორისო პროექტების კოორდინატორის პოზიციაზე მიღებული აქვს 42 346 ლარი. დიმიტრი გვრიტიშვილს იუსტიციის უმაღლესი სკოლის ტრენერის პოზიციაზე მიღებული აქვს – 5 921 ლარი, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის პოზიციაზე – 10 612 ლარი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს პალატის თავმჯდომარის პოზიციაზე – 109 787 ლარი. მის სახელზეა რეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღი, რომლის საბაზრო ღირებულება 4 800 ლარს შეადგენს.

ლევან მიქაბერიძე – საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, დაიბადა 1982 წლის 7 მარტს, თბილისში. დეკლარაცია ჩაბარებული აქვს 2025 წლის 28 თებერვალს. მისი ოჯახის წევრები არიან: მეუღლე – ზეინაბ ჭვლიძე, შვილი – ომარ მიქაბერიძე.

დეკლარაციის მიხედვით, ზეინაბ ჭვლიძის სახელზეა რეგისტრირებული 1 504 კვ.მ ფართობის ორი მიწის ნაკვეთი (50%) ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში სოფელი ქვედა სალიბაურში. ლევან მიქაბერიძის საკუთრებაშია 40,5 კვ.მ ბინა (50%) თბილისში, გიორგი ბრწყინვალე ქუჩაზე, შეძენილია 2018 წელს, ფასი 13 365 დოლარი; ამავე მისამართზე 44,9 კვ.მ ბინა, შეძენილია 2018 წელს, ფასი 14 817 დოლარი; 807 კვ.მ სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ თხინვალაში, შეძენილია 2017 წელს, ფასი 12 105 დოლარი.

ლევან მიქაბერიძეს „თიბისი ბანკის“ მიმდინარე ანგარიშზე მითითებული აქვს 10 090 ლარი, დანაზოგის გრაფაში კი 18 500 ლარი.

ზეინაბ ჭვლიძეს მცხეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანაშემწის პოზიციაზე მიღებული აქვს 29 459 ლარი. ლევან მიქაბერიძეს – იუსტიციის უმაღლესი სკოლის ტრენერის პოზიციაზე 4968 ლარი, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის პოზიციაზე – 8 683 ლარი, საქართველოს უზენაესი სასამართლის მოსამართლის პოზიციაზე 145 093 ლარი.

ირაკლი შენგელია – თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე დაიბადა 1976 წლის 27 დეკემბერს, სამტრედიისში. დეკლარაცია ჩაბარებული აქვს 2025 წლის 29 მაისს. მისი ოჯახის წევრია

მეუღლე – ლანა თევზაძე. ირაკლი შენგელია 2023 წელს აშშ-ის სანქცირებულთა სიაში მოხვდა.

დეკლარაციის მიხედვით, მის სახელზეა რეგისტრირებული 22 კვ.მ ავტოფარეხი, თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, შეძენილია 2018 წელს, ფასი 18 000 ლარი; 81,2 კვ.მ ბინა, ბათუმში, ფიროსმანის ქუჩაზე, შეძენილია 2023 წელს, ფასი 42 000 დოლარი; 179 კვ.მ ბინა თბილისში, ბერბუკის ქუჩაზე, შეძენილია 2008 წელს, ფასი 90 000 დოლარი. დეკლარაციაში მითითებული აქვს „საქართველოს ბანკის“ სახელფასო ბარათზე 3 270 ლარი. დანაზოვის გრაფაში ლანა თევზაძეს მითითებული აქვს 165 000 დოლარი, ირაკლი შენგელიას – 30 000 დოლარი.

ლანა თევზაძეს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის პოზიციაზე მიღებული აქვს 7450 ლარი, ხოლო ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (სემეკი), ასევე მთავარი სპეციალისტის პოზიციაზე – 61 048 ლარი. ირაკლი შენგელიას კი თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის პოზიციაზე მიღებული აქვს 115 372 ლარი.

ირაკლი შენგელიას ბათუმსა და დიდ დიღომში ბინების გაქირავებით მიღებული აქვს 20 400 დოლარის შემოსავალი, ამასთანავე 2025 წლის 25 თებერვალს დიდ დიღომში ბინის გაყიდვიდან მიიღო 150 000 დოლარის შემოსავალი, რომელიც დეკლარაციის მიხედვით მეუღლეს არუქა.

ნინო სახელაშვილი – ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე დაიბადა 1989 წლის 9 აგვისტოს, ქუთაისში. დეკლარაცია ჩაბარებული აქვს 2025 წლის 23 აპრილს. ნინო სახელაშვილი ბოლო პერიოდში ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული საქმის, ჟურნალისტ მზია ამალლობელის მოსამართლე იყო.

დეკლარაციის მიხედვით, ნინო სახელაშვილის სახელზეა რეგისტრირებული 53,3 კვ.მ საცხოვრებელი სახლი თბილისში, ფარნავაზ მეფის ქუჩაზე, შეძენილია 2022 წელს, ფასი 55 000 დოლარი, რამდენიმე მიწის ნაკვეთი, ტყიბულის მუნიციპალიტეტში, სოფელ მუხურაში, რომელიც ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე მიიღო. ასევე მის საკუთრებაშია ავტომანქანა Ford C-Max 2013, შეძენილია 2021 წელს, ფასი 5 270 დოლარი. დეკლარაციაში ნინო სახელაშვილის სახელფასო ბარათზე მითითებულია 1269 ლარი.

საანგარიშო პერიოდში, ნინო სახელაშვილს ხელფასის სახით აღებული აქვს 95 272 ლარი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორის პოზიციაზე – 781 ლარი. მას ასევე უფიქსირდება 10 643 ლარის შემოსავალი ბინის ქირიდან.

რომეო ტყემელაშვილი – საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, დაიბადა 1984 წლის 27 ნოემბერს,

ქუთაისში. დეკლარაცია ჩაბარებული აქვს, 2025 წლის 7 მარტს. რომეო ტყემელაშვილი, ასევე გახმაურებული საქმის, 2024 წლის 7 დეკემბერს აქციაზე დაკავებული ექიმის გიორგი ახობაძის მოსამართლე იყო (7 აგვისტოს, რომეო ტყემელაშვილმა, გიორგი ახობაძე „მტკიცებულებათა არასაკმარისი რაოდენობის გამო“ უდანაშაულოდ ცნო).

წარდგენილი დეკლარაციის მიხედვით, მის სახელზეა რეგისტრირებული 1 300 კვ.მ მიწის ნაკვეთი სოფელ წეროვანში, შეძენილია 2020 წელს, ფასი 3 000 ლარი; 55 კვ.მ ბინა თბილისში ვაჟა-ფშაველას გამზირზე, შეძენილია 2003 წელს, ფასი 10 000 ლარი. ასევე მის საკუთრებაშია, ავტომანქანა „ტოიოტა ლენდ კრუიზერი პრადო“, შეძენილია 2008 წელს, ფასი 50 034 ლარი. რომეო ტყემელაშვილს დანაზოვის გრაფაში მითითებული აქვს 20 000 ლარი.

საანგარიშო პერიოდში რომეო ტყემელაშვილის სახელფასო შემოსავალმა 95 272 ლარი შეადგინა.

ნინო ენუქიძე – თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, დაიბადა დაიბადა 1988 წლის 24 ივნისს, გორში. დეკლარაცია ჩაბარებული აქვს 2025 წლის 23 მარტს. ნინო ენუქიძე ესტონეთის მიერ არის სანქცირებული იმ 6 მოსამართლეთა შორის, რომლებიც საპროტესტო აქციებზე დაკავებულთა ადმინისტრაციულ და სისხლისსამართლებრივ საქმეებს იხილავენ.

დეკლარაციის მიხედვით, ნინო ენუქიძის სახელზეა რეგისტრირებული 2025 კვ.მ მიწის ნაკვეთი (50%) გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერბუკში, რომელიც ჩუქების სახით აქვს მიღებული, ასევე მის საკუთრებაშია 35,36 კვ.მ ნაჩუქარი ბინის 50%, თბილისში სტანისლავსკის ქუჩაზე.

ნინო ენუქიძეს დეკლარაციაში „თიბისი ბანკის“ სახელფასო ანგარიშზე მითითებული აქვს 43 385 ლარი და 700 ევრო, დანაზოვის გრაფაში 53 694 დოლარი. საანგარიშო პერიოდში მოსამართლის პოზიციაზე მიღებული აქვს 95 271 სახელფასო შემოსავალი.

მანანა კობახიძე – საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე დაიბადა 1968 წლის 3 თებერვალს, თბილისში. დეკლარაცია შევსებული აქვს 2025 წლის 29 იანვარს. მისი ოჯახის წევრია მეუღლე – ზაზა გოგიჩაიშვილი.

დეკლარაციის მიხედვით, მანანა კობახიძის სახელზეა რეგისტრირებული 73,7 კვ.მ ბინა თბილისში, ლუქსემბურგის ქუჩაზე, შეძენილია 2024 წელს, ფასი 65 000 დოლარი; 600 კვ.მ მიწის ნაკვეთი სოფელ ტაბახმელაში, შეძენილია 2017 წელს, ფასი 70 000 დოლარი. დეკლარაციის შევსების მომენტში, მანანა კობახიძეს „საქართველოს ბანკის“ სახელფასო ბარათზე მითითებული აქვს 5 644 ლარი, ამავე ბანკის ანაბრის ანგარიშზე – 20 756 დოლარი. მანანა კობახიძეს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის

მოადგილის პოზიციაზე მიღებული აქვს – 138 344 ლარი.

გიორგი კვერენჩილაძე – საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე დაიბადა 1972 წლის 21 ოქტომბერს, თბილისში. დეკლარაცია ჩაბარებული აქვს 2025 წლის 9 თებერვალს. მისი ოჯახის წევრები არიან: მეუღლე – ეკატერინე კაპანაძე, შვილები – ანა და ნიკოლოზ კვერენჩილაძეები.

გიორგი კვერენჩილაძის სახელზეა 111,85 კვ.მ ბინა თბილისში, ანა პოლიტოვსკაიას ქუჩაზე, შეძენილია 2014 წელს, ფასი 70 689 დოლარი; ამავე ქუჩაზე 40,66 კვ.მ ბინა, შეძენილია 2014 წელს, ფასი 28 462 დოლარი; ასევე 2 ავტოფარეხი, საერთო ღირებულებით 9 000 დოლარი. მის საკუთრებაშია 1087 კვ.მ მიწის ნაკვეთი, მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნავდარაანთკარში, შეძენილია 2018 წელს, ფასი 20 000 დოლარი, ხოლო საჩუქრის ფორმით აქვს მიღებული 5 500 კვ.მ მიწის ნაკვეთი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ხორეთში.

გიორგი კვერენჩილაძეს „თიბისი ბანკის“ საანაბრე ანგარიშებზე მითითებული აქვს 40 507 დოლარი და 7 500 ლარი. ეკატერინე კაპანაძეს ამერიკულ საერთაშორისო სკოლა „პროგრესში“ პედაგოგის პოზიციაზე მიღებული აქვს 10 889 ლარი, ხოლო გიორგი კვერენჩილაძეს მოსამართლის პოზიციაზე – 132 796 ლარი. იგი არის ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი, ამ პოზიციაზე მისმა სახელფასო შემოსავალმა შეადგენა – 22 360 ლარი. გიორგი კვერენჩილაძეს კრიპტოვალუტების რიპლისა და ლათიქონის გაყიდვიდან მიღებული აქვს 20 530

ევა გოცირიძე – საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე, დაიბადა 1963 წლის 7 ივლისს, თბილისში. დეკლარაცია ჩაბარებული აქვს 2025 წლის 18 იანვარს. დოკუმენტის მიხედვით, მის სახელზეა რეგისტრირებული 20 კვ.მ ბინა თბილისში მიცკევიჩის ქუჩაზე, შეძენილია 2000 წელს, ფასი 8 000 ლარი; მემკვიდრეობით აქვს მიღებული 71,86 კვ.მ ბინა (50%) თბილისში სანზონის დასახლებაში, ასევე მემკვიდრეობით აქვს მიღებული 3338 კვ.მ მიწის ნაკვეთი (50%), ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ ხოტევეში; საჩუქრის სახით აქვს მიღებული 1300 კვ.მ მიწის ნაკვეთი გარდაბნის რაიონის სოფელ თელეთში; მის სახელზეა რეგისტრირებული 150,4 კვ.მ კომერციული ფართი სოფელ დილოში, ცამეტი ასურელი მამის ქუჩაზე, შეძენილია 2021 წელს, ფასი 142 960 დოლარი; 223,75 კვ.მ ბინა თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე, შეძენილია 2016 წელს, ფასი 450 223 ლარი. ევა გოცირიძეს „საქართველოს ბანკისა“ და „თიბისი ბანკის“ ანგარიშებზე მითითებული აქვს 3048 დოლარი, 11 411 ლარი, 15 000 ევრო. დანაზოვის გრაფაში მითითებული აქვს 5 000 ევრო.

დეკლარაციის მიხედვით, ევა გოცირიძე არის საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი. მას ხელფასის სახით მიღებული აქვს 25 084 ლარი, ხოლო მოსამართლის პოზიციაზე – 132 796 ლარი. კომერციული ფართის იჯარიდან მიღებულმა შემოსავალმა კი 39 125 ლარი შეადგინა.

მაკა ხარაზიშვილი

ეროვნულმა ბანკმა რეფინანსირების განაკვეთი უცვლელად 8%-ზე დატოვა

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2025 წლის 30 ივლისის სხდომაზე მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის (რეფინანსირების განაკვეთი) უცვლელად დატოვების გადაწყვეტილება მიიღო. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 8 პროცენტს შეადგენს. ეროვნული ბანკი მიუთითებს, რომ ივნისში ინფლაციის 4%-მდე მატება მოითხოვს რეფინანსირების განაკვეთთან მიმართებით ფრთხილ მიდგომას, რის გამოც აშუაშად განაკვეთის შემცირება მიზანშეწონილი არაა. ამასთან, სებ-ი მიუთითებს რომ წელს საქართველოში ინფლაცია საშუალოდ 3.8% იქნება.

ამასთან, სებ-ი აღნიშნავს რომ გადახედეს ეკონომიკური ზრდის პროგნოზს და 2025 წელს საქართველოში 6.7%-ის ნაცვლად 7.4%-იან ზრდას მოელოან.

„2025 წლის ივნისის მდგომარეობით, საქართველოში ფასების საერთო დონე წლიურად 4 პროცენტით გაიზარდა. მიზნობრივ, 3 პროცენტთან, მაჩვენებელთან შედარებით ინფლაციის ზომიერ ზრდას ძირითადად სურსათის ფასების მატება განაპირობებს, რაც გარკვეულწილად საერთაშორისო სასურსათო ბაზრებზე არსებული ტენდენციისა და გასული წლის დაბალი ინფლაციის საბაზო ეფექტის ასახვაა. მნიშვნელოვანია, რომ ინფლაციური მოლოდინები სტაბილურია. კერძოდ, მომსახურების სექტორის ინფლაცია, რომლის ფასების ცვლილება შედარებით ხისტია და გრძელვადიან ინფლაციურ მოლოდინებს კარგად ასახავს, მიზნობრივ 3 პროცენტზე დაბლა შენარჩუნდა და 2.3 პროცენტს გაუტოლდა. ასევე, თითქმის ორი წელია მიზნობრივ დონეზე დაბალია საბაზო ინფლაცია. პარალელურად, იმპორტირებული პროდუქტების ფასები კვლავ დეფლაციურია, მეტწილად საწვავის ფასების წლიურად შემცირების ხარჯზე. სებ-ის ცენტრალური სცენარის მიხედვით, წინა კვარტლის პროგნოზის მსგავსად, მეტწილად გლობალურად არსებული ტენდენციებისა და წინა წლის საბაზო ეფექტის გათვალისწინებით, 2025 წელს

ინფლაცია დროებით 3 პროცენტთან მაჩვენებლის ზემოთ შენარჩუნდება და საშუალოდ 3.8 პროცენტის ფარგლებში იქნება, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში, მიზნობრივ მაჩვენებელთან ახლოს დასტაბილურდება“; – წერია სეპ-ის განმარტებით.

მარეგულირებელში განაცხადეს, რომ ქვეყანაში შენარჩუნებულია ძლიერი ეკონომიკური აქტივობა და ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 2025 წელს 6.7 პროცენტთან 7.4 პროცენტამდე გადაიხედა.

ამასთანავე, გლობალურად მიმდინარე გეოპოლიტიკური დაძაბულობის ფონზე, ეკონომიკური გაურკვევლობა მაღალია. შესაბამისად ინფლაციაზე, როგორც ზრდის, ასევე შემცირების, მიმართულებით მოქმედი რისკები კვლავ საგულისხმოა.

„მაკროეკონომიკური ანალიზისა და არსებული რისკების შეფასების შედეგად, მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა ოპტიმალურად მიიჩნია განაკვეთის შემდგომი ნორმალური ზეზის მიმართ ფრთხილი მიდგომის შენარჩუნება და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, უცვლელად, 8 პროცენტზე დატოვა. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის შემდგომი ცვლილება დამოკიდებული იქნება განახლებულ მაკროეკონომიკურ საპროგნოზო სცენარებსა და რისკების ანალიზზე.

საქართველოს ეროვნული ბანკი ყველა ინსტრუმენტს გამოიყენებს ფასების სტაბილურობის შესანარჩუნებლად, რაც იმას ნიშნავს, რომ ფასების საერთო დონის ზრდა საშუალოვადიან პერიოდში 3 პროცენტთან ახლოს იქნება“; – ნათქვამია სეპ-ის განმარტებით.

მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2025 წლის 10 სექტემბერს ჩატარდება.

6 თვეში „ქართულმა ოცნებამ“ 6.6 მილიონ ლარამდე შემოწირულება მიიღო

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ინფორმაციით, 2025 წლის პირველი 6 თვის განმავლობაში ყველა პარტიამ ჯამში 7.6 მლნ ლარამდე შემოწირულება მიიღო, რომლის 87% – 6,573,370 ლარი „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო.

მმართველი პარტიის მიერ მიღებული შემოწირულება 6-ჯერ აღემატება სხვა ყველა პარტიის მიერ მიღებულ შემოწირულებას ერთად აღებულს (1,019,578 ლარი), რაც მკვეთრ ფინანსურ უთანასწორობას უსვამს ხაზს.

ორგანიზაციის განცხადებით, კვლავ ლეგიტიმურ კითხვებს აჩენს „ქართული ოცნების“ მსხვილი დონორების შესაძლო მონაწილეობა სისტემურ კორუფციაში – მათთან დაკავშირებული კომპანიები იღებენ მრავალმილიონიან ტენდერებს და საბიუჯეტო სუბსიდიებს.

II საქართველოს ინფორმაციით:

● მმართველი პარტიის შემომწირველებთან დაკავშირებულმა თერთმეტმა კომპანიამ 2024 წლიდან 143.6 მილიონი ლარის ღირებულების სახელმწიფო ტენდერებში გაიმარჯვა, 2016 წლიდან კი მათ 422 მილიონის ღირებულების ტენდერები აქვთ მოგებული.

● მმართველი პარტიის დონორებთან დაკავშირებულმა 23-მა კომპანიამ 1.5 მილიონ ლარამდე ღირებულების გამარტივებული შესყიდვის კონტრაქტები მიიღო, 2016 წლიდან კი ამავე კომპანიებს 15 მილიონ ლარამდე ღირებულების კონტრაქტები აქვთ მიღებული.

● ამავე პერიოდში ოპოზიციური პარტიების დონორებთან დაკავშირებულ არცერთ კომპანიას ტენდერი არ მოუგია, ხოლო მიღებული გამარტივებული შესყიდვის კონტრაქტების ჯამური ღირებულება 185,447 ლარია.

შემოწირულებების ანონალიური ზრდა აჭარადან:

● აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, თორნიკე რიჟვაძის გადადგომის შემდეგ სამ თვეში რეგიონიდან პარტიას 2.5 მილიონ ლარზე მეტი შესწირეს. დროის ასეთ მონაკვეთში რეგიონიდან ასეთი დიდი ოდენობის შემოწირულება უპრეცედენტოა და აჩენს ეჭვს, რომ შემოწირულებები მესამე პირების მეშვეობითაა განხორციელებული რაც კანონდარღვევაა.

„ხალხის ძალას“ „ქართულ ოცნების“ ტრადიციული შემომწირველები აფინანსებენ:

● პარტიას 190 ათასი ლარი შესწირეს, ყველა შემომწირველი გასულ წლებში „ქართულ ოცნებას“ სწირავდა თანხას და ჯამში 337,369 ლარი აქვთ მმართველი პარტიის ყულაბაში შეტანილი.

რაც შეეხება სხვა პარტიებს, 2025 წლის 6 თვეში „ლელომ“ 410,125 ლარის შემოწირულება მიიღო, ხოლო პარტიამ „ხალხის ძალა“ – 190 000 ლარი. „ნაციონალურ მოძრაობას“ 164,767 ლარი აქვს მიღებული; „კოალიცია ცვლილებისთვის“ – 160,737; „გახარია საქართველოსთვის“ 37, 288 ლარი; „ლეიბორისტული პარტია“ 15,395 ლარი; „ელენე ხოშტარია – დროა“ 13,040 ლარი; „სოლიდარობა მშვიდობისათვის“ (2023 წელს შექმნილი პოლიტიკური გაერთიანება) 11,145 ლარი; „ანა დოლიძე – ხალხისთვის“ 9,500 ლარი; „კონსერვატორები“ 6,681 ლარი; „ევროპელი სოციალისტები“ 900 ლარი.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ ინფორმაციით, „ხალხის ძალა“ და მისი წევრები მჭიდროდ არიან „ქართულ ოცნებასთან“ დაკავშირებული, მათ აქვთ საერთო საარჩევნო სია, საერთო პოლიტიკური გზავნილები და როგორც მოსალოდნელი იყო მათი დამფინანსებლებიც მმართველი პარტიის შემომწირველები არიან. პარტიის ყველა შემომწირველი გასულ წლებში „ქართულ ოცნებას“ სწირავდა თანხას და ჯამში 337,369 ლარი აქვთ მმართველი პარტიის ყულაბაში შეტანილი.

6 თვეში მთავრობამ შტატგარეშე თანამშრომლებზე 310.6 მილიონი ლარის ხელფასები გასცა

საქართველოს მთავრობამ შტატგარეშე თანამშრომლების ანაზღაურებაზე 2025 წლის 6 თვეში 310.655 მლნ ლარი დახარჯა, რაც 2024 წლის საანგარიშო პერიოდთან შედარებით 49.344 მლნ ლარით მეტია. ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, წინა წელს შტატგარეშეთა ხელფასებზე ხაზინიდან 261.321 მლნ ლარი დაიხარჯა.

აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში არ არის მითითებული, თუ რამდენი შტატგარეშე თანამშრომელი მუშაობს სხვადასხვა სამინისტროში, სსიპ-სა თუ აიპ-ში.

რაც შეეხება გასულ წელს, შარშან საქართველოს მთავრობამ შტატგარეშე თანამშრომლების ანაზღაურებაზე 592.558 მლნ ლარი დახარჯა. იმის გამო, რომ ყოველწლიურად ამ კატეგორიის დასაქმებულთა ანაზღაურებები მზარდ ტენდენციას ინარჩუნებს, რაზეც 6 თვის მონაცემებიც მიუთითებს, სავარაუდოდ, წელს ეს მაჩვენებელი კიდევ გაიზარდება.

ამავე დოკუმენტის მიხედვით, შტატგარეშეებთან ერთად 2025 წელს გაიზარდა შტატისანი მოხელეების სახელფასო ფონდიც. გასული წლის 6 თვეში მათზე ჯამში 1.233 მლრდ მოცულობის ხელფასები გაიცა, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში კი 1.393 მლრდ ლარი.

ცნობისათვის, საქართველოს მთავრობა 2026 წლამდე საჯარო სამსახურში ხელფასების ყოველწლიურად 10%-ით გაზრდას გეგმავს.

S&P-მა საქართველოს სუვერენული რეიტინგი BB დონეზე დატოვა

საკრედიტო სააგენტო S&P-მა საქართველოს სუვერენული რეიტინგი შეაფასა, რეიტინგი უცვლელად, BB დონეზე დატოვა და სტაბილური პერსპექტივა შეუნარჩუნა.

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საქართველომ აჩვენა მდგრადი ეკონომიკური ზრდა და გაუმჯობესებული მაკროეკონომიკური მდგომარეობა.

რეიტინგის სტაბილური პერსპექტივა კი ეკონომიკური და ფისკალური სიჯანსაღით არის გამოწვეული, რასაც თან ახლავს შედარებით ძლიერი პოლიტიკის ჩარჩო.

ამის გარდა, S&P-მა საქართველოს 2025 წლის პროგნოზი 7.1%-მდე გაზარდა, რაც წლის დასაწყისში 5.7%-ს შეადგენდა. ასევე, გაუმჯობესებულია მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის პროგნოზიც და 5%-ის ნაცვლად 4.1%-ს შეადგენს 2025 წლისთვის.

სამინისტროს ცნობითვე, S&P აღნიშნავს, რომ შენარჩუნებული ეკონომიკური ზრდა და გონივრულად განხორციელებული ფისკალური პოლიტიკის მართვა ხელს უწყობს მთავრობის ვალის დაბალ დონეზე შენარჩუნებას.

რაც შეეხება მონეტარულ პოლიტიკას, ანგარიშში აღნიშნულია ბოლო პერიოდში უცხოური რეზერვების ზრდა, რაც ფულადი ნაკადების შემოდინებისა და ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების მეშვეობით მოხდა. სარეიტინგო კომპანიის შეფასებით, მოსალოდნელია რეზერვების კიდევ უფრო გაზრდა.

S&P საქართველოს საბანკო სისტემას კარგად კაპიტალიზებულად აფასებს, სადაც შენარჩუნებულია ძლიერი ლიკვიდურობა. ამასთან, აღნიშნულია, რომ ეროვნული ბანკის მიერ გატარებული ღონისძიებები ხელს უწყობს დოლარიზაციის შემცირებას.

„წელს, ღვინის ექსპორტში კლება გვექნება“ – გიორგი სამანიშვილი

ღვინის ეროვნული სააგენტოს ყოფილი ხელმძღვანელი გიორგი სამანიშვილი აცხადებს, რომ წელს, ღვინის ექსპორტში კლება გვექნება.

მისი თქმით, ექსპორტის კლება გამოწვეულია იმით, რომ შარშან აქციზის და საბაჟო მოსაკრებლის ზრდის გამო, იმაზე დიდი რაოდენობით ღვინო გადაიზიდა, ვიდრე ნორმალურ პირობებში გაიყიდებოდა, შესაბამისად, წელს შემცირების მაჩვენებლები დაფიქსირდა.

ცნობისთვის, წლის პირველ ნახევარში (იანვარ-ივნისი) ღვინის ექსპორტიდან შემოსავლების 22%-იანი კლებაა. უფრო დიდია დანაკლისი ქართული ღვინის მთავარ ბაზარზე – რუსეთში ექსპორტი თითქმის 35%-ით არის შემცირებული. სამანიშვილი ამბობს, რომ 2024 წლის მაისიდან აქციზი რომ იზრდებოდა, ქართულმა კომპანიებმა 2023 წლის ბოლოსვე იცოდნენ და ცდილობდნენ, რუსულ ბაზარზე რაც შეიძლება მეტი ღვინის შეტანა მოესწროთ.

„ექსპერტების უმრავლესობა თანხმდება, რომ წელს კლება გამოწვეული იყო იმით, რომ შარშან აქციზის და საბაჟო მოსაკრებლის ზრდის გამო, იმაზე დიდი რაოდენობით ღვინო გადაიზიდა, ვიდრე ნორმალურ პირობებში გაიყიდებოდა. შესაბამისად, ველოდები, რომ წელს კლება გაგრძელდება, იმიტომ, რომ შარშან იმის შესაბამისად წაიღეს ღვინო, რომ მაშინაც გაეყიდათ და წელსაც. შედეგად, წლის ბოლომდე, შარშანდელთან შედარებით ალბათ კლება გვექნება, თუმცა 2023 წლისას სავარაუდოდ, გაუტოლდება. ჯამში თუ ბოლო ხუთ წელს ავიღებთ, დიდ სხვაობას პირადად არ ველოდები. ასევე ჯერ არ ვიტყვი, რომ რუსეთის ბაზარზე კლების ტენდენციაა“, – აცხადებს სამანიშვილი.

სტატისტიკა აჩვენებს, რომ წელს 6 თვეში თითქმის 122 მლნ დოლარამდე შემცირდა ღვინის ექსპორტი, აქედან 73 მლნ დოლარის ღვინო რუსეთში გაიყიდა. ეს ნიშნავს, რომ გაყიდული ღვინის 60% რუსეთში გავიდა. ბოლო ხუთ

ნელში ქართული ღვინის რუსეთში გაყიდვები 53%-ით გაიზარდა. ასე მაგალითად თუ 2020 წელს თითქმის 120 მლნ დოლარის ღვინო გაყვიდეთ, შარშან კი გაყიდვები 183 მლნ დოლარამდეა გაზრდილი.

ქართული ღვინის ექსპორტი რუსეთში ბოლო 5 წელში:

- 2025 წელი (6 თვე) – 72.8 მლნ დოლარი;
- 2024 წელი – 182.6 მლნ დოლარი;
- 2023 წელი – 168.2 მლნ დოლარი;
- 2022 წელი – 160.8 მლნ დოლარი;
- 2021 წელი – 130.7 მლნ დოლარი;
- 2020 წელი – 119.5 მლნ დოლარი.

ტელე და რადიო მაუწყებლების სარეკლამო შემოსავალი 12.1%-ით შემცირდა

2025 წლის II კვარტალში ტელე და რადიო მაუწყებლების ჯამურმა კომერციულმა სარეკლამო შემოსავალმა 17.6 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით 12.1%-ით ნაკლებია.

მხოლოდ ტელევიზიების სექტორში სარეკლამო შემოსავალი 13%-ით შემცირდა და 18 მილიონ ლარიდან 15.6 მილიონ ლარამდე შემცირდა.

ტელემაუწყებლებისთვის მიღებული სარეკლამო შემოსავლების ძირითადი ნაწილი – 71.1% – პირდაპირ რეკლამას დაეთმო, სპონსორობამ 17.7% დაიკავა, ხოლო პროდუქტის განთავსებამ 11%.

ტელევიზიების კომერციული სარეკლამო შემოსავლის ცვლილებები 2025 წლის II კვარტალში:

შემოსავალი შემცირდა:

- „ტელეიმედი“ – 10% კლება, მიღებული შემოსავალი 5.4 მილიონი ლარი;
- „რუსთავი 2“ (მედია ჰოლდინგი) – 10% კლება, 2.6 მილიონი ლარი;
- „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ – 71% კლება, 0.2 მილიონი ლარი.

შემოსავალი გაიზარდა:

- „პოსტვ“ – 15% ზრდა, მიღებული შემოსავალი 1.6 მილიონი ლარი;
- „ტელეკომპანია პირველი“ – 52% ზრდა, 1.6 მილიონი ლარი;
- „ფორმულა“ – 18% ზრდა, 1.4 მილიონი ლარი;
- „ბი ემ ჯი“ – 14% ზრდა, 1.0 მილიონი ლარი;
- „სილქნეტი“ – 33% ზრდა, 0.3 მილიონი ლარი.

ცვლილება არ მომხდარა:

- „ჯი-დი-ეს თი-ვი“ – მიღებული შემოსავალი 0.6 მილიონი ლარი;
- „სილქ მედია“ – 0.1 მილიონი ლარი.

სხვა ტელემაუწყებლების ჯამური სარეკლამო შემოსავალი: 0.9 მილიონი ლარი.

რადიომაუწყებლების სარეკლამო შემოსავალი 6%-ით შემცირდა და 2024 წლის II კვარტლის 2.1 მილიონ ლარზე 2025 წლის II კვარტალში 2.0 მილიონ ლარს დაეცა. ამ თანხის 89.5% პირდაპირ რეკლამას, ხოლო 10.5% – სპონსორობას წარმოადგენს.

შეგახსენებთ, რომ კომერციული სარეკლამო შემოსავალი მოიცავს კომერციულ რეკლამას, სპონსორობას, პროდუქტის განთავსებას, ტელეშოპინგსა და კომერციულ განცხადებებს.

6 თვეში სახელმწიფო ქონების პრივატიზაციიდან ბიუჯეტში 126.3 მლნ ლარი შევიდა

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, 2025 წლის ორი კვარტლის საპრივატიზაციო გეგმა გადაჭარბებით, 136.13%-ით შესრულდა და 6 თვეში სახელმწიფო ქონების პრივატიზაციით ბიუჯეტში 126 332 000 ლარი შევიდა.

2 კვარტლის საპრივატიზაციო გეგმა 92 800 000 ლარს შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ 2025 წლის პრივატიზაციის გეგმა შესრულებულია 59.3%-ით.

უწყების ინფორმაციით, იანვარ-ივნისში 463 ელექტრონული აუქციონი გამოცხადდა, ხოლო აუქციონის წესით 261 უძრავი ქონება გაიყიდა.

ამასთან, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო უძრავი ქონების პრივატიზების პარალელურად, აქტიურად ახორციელებს მოძრავი ქონების აუქციონის წესით გასხვისებას.


მიმდინარე წლის იანვარ-ივნისის პერიოდში გაყიდულმა მოძრავი ქონების ჯამურმა ღირებულებამ 6 189 160 ლარი შეადგინა.

„სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო განაგრძობს ქონების დაჩქარებული პრივატიზაციის პროცესს და პროაქტიურად სთავაზობს კერძო სექტორს სხვადასხვა სახის აქტივებს. პრივატიზაციის პროცესი სრულად ელექტრონულია, ბიუროკრატიული შეფერხებების გარეშე, რაც კერძო პირებს და ბიზნესს საშუალებას აძლევს სწრაფად და მარტივად მიიღონ მონაწილეობა აუქციონებში და გახდნენ სახელმწიფო ქონების მფლობელები“, – აღნიშნავენ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში.

რუბრიკის სპონსორი –

ა უ დ ი ტ უ რ ი კ ო მ პ ა ნ ი ა

შპს „მოორ ეიბისი“ / „Moore ABC“ LLC



MOORE

პითხვა-პასუხი

პითხვა-პასუხი – ამ რუბრიკით ჟურნალში ქვეყნდება პასუხები ჩვენი მკითხველების იმ შეკითხვებზე, რომლებიც ბუღალტრულ აღრიცხვას, საგადასახადო კანონმდებლობასა და სამოქალაქო სამართალს შეეხება. დასმულ შეკითხვებზე პასუხს გაცემენ შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“-ს და შპს „ააფ ინტეგრითი“-ს აუდიტორები, შპს „ააფ-მენეჯმენტის“ მენეჯერები, შპს „ადვოკატთა და აუდიტორთა კორპორაციის“ იურისტები. მომზადებული პასუხების განხილვა მათ გამოქვეყნებამდე ხდება „კითხვა-პასუხის“ საბჭოს მიერ.

შეკითხვები მოგვაწოდეთ წერილობითი სახით, ფოსტით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა საშუალებით. სასურველია (თუცა აუცილებელი არ არის) დასმული შეკითხვის ქვემოთმოყვანილი ფორმატით წარმოდგენა.

შეკითხვები მიიღება ელექტრონული ფოსტით: info@aaf.ge ან ტელ.: 239-33-50.

შპს „ააფ-მენეჯმენტის“ გენერალურ დირექტორს ფრიდონ ალშიბაიას
„აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების“ მთავარ რედაქტორს გიორგი ცერცვაძეს

ჟურნალის ხელმომწერის -----

შ მ კ ი თ ხ ვ ა

„კითხვა-პასუხის“ რუბრიკის ფორმატში, გთხოვთ განმარტებას შემდეგ საკითხზე: -----

თარიღი, ხელმოწერა, საკონტაქტო ტელეფონი ან ელ. ფოსტის მისამართი.
(კითხვის ავტორის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია ჟურნალში არ ქვეყნდება!)

წინამდებარე ნომერში მკითხველთა შეკითხვებს პასუხობდა შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“-ს მმართველი პარტნიორი, შპს „ააფ-მენეჯმენტის“ დირექტორი ფრიდონ ალშიბაია.

პითხვა: გვანტერებს შპს-ების, სააქციო საზოგადოებების და ფიზიკური პირების მიერ საინვესტიციო ფონდებში ინვესტირებული თანხებიდან მიღებული შემოსავლების დაბეგვრის საკითხები. გავამახვილებთ ყურადღებას შემდეგ გარემოებებზე:

1. ყველა საინვესტიციო ფონდი თუ მათი მმართველი კომპანია ლიცენზირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.
2. ერთი ფონდი არის სააქციო საზოგადოება, რომლიდანაც მიღებული მოგება ფიზიკურ პირებზე განაწილების დროს სსკ 23¹ მუხლის თანახმად იბეგრება მოგების გადასახადის 5% -ით, საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლებულია, ხოლო ინვესტორი შპს-ისთვის გაცემული დივიდენდები არ იბეგრება გაცემის წყაროსთან.
3. დანარჩენი ფონდები არის სახელშეკრულებო სქემები, რომლებიც ეროვნულ ბანკში „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ კანონითაა რეგისტრირებული და რომლებიც კანონის თანახმად არ წარმოადგენენ გადასმდელ სუბიექტებს. მასში მონაწილე ინვესტორ ფიზიკურ პირებს ერიცხებათ მოგების განაწილებისას თანხები გადახდის წყაროსთან დაბეგვრის გარეშე.

4. ყველა ფონდის ინვესტორთან გაფორმებულია ხელშეკრულებები ერთეულის შეძენის თაობაზე. ყველა ფონდს აქვს ერთეულთა რეესტრი, სადაც აღრიცხულია ერთეულის ღირებულება და რაოდენობა.

აქედან გამომდინარე, გვაინტერესებს: 1) ზუსტად რა ჰქვია კანონის ენით მიღებულ შემოსავლებს ასეთი ფონდებიდან: დივიდენდი, საპროცენტო სარგებელი თუ რამე სხვა?

2) გვაინტერესებს, ასეთი ფონდებიდან მიღებული მოგების განაწილებისას შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მესაკუთრე ფიზიკური პირი იბეგრება თუ არა დივიდენდის საშემოსავლო და მოგების გადასახადით? თუ, ეკუთვნის შეღავათი ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული მოგების (პროცენტის) განაწილების მსგავსად?

პასუხი: 1) სსკ 23¹ მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად:

„1. საინვესტიციო ფონდი არის საწარმო, რომელიც „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაფუძნებულია ერთობლივი საინვესტიციო ფონდის ან საინვესტიციო კომპანიის სახით“.

„საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს 2020 წლის 14 ივლისის კანონის მე-4 მუხლის თანახმად:

„1. საინვესტიციო ფონდი არის კოლექტიური საინვესტიციო სქემა, რომელიც ინვესტორებისგან იზიდავს კაპიტალს ამ კაპიტალის განსაზღვრული საინვესტიციო პოლიტიკის შესაბამისად ინვესტორების სასარგებლოდ ინვესტირების მიზნით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის კოლექტიური საინვესტიციო სქემა არის იურიდიული პირი ან სახელშეკრულებო სქემა, რომელიც აკმაყოფილებს ყველა შემდეგ პირობას:

ა) იურიდიული პირის ან სახელშეკრულებო სქემის მიზანი არ არის ჩვეულებრივი სავაჭრო ან სამრეწველო საქმიანობის განხორციელება;

ბ) იურიდიული პირი ან სახელშეკრულებო სქემა აერთიანებს ინვესტორებისგან მოზიდულ კაპიტალს მისი ინვესტირების შედეგად ინვესტორებისთვის საერთო მოგების გენერირების მიზნით...“.

ამავე კანონის მე-2 მუხლის 3⁶ და 3⁷ პუნქტები განმარტავს ერთობლივ საინვესტიციო ფონდს და საინვესტიციო კომპანიას:

„3⁶) ერთობლივი საინვესტიციო ფონდი – საინვესტიციო ფონდი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს, როგორც სახელშეკრულებო სქემა, იურიდიული პირის შეუქმნელად;

3⁷) საინვესტიციო კომპანია – საინვესტიციო ფონდი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს, როგორც იურიდიული პირი“.

იმავე, მე-2 მუხლის „გ“ პუნქტი კი განმარტავს ერთეულს:

„გ) ერთეული – ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არის აქცია/წილი საინვესტიციო კომპანიაში ან პაი ერთობლივ საინვესტიციო ფონდში“.

შესაბამისად, თუ ინვესტორი შემოსავალს იღებს საინვესტიციო კომპანიიდან, ეს არის დივიდენდი, ხოლო თუ შემოსავალს იღებს ერთობლივი საინვესტიციო ფონდიდან, ეს არის მოგებიდან წილი (არ არის არც დივიდენდი და არც პროცენტი).

პროცენტად ვერცერთ შემთხვევაში ვერ ჩაითვლება, რადგან არ აკმაყოფილებს სსკ მე-8 მუხლის მე-19 ნაწილში მოცემულ პროცენტის განმარტებას:

„19. პროცენტი – ფულად დაბანდებებთან ან სავალო ვალდებულებებთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის სავალო მოთხოვნიდან (იპოთეკური უზრუნველყოფის არსებობისა და მისი გაფორმების მეთოდის მიუხედავად) მიღებული ნებისმიერი წინასწარ განცხადებული (დადგენილი) შემოსავალი (მათ შორის, დისკონტის სახით მიღებული)“.

2) როგორც კითხვიდან ჩანს, ინვესტორი მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენს არა ფიზიკურ პირს ან არარეზიდენტს, არამედ შპს-ს, რომელსაც თავის მხრივ ჰყავს მესაკუთრე ფიზიკური პირ(ებ)ი. თუ ეს შპს მოგებას იღებს ერთობლივი საინვესტიციო ფონდიდან, მაშინ მას შეეხება სსკ 23¹ მუხლის მე-6 და მე-8 ნაწილები:

„6. ერთობლივი საინვესტიციო ფონდის ერთეულის მფლობელები დამოუკიდებლად ახორციელებენ სავადასახადო ანგარიშგებას. ერთობლივ საინვესტიციო ფონდსა და მის აქტივების მმართველ კომპანიას არ ეკისრებათ ამ კოდექსის 154-ე მუხლით გათვალისწინებული სავადასახადო აგენტის ვალდებულება“.

„8. ერთობლივი საინვესტიციო ფონდის მიერ „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საქმიანობის ფარგლებში განაწილებული მოგება და ამ კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“-„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ხარჯები/განაცემები მოგების გადასახადით არ იბეგრება“.

თუ შპს მოგებას (დივიდენდს) იღებს საინვესტიციო კომპანიისგან, მაშინ, ისევე როგორც სხვა კომპანიებიდან (რომლებიც მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ შესაბამისად იბეგრებიან) მიღებული დივიდენდების შემთხვევაში, არ ხდება საინვესტიციო კომპანიის მიერ მოგების განაწილების დაბეგრვა და შპს-ისთვის გაცემული დივიდენდებიდან საშემოსავლო გადასახადის დაკავება. სსკ 23¹ მუხლის მე-11-13 ნაწილები ეხება მხოლოდ იმ შემთხვევას, როდესაც დივიდენდის მიმღები პირი არარეზიდენტი ან ფიზიკური პირი.

თუ შპს ერთობლივი საინვესტიციო ფონდიდან ან საინვესტიციო კომპანიიდან მიღებული მოგების შემდგომ განაწილებას მოახდენს თავის მესაკუთრე ფიზიკურ პირებზე, მაშინ ეს განაწილება უნდა დაიბეგროს მოგების გადასახადით, ხოლო გაცემული დივიდენდიდან უნდა დაკავდეს საშემოსავლო გადასახადი. ეს გამოძინარეობს იქიდან, რომ ამ სახით მიღებული შემოსავლის დაბეგვრის თაობაზე არ მოქმედებს სსკ 99-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ყ“ პუნქტით განსაზღვრული საგადასახადო შეღავათის მსგავსი შეღავათი.

პიიხპა: A კომპანია სესხებს გასცემს B და C კომპანიებზე. A კომპანიისთვის ორივე - B და C კომპანია ურთიერთდამოკიდებული პირებია.

B კომპანიისთვის სესხი გაცემულია ლარში - წლიური 12%, ხოლო C კომპანიისთვის სესხი გაცემულია აშშ დოლარში - წლიური 10%.

A კომპანიას აქვს როგორც დღგ-ით დასაბეგრი, ასევე დღგ-ის ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული ოპერაციები.

საბაზრო საპროცენტო განაკვეთების განსაზღვრის მიზნით ვიყენებთ ეროვნული ბანკის მონაცემებს (კერძოდ, სტატისტიკურ მონაცემებს: საბაზრო საპროცენტო განაკვეთები სესხებზე, კოდით - L3.22).

1) ვინაიდან აღნიშნულ ფაილში სესხზე საბაზრო საპროცენტო განაკვეთები მოცემულია თვეების მიხედვით, ეს ნომ არ წარმოშობს A კომპანიისთვის საპროცენტო განაკვეთის გადახედვის ვალდებულებას ყოველთვიურად? თუ კი, ხელშეკრულება უნდა ვაკორექტიროთ ყოველთვიურად ზემოთ ხსენებული მონაცემების შესაბამისად? თუ ყოველწლიური საპროცენტო განაკვეთი უნდა გამოვითვალოთ საშუალო მაჩვენებლის მიხედვით და ამით დავაკორექტიროთ?

2) იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებაში დაფიქსირებული სესხის საპროცენტო განაკვეთი ნაკლები იქნება სესხის საბაზრო საპროცენტო განაკვეთზე (ეროვნული ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით), მასზე საგადასახადო გოდექსის 164-ე მუხლის 7-ე ნაწილის „ბ“ პუნქტი ნომ არ გავრცელდება?

3) საპროცენტო განაკვეთების ცვლილების შემთხვევაში, აშშ დოლარში გაცემული სესხის საკურსო სწვობები, რომელი კურსით უნდა გადავიანგარიშოთ და დროის რა მონაკვეთში, ყოველთვიურად თუ წლის ბოლოს?

პასუხი: 1) ყოველწლიურად სესხის წლიური საბაზრო საპროცენტო განაკვეთის გამოთვლას ეროვნული ბანკის ვებგვერდზე გამოქვეყნებული მონაცემების საშუალო მაჩვენებლის მიხედვით, მხარს არ ვუჭერთ. ურთიერთდამოკიდებულ პირზე გაცემული სესხის საპროცენტო განაკვეთი ყოველთვიურად უნდა შედარდეს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ საბაზრო მონაცემებს.

2) დიახ, თუ ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის სასესხო ხელშეკრულებაში დაფიქსირებული სესხის საპროცენტო განაკვეთი ნაკლებია სესხის საბაზრო საპროცენტო განაკვეთზე (ეროვნული ბანკის მონაცემების მიხედვით) და სესხის გამცემს აქვს როგორც დღგ-ით დასაბეგრი, ასევე დღგ-ის ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული ოპერაციები, მაშინ სესხის გამცემ კომპანიაზე უნდა გავრცელდეს სსკ 164-ე მუხლის 7-ე ნაწილის „ბ“ პუნქტი:

„7. ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციის დროს დღგ-ით დასაბეგრი თანხა არის საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასი, დღგ-ის გარეშე, თუ:...

ბ) დასაბეგრი ოპერაციის ანაზღაურების თანხა დაბალია მის საბაზრო ფასზე და საქონლის/მომსახურების მიმწოდებელს ამ კოდექსის შესაბამისად არ აქვს დღგ-ის სრულად ჩათვლის უფლება და მიწოდება გათავისუფლებულია დღგ-ისგან ჩათვლის უფლების გარეშე“.

ვინაიდან სესხის გაცემა ფინანსური მომსახურებაა, რომელიც გათავისუფლებულია დღგ-ისგან ჩათვლის უფლების გარეშე, ამ დებულების ყველა პირობა დაკმაყოფილებულია მოცემულ შემთხვევაში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ასეთ შემთხვევაში სესხის გამცემისთვის დღგ-ის პროპორციული ჩათვლა შემცირდება. მართალია, სსკ 174-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტში აღნიშნულია, რომ „3. დღგ-ის ჩათვლისადმი დაქვემდებარებული პროპორციული წილის გამოთვლისას არ გაითვალისწინება ბრუნვის თანხა, რომელიც უკავშირდება:... ბ) უძრავ ნივთთან დაკავშირებულ ან ფინანსურ ოპერაციებს, თუ ეს ოპერაციები არ არის დასაბეგრი პირის ძირითადი საქმიანობა“, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში, რადგან A კომპანიას ორი სესხი აქვს გაცემული, დიდი შანსია საგადასახადო ორგანომ ეს (სესხის გაცემა) მის ერთ-ერთ ძირითად საქმიანობად მიიჩნიოს.

თუმცა, თუ სესხის პროცენტის საბაზრო ფასი მის ფაქტობრივ ფასზე მხოლოდ 10%-ით ან უფრო ნაკლები ოდენობით აღემატება (მაგალითად, საბაზრო განაკვეთია 11%, ხოლო სესხი გაცემულია 10% საპროცენტო სარგებლით), მაშინ მხარეთა ურთიერთდამოკიდებულება მხედველობაში არ მიიღება! ამის თაობაზე, არსებობს შესაბამისი ჩანაწერი საქართველოს ფინანსთა მინისტრის 31.12.2010 წ. №996 ბრძანებით დამტკიცებული „გადასახადების აღმინისტრირების შესახებ“ ინსტრუქციის 29-ე მუხლში „შემთხვევები, როდესაც პირების ურთიერთდამოკიდებულება გავლენას არ ახდენს მათ შორის გარიგების შედეგებზე“, რომლის თანახმად:

„1. პირებს შორის საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-18 მუხლის ან საქართველოს საბაჟო კოდექსის 37-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად ურთიერთდამოკიდებულების არსებობა მათ შორის არსებულ გარიგების შედეგებზე გავლენას არ ახდენს, თუ საქონლის/მომსახურების მიმღები პირის მიერ შესაძლებელია ანალოგიური საქონელი/მომსახურება სხვა არაურთიერთდამოკიდებული პირისგან შეიძინოს იმ ფასად, რომელიც ურთიერთდამოკიდებულ პირთან განხორციელებული გარიგების ფასს არ აღემატება 10%-ით...“.

ამასთან, რაც მნიშვნელოვანია, ამ მუხლს თან ახლავს ასეთი საყურადღებო შენიშვნა:

„შენიშვნა: აღნიშნული მუხლის დებულებები გამოიყენება არა მხოლოდ საშემოსავლო და მოგების გადასახადის მიზნებისათვის“.

3) იმისდა მიუხედავად, სესხის საპროცენტო განაკვეთები იცვლება თუ არა, ვალუტაში აღრიცხული სასესხო მოთხოვნები და ვალდებულებები სასურველია გადაფასდეს ყოველთვიურად. შეგახსენებთ, რომ სასესხო მოთხოვნებისა და ვალდებულებების ნაშთები ყოველთვიურად აისახება მოგების გადასახადის დეკლარაციის მე-3 დანართში.

პიიხვა: ინდემწარმე აქირაგებს თავის კუთვნილ უძრავ კომერციულ ფართს თავისავე კუთვნილ შპს-ზე ეკონომიკური საქმიანობისთვის (გაიხსნა შპს-ის სახელით მალაზია). ინდემწარმემ რა საბუთები უნდა შექმნას და რა გადასახადები დაეკისრება?

პასუხი: როგორც ჩანს, სასყიდლიან ქირავნობაზე საუბარი (ასე ვივარაუდებთ). ინდემწარმესა და შპს-ს შორის უნდა გაფორმდეს ქირავნობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვით უნდა განისაზღვროს ქირავნობის საფასური და ვადა, გადახდის ვადები და ქირავნობის სხვა ძირითადი პირობები. ამასთან, თუ ინდემწარმე არ არის დღგ-ის გადამხდელი, ხოლო შპს ქირავნობის საფასურს გადაუხდის მას ნაღდი ფულით, ინდემწარმემ უნდა გამოიყენოს საკონტროლო-სალარო აპარატი და გასცეს შპს-ზე ჩეკი.

ქირავნობის ან იჯარის ხელშეკრულება საჭიროა დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრში იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია ორივე პირობა: 1) ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე არის კერძო სამართლის იურიდიული პირი; და 2) ხელშეკრულების ვადა ტოლია ან მეტია 1 წელზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თუ ეს სამართლებრივი მოთხოვნა დაცული არ არის, საგადასახადო თვალსაზრისით ეს რამე პრობლემას არ ქმნის.

თუ ინდემწარმე დღგ-ის გადამხდელია ან ვალდებული გახდება დღგ-ის გადამხდელად დარეგისტრირდეს, რაც იმ შემთხვევაში მოხდება, თუ მისი დასაბეგრი ოპერაციები ნებისმიერი 12 უწყვეტი თვის განმავლობაში გადააჭარბებს 100000 ლარს, მაშინ ქირავნობიდან მიღებული შემოსავალი დაიბეგრება დღგ-ით.

ინდემწარმემ ქირავნობიდან მიღებული შემოსავალი (დღგ-ის გარეშე) დაბეგვრის მიზნით უნდა ჩართოს თავის წლიურ საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციაში, ხოლო თუ ერთობლივი შემოსავალი გადააჭარბებს გამოსაქვით ხარჯებს, ეს სხვაობა დაიბეგრება 4% საპენსიო შენატანით (რადგან „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „კა“ პუნქტის თანახმად, ინდივიდუალური მეწარმის შემთხვევაში საპენსიო შენატანით დაბეგვრის ობიექტია „საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული, საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი შემოსავალი“), ხოლო დარჩენილი თანხა საპენსიო შენატანის გამოკლების შემდეგ – 20% საშემოსავლო გადასახადით.

მხარეთა ურთიერთდამოკიდებულების გამო, ცალკე განხილვის თემაა, ქირავნობა დადებულია საბაზრო პირობებით თუ არა, რადგან სსკ მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, „ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის გარიგება მხედველობაში მიიღება მხოლოდ იმ პირობით, რომ მათი ურთიერთდამოკიდებულება გავლენას არ მოახდენს ასეთი გარიგების შედეგებზე“, ხოლო ამავე მუხლის მე-11 ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად, „11. საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, გადასახადებით დაბეგვრის მიზნებისათვის გამოიყენოს საბაზრო ფასი შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ გარიგება განხორციელდა ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათი ურთიერთდამოკიდებულება გავლენას არ ახდენს ასეთი გარიგების შედეგებზე“.

იმ შემთხვევაში, თუ ინდემწარმესა და შპს-ს შორის ქირავნობა გაფორმებულია საბაზროზე უფრო მაღალი ფასით, შპს-ს წარმოეშვება მოგების გადასახადით დასაბეგრი ობიექტი ქირავნობის საფასურის გადახდისას, რადგან სსკ 98¹ მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „4. მოგების განაწილებად ითვლება:

ა) საწარმოს მიერ ურთიერთდამოკიდებულ პირთან (რომელიც მოგების გადასახადით არ იბეგრება ამ კოდექსის 97-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით) განხორციელებული ოპერაცია, თუ მათ შორის დადებული გარიგების ფასი განსხვავდება მისი საბაზრო ფასისაგან და მათი ურთიერთდამოკიდებულება გავლენას ახდენს გარიგების შედეგზე. ასეთ შემთხვევაში განაწილებული მოგების ოდენობა შეადგენს:...

ა.ბ) გარიგების შედეგად გაწეულ ხარჯსა და გარიგების საბაზრო ფასს შორის სხვაობას, თუ გარიგების შედეგად გაწეული ხარჯი აღემატება გარიგების საბაზრო ფასს“.

გარდა ამისა, საბაზრო ფასი შეიძლება გამოყენებული იქნეს დღგ-ით დაბეგვრის მიზნებისთვისაც, სსკ 164-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, თუ ინდემწარმე – დღგ-ის გადამხდელია, ხოლო

შპს – არა (ან, შეიძლება შპს დღგ-ის გადამხდელია, მაგრამ ქირავნობით აღებული ფართი მის მიერ მთლიანად ან ნაწილობრივ გამოიყენება დღგ-ისაგან ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებულ ოპერაციებში), ქირავნობის საფასური კი საბაზროზე უფრო დაბალია. ამ შემთხვევაში ინდემწარმე დაიბეგრება დღგ-ით ქირავნობის საბაზრო ფასიდან.

კითხვა: 2022 წლის 30 სექტემბრისთვის, შპს-ს შეუსრულდა 100000 ლარის ბრუნვა, საქონლის აღწერის აქტით ნაშთი გვაქვს 30000 ლარი.

2 აგვისტოს დარეგისტრირდა დღგ-ის გადამხდელად.

მიმწოდებლებისგან მოვითხოვეთ სექტემბრის და აგვისტოს დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურები და რაც მივიღეთ, იმის მიხედვით ჩავითვაღეთ 2000 ლარი. ე.ი. კონკრეტული საქონლის კონკრეტულ ნაშთზე მეტი ჩათვლება განვახორციელეთ საგარაუდოდ. ვინელმძღვანელებთ ერთ-ერთი საკონსულტაციო კომპანიის მენეჯერის კონსულტაციით და სხვების კომენტარებით, რომელთა თანახმად ამის უფლება გვქონდა.

ჩვენი მხრიდან დაგაბატებთ, რომ საქონლის ნაშთიდან გამომდინარე შეგვექლო მიგველო მეტი ჩათვლა. ხომ არ დაგუშვით შეცდომა?

პასუხი: ჩვენს პასუხში ვიგულისხმებთ, რომ შპს ვაჭრობს მხოლოდ იმ სახის საქონლით, რომელიც დღგ-ით იბეგრება.

დასაზუსტებელია, რისგან შედგება 30000 ლარი – ეს არის აგვისტო-სექტემბერში (2 აგვისტოდან, როცა უკვე დღგ-ის გადამხდელად დარეგისტრირდით) შექმნილი საქონლის თვითღირებულება დღგ-ის გარეშე, თუ ამ ნაშთში ასევე შედის 2 აგვისტომდე შექმნილი საქონლის ნაწილის თვითღირებულებაც? საგარაუდოდ, მეორე შემთხვევა უნდა იყოს, რადგან თუ აგვისტო-სექტემბერში მიღებული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების მიხედვით შესყიდულ საქონელზე ჩათვლილი დღგ 2000 ლარია, ესე იგი დაახლოებით 1111 ლარის თვითღირებულების (დღგ-ის გარეშე) საქონელი შეგიძენიათ ამ პერიოდში (იმ დაშვებით, რომ დღგ-ისაგან გათავისუფლებული ან საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გარეშე შესყიდული საქონელი არ გაქვთ) მხოლოდ. შესაბამისად, 30000 ლარის ნაშთში შემაჯავლი საქონლის დიდი ნაწილი 2 აგვისტომდე პერიოდში უნდა იყოს შექმნილი.

ამ შემთხვევაში, 2 აგვისტომდე (დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციამდე) შესყიდული საქონლის იმ ნაშთზე, რომელიც გქონდათ ამ დღის მდგომარეობით, შეგიძლიათ ჩაითვალოთ მისი შესაბამისი დღგ აგვისტოს ან სექტემბრის თვის დღგ-ის დეკლარაციით (მხოლოდ კალენდარული წლის განმავლობაში განხორციელებულ შესყიდვებზე!), ოღონდ იმ პირობით, თუ ამ საქონლის შესყიდვაზე მოგეპოვებათ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები.

მაგალითად, ვთქვათ მაისის თვეში რომელიღაც მიმწოდებლისაგან შეიძინეთ 29500 ლარის დღგ-ით დასაბეგრი საქონელი, რომლის 80% გაყიდეთ 2 აგვისტომდე, ხოლო 2 აგვისტოს მდგომარეობით ამ საქონლიდან გასაყიდად დარჩენილია 20%, ანუ 5900 ლარის საქონელი. აგვისტოს თვეში მიმწოდებელმა მაისის თვეში მომხდარ ოპერაციაზე, 29500 ლარზე გამოგიწერათ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა. ამ შემთხვევაში, დასაშვებია საქონლის არსებული ნაშთის (5900 ლარის) შესაბამისი დღგ-ის – 900 ლარის ჩათვლა.

კითხვა: 2024 წლის ნოემბრის თვეში ჩვენი კომპანიის სახელზე იმპორტით შემოვიდა ორი ტვირთი „CIP თბილისი“ პირობით. ერთი ტვირთის ინვოისში მითითებული იყო logistics-სერვისი 5000 ევრო, მეორე ტვირთის ინვოისში logistics-სერვისი არ იყო მითითებული. ორივე ტვირთი განბაჟდა და დაიბეგრა დღგ-ით.

ახლა მიმწოდებელ კომპანიასთან შედარებისას აღმოჩნდა, რომ მეორე ტვირთზეც უნდა ყოფილიყო logistics-სერვისი 7000 ევრო.

როგორ მოვიქცეთ, მივწერთ საბაჟო დეპარტამენტს საბაჟო დეკლარაციის კორექტირებაზე, რომ მიმწოდებელმა შეცდომით გამოგვიგზავნა ინვოისი და დაგაკორექტიროთ საბაჟო დეკლარაცია?

ეს გამოიწვევს კომპანიის დაჯარიმებას, ან სხვა მხრივ საბაჟო ორგანოების დაინტერესებას?

პასუხი: უკვე რეგისტრირებულ საბაჟო დეკლარაციაში ცვლილებების შეტანა ანუ დაზუსტება შესაძლებელია და ასეც უნდა მოიქცეთ. ამ მიზნით, IS.GE-ზე განცხადებების მძღულის გამოყენებით უნდა ისარგებლოთ სერვისით „საბაჟო დეკლარაციაში ცვლილების განხორციელება“ და წარადგინოთ განცხადება და თანმხლები ელექტრონული დეკლარაცია.

რადგან გადასახდლები იზრდება, ამან შეიძლება გამოიწვიოს მცირე საურავების დარიცხვა, ისევე როგორც ეს ჩვეულებრივი საგადასახადო დეკლარაციის დაზუსტების დროს ხდება ხოლმე, მაგრამ ჯარიმა არ დაგეგმისრებათ. რადგან საქართველოს საბაჟო კოდექსის 90-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ პუნქტის შესაბამისად:

„მუხლი 90. რეგისტრირებულ საბაჟო დეკლარაციაში ცვლილების შეტანა

1. დეკლარანტის განცხადების საფუძველზე შესაძლებელია რეგისტრირებულ საბაჟო დეკლარაციაში ცვლილების

შეტანა:

ბ) საქონლის გაშვების შემდეგ:

ბ.ა) ამ კოდექსის 160-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, როდესაც თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებული საქონლის ნაწილის რეექსპორტი ხორციელდება;

ბ.ბ) საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციიდან 3 წლის განმავლობაში, საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლის განხორციელების შესახებ სასამართლოს ან საბაჟო ორგანოს შესაბამისი გადაწყვეტილების ჩაბარებამდე, რათა დეკლარანტმა შეასრულოს საქონლის შესაბამის საბაჟო პროცედურაში მოქცევასთან დაკავშირებული ვალდებულებები“.

ამავე კოდექსის 163-ე მუხლის „საბაჟო სამართალდარღვევა. პასუხისმგებლობის ზოგადი პრინციპების“ მე-13 ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად კი:

„13. პირს საბაჟო დეკლარაციაში/რეექსპორტის დეკლარაციაში არასწორი მონაცემის შეტანისთვის ამ კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, თუ:

ა) საბაჟო დეკლარაციაში/რეექსპორტის დეკლარაციაში ცვლილება შეტანილ იქნა ამ კოდექსის 90-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად“.

მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, ამ საბაჟო დეკლარაციის დაზუსტება საბაჟო ორგანოების რამე განსაკუთრებულ ინტერესს ეს არ გამოიწვევს, რადგან საბაჟო გადასახდელების გაზრდა ხდება და არა შემცირება, და ამასთან, ეს საქონლის მხოლოდ თანხობრივი ღირებულების დაზუსტებით არის გამოწვეული და არა იმპორტირებული საქონლის რაოდენობრივი ან/და სახეობრივი ცვლილებებით.

კითხვა: რას ნიშნავს ეს ჩანაწერი „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მიხედვით:

„სამართალდამრღვევი ვალდებულია დარღვევის გამოსწორებისათვის საპენსიო შენატანი განახორციელოს საკუთარი ხარჯით (დასაქმებულის ხელფასიდან გამოქვითვის გარეშე)“?

ანუ ვთქვათ, კომპანიამ 1000-ლარიანი ხელფასიდან დააკაკა 20 ლარი საპენსიო შენატანი, 196 ლარი საშემოსავლო გადასახადი და ხელზე გადაუხადა 784 ლარი დასაქმებულს. შემდეგ დეკლარირება გამოჩნა და რომ დააზუსტა დეკლარაცია, გადაიხადა ეს 20 ლარი საპენსიო ფონდის ანგარიშზე (პლუს 20 ლარი დამსაქმებლის საპენსიო ანარიცხი) და გარდა ამისა, კიდევ 20 ლარი უნდა ჩაურიცხოს (დაუბრუნოს) დასაქმებულს? ანუ, დასაქმებულს რაც დაუკაკა 20 ლარი, ის დაკავებული თანხა უნდა გააუქმოს და 20 ლარი ისევ საპენსიო ფონდის ანგარიშზე უნდა ჩარიცხოს?

პასუხი: უფრო ზუსტად, „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს 2018 წლის 6 აგვისტოს კანონის მე-6 მუხლი შეიცავს ასეთ პუნქტებს:

„1. შემოსავლების სამსახური საპენსიო ფონდის მიერ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმიანობის განსახორციელებლად მას შემოსავლების სამსახურისა და საპენსიო ფონდის ერთობლივი ნორმატიული აქტით დადგენილი წესით უზრუნველყოფს შესაბამისი ინფორმაციით. საპენსიო ფონდი ელექტრონულ სისტემაში არსებული ინფორმაციის შემოსავლების სამსახურისგან მიღებულ ინფორმაციასთან შედარების შედეგად ან/და ამ მუხლის მე-12 პუნქტის გათვალისწინებით ახდენს საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების დარღვევის (ამ ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და საპენსიო შენატანის განხორციელებისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის დარღვევით შესრულების) ფაქტის იდენტიფიცირებას, აგრეთვე ავლენს საპენსიო შენატანის ზედმეტად განხორციელების ფაქტს...“

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების შეუსრულებლობის (ამ ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და საპენსიო შენატანის განხორციელებისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის დარღვევით შესრულების) ფაქტის იდენტიფიცირების შემთხვევაში დამსაქმებელს საპენსიო ფონდის მიერ დადგენილი წესით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე დაეკისრება საურავი საპენსიო შენატანის იმ ოდენობაზე, რომელიც არ განხორციელებულა ან შესაბამისი ვადის დარღვევით განხორციელდა, საპენსიო შენატანის განხორციელების ვადის მომდევნო დღიდან, თითოეული ვადაგადაცილებული დღისთვის არსებული, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთისთვის დამატებული 5 პროცენტის ოდენობით. საურავი დაირიცხება საპენსიო შენატანის განხორციელების ვადის მომდევნო თარიღიდან და გრძელდება დამსაქმებლის მიერ ამ საპენსიო შენატანის სრულად განხორციელებამდე. დამსაქმებელს ამ პუნქტით გათვალისწინებული საურავი დაეკისრება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმისგან დამოუკიდებლად, საპენსიო ფონდის მიერ განსაზღვრულ შემთხვევაში და დადგენილი წესით.

3'. საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების დარღვევის (ამ ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და საპენსიო შენატანის განხორციელებისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის დარღვევით

შესრულების) ფაქტის იდენტიფიცირების შემთხვევაში დამსაქმებელს საპენსიო ფონდის მიერ დადგენილი წესით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე დაეკისრება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრული ჯარიმა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შესაბამისი საშემოსავლო დეკლარაციის შესწორების/დაზუსტების შედეგად დამსაქმებელი საპენსიო ფონდის მიერ დადგენილი წესით განახორციელებს შესაბამის საპენსიო შენატანს/შენატანებს. ამ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დამსაქმებელს დაეკისრება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრული ჯარიმა, თუ საპენსიო ფონდის მიერ დადგენილი წესით არ განახორციელებს საპენსიო შენატანს.

3². ამ მუხლის მე-3 და 3¹ პუნქტების შესაბამისად დამსაქმებლისთვის საურავის ან/და ჯარიმის დაკისრება მას არ ათავისუფლებს ამ კანონის თანახმად საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების შესრულებისგან. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია შესაბამისი საპენსიო შენატანი საკუთარი ხარჯით (დასაქმებულის ხელფასიდან გამოქვითვის გარეშე) განახორციელოს...

5. ამ მუხლის 3¹ პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმის თანხა მიიძარება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო მე-3 პუნქტით განსაზღვრული საპენსიო შენატანის თანხა და საურავი საპენსიო ფონდის მიერ დადგენილი წესით ირიცხება მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე“.

ზემოაღნიშნული (ნამდვილად უცნაური) 3² პუნქტი არ ეხება იმ შემთხვევას, როდესაც დამსაქმებელმა უკვე დაუკავა საპენსიო შენატანი დასაქმებულს, მაგრამ არ დაადეკლარირა (ან არასრულად დაადეკლარირა) ის და ამის გამო დაჯარიმდა, რადგან ამ შემთხვევაში, დასაქმებულის ხელფასიდან საპენსიო შენატანი უკვე გამოქვითულია. აღნიშნული, როგორც ჩანს, ეხება იმ შემთხვევას, როდესაც დასაქმებულის ხელფასიდან საპენსიო შენატანი გამოქვითული არ არის (ამ დროს, ეს ხელფასი უკვე დარიცხული და გაცემულია, ან შეიძლება ეს დასაქმებელი მაგ დროისთვის აღარც მუშაობს დამსაქმებელთან), ამ დროს ის უნდა გამოქვითულიყო და დადეკლარირებულიყო, რაც არ მომხდარა და ამის გამო დაჯარიმდა. ამ შემთხვევაში, დამსაქმებელი ასრულებს საპენსიო შენატანის (ძირითადი თანხის) დეკლარირებისა და გადახდის ვალდებულებას, ისე რომ არ უბრუნდება დასაქმებულის ხელფასის დარიცხვას და აღარ აკორექტირებს მას.

საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ თუ ზემოაღნიშნული მიზეზით დამსაქმებელი გადარიცხავს დასაქმებულის საპენსიო ანგარიშზე საპენსიო შენატანის თანხას დაკავების გარეშე, ეს წარმოშობს ახალ სარგებელს, გაცემულს ამ თანამშრომლის სახელზე (საპენსიო ანგარიშზე გადარიცხული თანხა ხომ თანამშრომლის საკუთრებაა), რაც დასაბეგრია როგორც ახალი ხელფასი!

მაგალითად, ვთქვათ გამოვლინდა, რომ დამსაქმებელს უნდა დაედეკლარირებინა და გადაერიცხა საპენსიო ფონდში 40 ლარი, რომლის ნახევარი ანუ 20 ლარი დასაქმებულის ხელფასიდან უნდა დაკავებულიყო, რაც არ მომხდარა. ამის გამო დამსაქმებელი ადეკლარირებს და რიცხავს საპენსიო ფონდში ამ თანამშრომლის საპენსიო შენატანის შესაბამის თანხას, რაც ნიშნავს, რომ მან 20 ლარი თანამშრომლის ნაცვლად გადაიხადა. ეს კი ნიშნავს, რომ დასაქმებულმა იმ თვეში, როდესაც ეს ფაქტობრივად გააკეთა, ამ დასაქმებულს დამატებით უნდა დაარიცხოს ხელფასი 25.51 ლარი და ამის გამო დაადეკლაროს უკვე ამ თვის დეკლარაციით 5 ლარი საშემოსავლო გადასახადი და $2 * 0.51 = 1.04$ ლარი.

პიიხპა: 2024 წელს შპს-მ დამფუძნებლისაგან მიიღო 20% -იანი სესხი ეკონომიკური საქმიანობისთვის. დამფუძნებელი დღგ-ის გადამხდელი ინდემქარმეა. შპს-მ ყოველთვიურად დაარიცხა ბუღალტრულად პროცენტის ხარჯი, მაგრამ 2024 წელს პროცენტი არ გადაიხადა, გადაიხადა 2025 წლის თებერვალში, საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციაში 5% დააკავა და გადაუხადა კრედიტორს. შპს-ისთვის ეს ხარჯი რომელი წლის ხარჯად ჩაითვლება - 2024 წლის თუ 2025 წლის?

ჩვენ ასე ვფიქრობთ, რომ სსკ 131-ე მუხლის შესაბამისად ინდემქარმე ამ შემოსავალს არცერთ საგადასახადო დეკლარაციაში არ ასახავს.

შპს-ს და ინდემქარმეს სსგა საგადასახადო ვალდებულებები გააჩნიათ თუ არა?

პასუხი: ფინანსური (ანუ ბუღალტრული) აღრიცხვის მიზნებისათვის, შპს-ისთვის ეს 2024 წლის ხარჯია. თუ შპს არ არის მოგების გადასახადით დაბეგვის „ესტონურ მოდელზე“ და არც ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტია, მაშინ, საგადასახადო თვალსაზრისით, ეს 2024 წლის გამოსაქვითი ხარჯია, რადგან თანხის მიმღები – დღგ-ის გადამხდელი ფიზიკური პირია და ამ შემთხვევაში იმოქმედებს სსკ 142-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ პუნქტის ბოლო ფრაზა:

„4. მიუხედავად ამ მუხლის პირველი-მე-3 ნაწილებისა, თუ პირი, გარდა ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტისა, იყენებს დარიცხვის მეთოდს, ხარჯების გაწევის მომენტად ითვლება თანხის გადახდის მომენტი, როდესაც:

ა) გადახდა უკავშირდება ფიზიკურ პირს, გარდა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირისა“.

თუ შპს მოგების გადასახადით დაბეგვრის „ესტონურ მოდელზე“, მაშინ, თუ დამფუძნებელთან ზემოაღნიშნული ოპერაცია წარმოშობს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტს, შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდი იქნება 2025 წლის თებერვალი.

მოცემულ შემთხვევაში, ვფიქრობთ, რომ მოგების გადასახადით დასაბეგრი ობიექტი ამ შპს-ს ნამდვილად წარმოეშება, რადგან დამფუძნებლისაგან (ანუ, ურთიერთდამოკიდებული პირისაგან) შპს-ისთვის ნასესხები თანხის წლიური სარგებლის პროცენტი (20%) საბაზროზე მეტია, ამიტომ იმოქმედებს სსკ 98¹ მუხლის მე-4 ნაწილის „ა.ბ“ პუნქტი და შპს დაიბეგრება მოგებისა და საშემოსავლო გადასახადებით:

„4. მოგების განაწილებად ითვლება:

ა) საწარმოს მიერ ურთიერთდამოკიდებულ პირთან (რომელიც მოგების გადასახადით არ იბეგრება ამ კოდექსის 97-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით) განხორციელებული ოპერაცია, თუ მათ შორის დადებული გარიგების ფასი განსხვავდება მისი საბაზრო ფასისაგან და მათი ურთიერთდამოკიდებულება გავლენას ახდენს გარიგების შედეგზე. ასეთ შემთხვევაში განაწილებული მოგების ოდენობა შეადგენს:...

ა.ბ) გარიგების შედეგად გაწეულ ხარჯსა და გარიგების საბაზრო ფასს შორის სხვაობას, თუ გარიგების შედეგად გაწეული ხარჯი აღემატება გარიგების საბაზრო ფასს“.

მეტიც, ისევე და ისევე მხარეთა ურთიერთდამოკიდებულებისა და სასესხო გარიგების არასაბაზრო პირობების გამო, მაღალი რისკია იმისა, რომ დამფუძნებელზე გაცემული პროცენტის თანხა საგადასახადო ორგანომ მთლიანად მიიჩნიოს (ანუ, გადააკვალიფიციროს) დამფუძნებლის მიერ შპს-დან მოგების გატანად და დაბეგროს როგორც 5% საშემოსავლო, ასევე 15% მოგების გადასახადით.

ცალკე განსახილველი საკითხია ინდემწარმის საგადასახადო ვალდებულებები. საპროცენტო შემოსავლები დღე-ით, ცხადია, არ იბეგრება, მაგრამ საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის საკითხი დამოკიდებულია იმაზე, ეს ინდემწარმე დარიცხვის მეთოდს იყენებს თუ საკასო მეთოდს. მას აქვს ამ არჩევანის უფლება, რაც პირდაპირ არის აღნიშნული სსკ 136-ე მუხლის „შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის პრინციპების“ მე-7 ნაწილში:

„7. ფიზიკურ პირს უფლება აქვს, შემოსავლები და ხარჯები საკასო მეთოდით აღრიცხოს“.

საქმე ისაა, რომ თუ ინდემწარმე საკასო მეთოდს გამოიყენებს, იმოქმედებს სსკ 131-ე მუხლის მე-3 ნაწილი და 2025 წლის მის წლიურ საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციაში, შპს-ისგან მიღებული პროცენტები საერთოდ არ აისახება (ანუ, დაიბეგრება მხოლოდ გადახდის წყაროსთან 5%-იანი განაკვეთით):

„3. ფიზიკური პირის მიერ მიღებული პროცენტები, რომლებიც დაიბეგრა გადახდის წყაროსთან, არ ჩაირთვება ამ პირის ერთობლივ შემოსავალში და შემდგომ დაბეგვრას არ ექვემდებარება“.

მაგრამ, თუ ინდემწარმე შემოსავლებს დარიცხვის მეთოდით აღრიცხავს, მაშინ ის ვალდებული ხდება ჩართოს შპს-ისგან მისაღები პროცენტები ერთობლივ შემოსავალში თავის 2024 წლის საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციაში და ამ შემთხვევაში ეს პროცენტები დაიბეგრება 20% საშემოსავლო გადასახადით, რადგან სსკ 131-ე მუხლის მე-3 ნაწილის პირობები 2024 წელთან მიმართებით არ კმაყოფილდება: საანგარიშო 2024 წლის განმავლობაში ეს პროცენტები გადახდის წყაროსთან არ დაბეგრილა.

კითხვა: საქართველოს რეზიდენტმა შპს-მ (ხმის ჩამწერი სტუდია) იყიდა სხვადასხვა უცხოურ ვებგვერდზე: 1) მზა ხმის ეფექტების ლიცენზია (მაგ.: ფეხბურთთან დაკავშირებული ხმის ეფექტების ბაზა - ბურთის დარტყმის ხმა და ა.შ.), რომლებსაც გამოიყენებს უფადოდ; 2) ხმის ეფექტების ბაზა, რომლის გამოყენებისთვისაც ყოველთვის უფასოდ სააბონენტოს იხდის. აღნიშნულ ხმებს შემდეგში ვერ გამოიყენებს; 3) პროგრამა მუსიკის შესაქმნელად და ხმის ეფექტების დასამუშავებლად, რომლის განახლებაც შეიძლება გახდეს საჭირო, 1 ან 2 წლის შემდეგ, რისთვისაც გადაიხდის შესაბამის თანხას.

ზოგიერთი ვებგვერდი რომელი ქვეყნის რეზიდენტია, უცნობია. რა გადასახადების გადახდა მოუწევს შპს-ს?

პასუხი: დღე-ის თვალსაზრისით, ეს საფასური ნებისმიერ შემთხვევაში დაიბეგრება უკუდაბეგვრის დღე-ით, რადგან სსკ 160¹ მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად, დღე-ით დაბეგვრის მიზნით „მომსახურების გაწევად ასევე განიხილება:ა) არამატერიალური ქონების გადაცემა“, ხოლო ამ მომსახურების მიმღები საქართველოს რეზიდენტი კომპანიაა. შესაბამისად, სსკ 162¹ მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ამ მომსახურების გაწევის ადგილი დღე-ის მიზნებისათვის – საქართველოა.

არარეზიდენტის საშემოსავლო გადასახადის თვალსაზრისით, დასმულ საკითხზე პასუხის გასაცემად უნდა გაირკვეს, საქართველოს რეზიდენტის მიერ არარეზიდენტისთვის გადახდილი ამ არამატერიალური აქტივების ღირებულება როიალტია თუ სხვა სახის მომსახურების ან მზა არამატერიალური პროდუქტის შეძენა? ამასთან, ჩვენ ვიგულისხმებთ, რომ არარეზიდენტს არ აქვს საქართველოში მუდმივი დაწესებულება და არც რამე ხარჯი გაუწევია საქართველოში.

სსკ მე-8 მუხლის 21-ე ნაწილში მოყვანილი განმარტების მიხედვით, როიალტი არის:

„ბ) საავტორო უფლების, პროგრამული უზრუნველყოფის, პატენტის, ნახაზის, მოდელის, სავაჭრო ნიშნის ან სხვა ინტელექტუალური საკუთრების გამოყენებისათვის ან გამოყენების უფლების სხვა პირისთვის გადაცემისათვის მიღებული შემოსავალი...“

ე) კინოფილმის, ვიდეოფილმის, ხმის ჩანაწერის ან ჩაწერის სხვა საშუალების გამოყენებისათვის ან გამოყენების უფლების სხვა პირისთვის გადაცემისათვის მიღებული შემოსავალი“.

კითხვის მოცემულობაში მოყვანილი 3 შემთხვევიდან, როიალტის განმარტება კმაყოფილდება 1-ლ და მე-2 შემთხვევაში. შესაბამისად, გადახდილი თანხა როგორც როიალტი უნდა დაიბეგროს გადახდის წყაროსთან 5% გადასახადით (სსკ 134-ე მუხლის 1-ბ¹ პუნქტის მიხედვით, ხოლო თუ როიალტის მიმღები შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირია – მაშინ 15%-ით, ამავე მუხლის 1¹ პუნქტის შესაბამისად), რადგან ის არარეზიდენტისთვის წარმოადგენს საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავალს სსკ 104-ე მუხლის 1-ლი მუხლის „თ“ პუნქტის თანახმად.

მე-3 შემთხვევაში, ჩვენთვის ცალსახად არ არის ნათელი, თუ რა სახის პროგრამული უზრუნველყოფაა შექმნილი. სავარაუდოდ, საგადასახადო ორგანო ამასაც როიალტად ჩათვლის, მაგრამ თუ თქვენ მიიჩნევთ, რომ ამ პროგრამისთვის გადახდილი საზღაური როიალტის ზემოთ მოყვანილ განმარტებას არ აკმაყოფილებს და ამის დასაბუთებას შეძლებთ, მაშინ ეს საზღაური არ დაიბეგრება არარეზიდენტის საშემოსავლო გადასახადით, რადგან სსკ 104-ე მუხლის მიხედვით, ის არ წარმოადგენს საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავალს.

კითხვა: ჩვენ წარმოადგენთ უცხოური კომპანიის რეგისტრირებულ ფილიალს საქართველოში. ერთ-ერთი ტენდერით მოგებული საინჟინრო სამუშაოების პროექტის შესრულებისთვის, რაც დასავლეთ საქართველოში ხორციელდება, აღებული გვაქვს საბანკო გარანტია ერთ-ერთ უცხოურ ბანკში (ინფოისი წარმოგვიდგინეს). საბანკო გარანტიის ავანსიც გადახდილია წინა პერიოდში, ეს ინფოისი გადახდილია უშუალოდ სათაო ოფისის მიერ ამ უცხოური ბანკისთვის.

რადგან ეს პროექტი საქართველოში მიმდინარეობს, ამ მომსახურებიდან არარეზიდენტის საშემოსავლო (10%) გადასახადი და უკუდაბეგვრის დღე ნომ დასარიცხი და დასაბეგრია?

პასუხი: პირველ რიგში, შევნიშნავთ, რომ იმ გარემოებას, რომ თანხა ფილიალის სათაო ოფისმა გადაიხადა, არ აქვს მნიშვნელობა, რადგან სსკ 134-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „2. ამ მუხლის მიზნებისათვის გადასახდელი, რომლებიც გადაიხდება საქართველოში არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულების მიერ ან მისი სახელით, ითვლება რეზიდენტი საწარმოს მიერ გადახდილად“.

საბანკო გარანტია – წარმოადგენს ფინანსური მომსახურების ერთ-ერთ სახეს, რაც აღნიშნულია სსკ მე-15 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტში:

„2. ფინანსურ მომსახურებად/ოპერაციად განიხილება:...“

გ) კრედიტის (სესხის) აღება/გაცემა/გადაცემა, სინდიცირება, სტრუქტურირება, მართვა და განკარგვა, მათ შორის, კრედიტის (სესხის) უზრუნველსაყოფად განხორციელებული ქმედებები (ქონების/აქტივის დაგირავება, საკრედიტო რისკის მესამე პირზე ნაწილობრივ ან მთლიანად გადაყიდვა, გარანტიების ან ანალოგიური შინაარსის ფინანსური ინსტრუმენტების გაცემა/დამოწმება/მართვა/განკარგვა ან ასეთი ინსტრუმენტის შექმნა/მის ბენეფიციარად ყოფნა), კრედიტის (სესხის) მომსახურება (საპროცენტო სარგებლისა და ძირის გადახდა) და კრედიტზე (სესხზე) საპროცენტო სარგებლისა და კრედიტის (ძირის) დაფარვის მიღება, აგრეთვე ფაქტორინგი“.

ვინაიდან ფინანსური მომსახურება, როგორც ცნობილია, გათავისუფლებულია დღგ-ისაგან ჩათვლის უფლების გარეშე სსკ 171-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად, კითხვის მოცემულობაში აღწერილი არარეზიდენტი ბანკის საბანკო გარანტიის საზღაური არ დაიბეგრება უკუდაბეგვრის დღგ-ით!

საქმე სხვაგვარადაა არარეზიდენტის საშემოსავლო გადასახადის დაბეგვრის კუთხით. სსკ 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ო“ პუნქტი განსაზღვრავს:

„1. ამ კარის მიზნებისათვის საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავალს განეკუთვნება:...“

„ო) რეზიდენტი საწარმოდან ან საქართველოში არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულებიდან მართვისათვის, აგრეთვე საფინანსო ან/და სადაზღვევო მომსახურებისათვის (გადაზღვევის მომსახურების ჩათვლით) მიღებული შემოსავალი“.

ამ პუნქტისა და სსკ 134-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ პუნქტის შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში არარეზიდენტი ბანკისათვის (რომელსაც არ აქვს მუდმივი დაწესებულება საქართველოში) გადახდილი საბანკო გარანტიის საზღაური უნდა დაიბეგროს გადახდის წყაროსთან გადასახადის 10%-იანი განაკვეთით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს შემოსავალი გათავისუფლებულია დაბეგვრისაგან საქართველოსა და უცხოეთის ქვეყანას (რომლის რეზიდენტიცაა საზღაურის მიმღები ეს ბანკი) შორის გაფორმებული საერთაშორისო შეთანხმების ძალით „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ“.

რუბრიკის სპონსორები:



www.aafcapital.ge

შპს „ააფ-კაპიტალი“

AAFC — სასწავლო-სასერტიფიკაციო პროგრამები ფინანსებში



საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერი“

შრომის ბირჟა ფინანსისტიკისათვის / ტვილისი

შრომის ბირჟა ფინანსისტიკისათვის - ამ რუბრიკის მეშვეობით „აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები“ ეხმარება სასწავლო ცენტრი „ააფ-კაპიტალი“ მსმენელებს ან/და საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამა „ინფო ბუღალტერი“ მცოდნე ფინანსური სფეროს სპეციალისტებს მათი კვალიფიკაციის შესაბამისი სამუშაოს შოვნაში, ხოლო საწარმოებს - კადრების შერჩევაში. ნებისმიერი სახის ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ ჟურნალის რედაქციაში: ტელ. 239-33-50 ან 239-33-47.

განცხადებების განთავსება უფასოა, თუმცა გამოქვეყნების ჯერადობა შეზღუდულია. აუცილებელი მითხვანაა, რომ უფასო განცხადებების გამოქვეყნების მსურველმა გაიაროს ერთჯერადი გასაუბრება ჟურნალის მთავარ რედაქტორთან.

ამ რუბრიკის მეშვეობით სამსახური იშოვა 69 განმცხადებელმა!

- ბანკი. 040010. კაცი, 24 წლის, AAFC-1/ AAFC-2 კურსები, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - სასაუბრო. კომპიუტერი - კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 289026. ქალი, 34 წლის, AAFC-1/ AAFC-2 კურსები, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - ძალიან კარგი. კომპიუტერი - კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 098901. ქალი, 35 წლის, AAFC-2 კურსები, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - ძალიან კარგი. კომპიუტერი - კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 228501. ქალი, 39 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - ძალიან კარგი. კომპიუტერი - ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 058018. ქალი, 44 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - ძალიან კარგი. კომპიუტერი - ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 070015. ქალი, 24 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - ძალიან კარგი. კომპიუტერი - ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 139402. ქალი, 30 წლის, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - ძალიან კარგი. კომპიუტერი - ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 139303. ქალი, 31 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - ძალიან კარგი. კომპიუტერი - ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 089026. ქალი, 33 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - კარგად, რუსული - საშუალო, კომპიუტერი - კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.
- ბანკი. 049712. კაცი, 26 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - საშუალო, რუსული - საშუალო, კომპიუტერი - კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.
- ბანკი. 029402. კაცი, 29 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - საშუალო, რუსული - საშუალო, კომპიუტერი - კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.
- ბანკი. 099702. კაცი, 26 წლის, AAFC-2 კურსები, ინგლისური - კარგად, რუსული - საშუალო, კომპიუტერი - ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.
- ბანკი. 137323. ქალი, 50 წლის, „ბიჯისი“ კურსები, რუსული - ძალიან კარგად, ინგლისური - საშუალო, კომპიუტერი - ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 040010. კაცი, 23 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - კარგად, რუსული - საშუალო, კომპიუტერი - კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.
- ბანკი. 125931. ქალი, 59 წლის, AAFC-2 კურსები, კომპიუტერი - საშუალო. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 39121. კაცი, 31 წლის, მსმენელი/AAFC-2 კურსები, ინგლისური - ძალიან კარგად, რუსული - საშუალო, კომპიუტერი - კარგი. ბუღალტრის ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

საზღვარგარეთის ამბავი

საზღვარგარეთის ამბავი - ამ რუბრიკით საქართველოს ფარგლებს გარეთ მომხდარ სხვადასხვა სახსრებს და მნიშვნელოვან ამბებს გაგაცნობთ.

რუბრიკას უძღვება „ააფის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი ფრიდონ კერვალიშვილი.

როგორია NATO-სა და რუსეთს შორის თანაფარდობა იარაღის წარმოებაში

კოლექტიური ალიანსი აგრესორის წინააღმდეგ

დამპყრობლურ ომს, რომელსაც რუსეთი უკრაინაში აწარმოებს, ბალისტიკური რაკეტაც ბევრი სჭირდება, საარტილერიო ჭურვიც, ტყვია-წამალიც და ის მოწყობილობებიც, რომლებმაც ისინი საჭირო მანძილზე უნდა ისროლონ. NATO-ს გენერალურმა მდივანმა მარკ რიუტემ ტელეარს CBS-თვის მიცემულ ინტერვიუში, ჯერ კიდევ მიმდინარე წლის აპრილში თქვა, რომ რუსეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი NATO-ს ქვეყნებზე 4-ჯერ მეტ საბრძოლო მასალას აწარმოებს. თუმცა, ნიდერლანდელს არ დაუკონკრეტებია კალიბრის ზომები. ამას კი, დარგის ექსპერტთა შეფასებით გადამწვევტი მნიშვნელობა აქვს.

ივლისის დასაწყისში, რიუტემ მედიას კიდევ უფრო პესიმისტური ციფრები მიაწოდა: „რუსეთმა წლის პირველ კვარტალში იმაზე 3-ჯერ მეტი საბრძოლო მასალა აწარმოა, ვიდრე ალიანსის ქვეყნები მთელს წელიწადში გვემკვე“: ამ სიტყვებზე დაყრდნობით, რუსეთის უპირატესობა 12-ჯერადია, რაც ძნელად დასაჯერებელია. ალიანსის გენმდივანი პოლიტიკური ფიგურაა და ძნელი სავარაუდოა, რომ მას გადაუმოწმებელი ინფორმაცია საჯარო გამოსვლაში განეცხადებია. შევეცადეთ დარგის კვალიფიციურ მკვლევართა მოძიებულ ცნობებზე დაყრდნობით, რეალურთან ყველაზე ახლოს მყოფი არსებული სურათი შემოგთავაზოთ.

რადიო „თავისუფლების“ კვლევის შედეგები

მარკ რიუტეს განცხადებების დასადასტურებლად ან უარსაყოფად, რადიო „თავისუფლებამ“ კონფლიქტების კვლევის ჯგუფთან (Conflict Intelligence Team – CIT) ერთად, რუსეთსა და NATO-ს ქვეყნებში ღია ინფორმაციების საფუძველზე შესაბამის მონაცემთა ანალიზი ჩაატარა.

კომპლექსურმა (თუმცა ბოლომდებარეს რუბრიკა) კვლევამ შეიარაღების შემდეგი კატეგორიები მოიცვა: არტილერია (საბრძოლო მასალით), ტანკები, თვითმფრინავები, შორ მანძილზე დამახინჯებელი საშუალებები (რაკეტები და დრონები), ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის საშუალებები და მათთვის განკუთვნილი რაკეტები.

რუსეთის ხელისუფლება, უკრაინაში სრულმასშტაბიანი შეჭრისას გაფორმებულ თავდასხმით საშუალებათა ყველა შეკვეთებზე არ აქვეყნებს

მონაცემებს (კანონმდებელთა რწმუნებით, ამ გზით ისინი პროფილურ დაწესებულებებს სანქციებისგან იცავენ და ქვეყნის სამხედრო ქალაქებისა და სპეცობიექტებზე ინფორმაციის გაჟონვასაც თავს არიდებენ – ფ.კ.). ამიტომ, კვლევის ინიციატორები ძირითადად ეყრდნობიან უცხოური დაზვერვების, ანალიტიკოსთა და მედია-საშუალებათა ციფრებს. ზოგ შემთხვევაში, წარმოებული იარაღის ზუსტი რაოდენობის დადგენა შეუძლებელია.

ამავე დროს, NATO-ს ქვეყნებში წარმოებული შეიარაღების დათვლისას მხედველობაში არაა მიღებული თურქეთი. ცნობილია, რომ ეს ქვეყანა ალიანსის წევრი 1952 წლიდანაა და საგრძნობი საწარმოო პოტენციალი აქვს. თუმცა, მიმდინარე კონფლიქტში იგი „ფარული“ ნეიტრალიტეტის მიმდევარია.

თავდაცვითი კვლევების ბრიტანეთის სამეფო ინსტიტუტის (Royal United Services Institute, RUSI) მონაცემებით, 2022 წელს რუსეთმა 250 ათასი 152მმ კალიბრის ჭურვი გაისროლა, 2023-ში – 1 მილიონი, 2024-ში – 1,325 მილიონი. ამას გარდა, აგრესორის სამხედრო-სამრეწველო ძალებმა 2024 წელს 122მმ-იანი კალიბრის 800 ათასი ცალი ჭურვი გაისროლეს უკრაინელთა პოზიციების მიმართულებით. ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ მატება 2025 წელსაც (განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში) გაგრძელდება, რადგან რუსული საწარმოები ასაფეთქებელი ნივთიერებების სულ უფრო მეტ ოდენობას დაამზადებენ მწყობრში ახალი სიმძლავრეების შესვლის გამო.

RUSI-ის კვლევის შედეგები ახლოსაა დასავლელი და უკრაინელი ოფიციალური პირების მონაცემებთან. სწორედ ამ უკანასკნელთა ინფორმაციებზე დაყრდნობით იუწყება Reuters-ი, რომ რუსეთმა 2024 წელს 2-2,3 მილიონი საარტილერიო ჭურვი დაამზადა. მეტიც, ევროპაში NATO-ს ჯარების ყოფილი მთავარსარდლის, ამერიკელი გენერლის კრისტოფერ კაპოლის სიტყვებით, რუსეთი ამ რიცხვის 3 მილიონამდე გაზრდასაც გეგმავდა.

ანალიტიკური ფირმა Bain & Company-ს ინფორმაციებზე დაყრდნობით, SkyNews-ი იტყობინება, რომ 2024 წელს რუსეთს 4,5 მილიონი საბრძოლო მასალა უნდა ეწარმოებინა. ამ და სხვა წყაროების „საყრდენი“ ყოველთვის იყო და ალბათ მომავალშიც ასე იქნება – „საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია“.



აშშ 2024 წლის გეგმური დოკუმენტების თანახმად წელიწადში 109 ერთეულ M1A2 Abrams-ს აწარმოებს.

ამავე დროს, არ კონკრეტდება საბრძოლო მასალის რა სახეობებზეა საუბარი. ამდენად, ამ საოცრად გაზრდილ ციფრებში სავსებით შესაძლებელია შედიოდეს ნაღმსატყორცის ნაღმები, ჭურვები ტანკებისთვის.

ამას გარდა, ხომ აშკარაა, რომ რუსეთი ჩრდილო კორეიდან მარტო „ცოცხალ“ ძალას კი არა, ტყვია-წამალს და სხვა საბრძოლო მასალასაც იღებს. თავდაპირველად საუბარი 122 და 152-მილიმეტრიან ჭურვებზე, ნაღმებზე და ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემებისთვის (ზცრს) განკუთვნილ რაკეტებზე იყო. თუმცა, როგორც კი მოსკოვში კორეიდან შეიარაღების პირველი პარტია ჩავიდა, აღმოჩნდა, რომ ნომენკლატურა საკმაოდ გაფართოებულია: 130 მმ-იანი ჭურვები (დიდი ალბათობით, საბჭოთა შეიარაღებიდან შემორჩენილი M-46 მოდიფიკაციის ქვემეხებისთვის – ფ.კ.), 170 მმ-იანი ჭურვები კორეული თვითმავალი საარტილერიო დანადგარი M1978-თვის და 240 და 107-მილიმეტრიანი რაკეტები ასევე კორეული ზცრს-ებისთვის. ეჭვგარეშეა, დამატებულ საომარ დანადგარებსა და საბრძოლო მასალას საჩუქრად არავინ გამოაგზავნიდა.

რუსეთისთვის გაწეულ ჩრდილოკორეულ დახმარებას ბოლოს ისევ დავუბრუნდებით. ახლა რაც შეეხება NATO-ს წლიური შეიარაღების არსენალს. 2024

წლის მარტში, ერთ-ერთმა ინკოგნიტო ევროპელმა ჩინოვნიკმა CNN-ს უთხრა, რომ ალიანსის ქვეყნებს უკრაინაში წლიურად გასაგზავნი 1,2 მილიონი საბრძოლო მასალები გააჩნიათ. ბუნებრივია, ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ მხოლოდ ამდენს აწარმოებენ. NATO-ს კიდევ ერთი წყარო თითქმის იმავე პერიოდში აცხადებდა, რომ 2024 წლისთვის ძირითადი კალიბრის (105 და 120 მმ-ის გარდა) ჭურვების გეგმური წარმოება 2 მილიონს გადააჭარბებდა, ხოლო 2025-სთვის 155-მილიმეტრიანი სულ 3 მილიონი უნდა დაამზადონ. ეს მონაცემები პრაქტიკულ თანხედრამა ევროკომისიის წლიურ ანგარიშთან. მასში ეწერა, რომ 2024 წლის იანვარში 155 მმ-იანი ჭურვების წარმოება ევროპაში 1 მილიონს შეადგენდა, ხოლო 2025-ის ბოლოსთვის იგი გაორმაგდებოდა. კიდევ მილიონი ალიანსის მიერ წარმოებულ „ტყვია-წამლის“ მარაგს აშშ-ისგან უნდა შეემატოს.

ცნობისათვის, ევროპაში საბრძოლო მასალის უმსხვილესი მწარმოებელი გერმანული Rheinmetall-ი გახლავთ. 2024 წელს აქ 550 ათასი ჭურვი დამზადდა. „ბებერ“ კონტინენტზე ამ სპეციფიკის კიდევ რამდენიმე საწარმოა: ნორვეგიულ-ფინური Nammo, KNDS-ის ფრანგული „ფრთა“ Nexter, ბრიტანული BAE,

პოლონური Mesko, სლოვაკური MSM, ჩეხური STV Group და CSG.

2024 წელს Rheinmetall-მა გააფორმა კონტრაქტი გერმანიის არმიისთვის 8,5 მილიარდი დოლარის საბრძოლო მასალის წარმოებისთვის. ამ დოკუმენტის მიხედვით იგეგმება 2025-დან წლიურად 700 ათასი ჭურვის დამზადება, ხოლო 2027 წლისთვის ამ რიცხვმა 1,5 მილიონ 155 მმ-იან ჭურვს უნდა მიაღწიოს.

ამას გარდა, 2025 წელს ძირითადი (155 მმ) და სხვა „იშვიათი“ კალიბრის 1,8 მილიონი ჭურვის დამზადებას გეგმავს „უკრაინული ინიციატივის“ ფარგლებში ჩეხური STV Group-ი. აღნიშნულის შესახებ ერთობლივი განცხადება გააკეთეს 12 აგვისტოს კიევში გამართულ პრესკონფერენციაზე უკრაინისა და ჩეხეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ანდრეი სიბიგამ და იან ლიპავსკიმ.

„გაყინული რუსული აქტივების ხარჯზე საბრძოლო მასალის მიწოდება, არა მხოლოდ დახმარება, არამედ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი წვლილია უკრაინის თავდაცვის საქმეში. ესაა ჩეხეთის რესპუბლიკის გადაწყვეტი და თამამი გადაწყვეტილების მაგალითი“, – თქვა სიბიგამ.

თავის მხრივ, იან ლიპავსკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩეხურმა მხარემ შარშან უკრაინას 1,5 მილიონი მსხვილკალიბრიანი ჭურვი მიაწოდა. მისი თქმით, საბრძოლო მასალასთან დაკავშირებულმა ჩეხეთის ინიციატივამ ხელი შეუწყო გარემოებას, რომ რუსეთის საარტილერიო უპირატესობა „10-1“-დან „2-1“-მდე შეიცვალა.

უკრაინისადმი ამ მხრივ გაწეულ დახმარებაში ამერიკულ მონაწილეობას რაც შეეხება, იგი 2025 წელს გეგმურად 1,2 მილიონი ჭურვი უნდა იყოს. CIT-ის მონაცემებით, თუ მიმდინარე შესრულებას გავითვალისწინებთ, აშშ-ს მწარმოებლები 2-ჯერ დაბალ ტემპში მუშაობენ. ეს გამოწვეულია დროებითი პრობლემებით, რომლებიც 3 ახალი საწარმოო ხაზის დროულ ამუშავებას უკავშირდება. „როგორც კი ეს შეფერხება აღმოფხვრება, ამერიკული გეგმის შესრულებაც მნიშვნელოვნად მოიმატებს“, – მიაჩნიათ CIT-ში.

საარტილერიო იარაღისა და მძიმე ტექნიკის წარმოებაში სულ სხვა სურათია საარტილერიო ჭურვისა თუ ნაღმის რამდენიმე კილომეტრზე სასროლად რამდენიმე სახეობის იარაღი (ქვემეხი, ჰაუბიცა, ნაღმტყორცნი და ა.შ.) არსებობს. CIT-ი ამ მხრივაც შეეცადა პირდაპირ თუ ირიბად დაპირისპირებულ მხარეთა შორის წარმოების მასშტაბების შედარებას. როგორც ირკვევა, რუსულ შეიარაღებაში ჰაუბიცების ძირითადი კალიბრი 152 მმ-ია, ხოლო NATO-ს ქვეყნებში 155 მმ.

იმის გამო, რომ საარტილერიო ტექნიკის რუსული წარმოების სტატისტიკური მონაცემები გასაიდუმლოებულია, კონფლიქტების კვლევის ჯგუფი ყველაზე ოპტიმალურ ციფრზე „შეთანხმდა“. მიზნობრივი მოდიფიკაციის (მუხლუნოს ლენტური თვითმავალი

Мста-С, ბორბლებიანი Гиацинт-К და Мальва) აბსოლუტურად ახალ ტექნიკას რუსეთი წლიურად 100 ერთეულზე მეტს ფიზიკურად ვერ დაამზადებს.

ამ ასპექტში NATO-ს უპირატესობა აშკარაა: მარტო ფრანგულ-გერმანული კონცერნი KNDS-ი 2025 წლის ბოლოს 144 ერთეულ CAESAR-ს აწარმოებს. იგივე კომპანია ჩეხეთში გეგმავს ჰაუბიცების ამ მოდიფიკაციის წარმოების ხაზის ამუშავებას. ამას გარდა, გერმანია ასევე წლის ბოლოსთვის 6 ერთეული PzH 2000 გამოუშვებს. აქვე იწყებენ ჰაუბიცების ახალი მოდელის RCH-155-ს წარმოებას. ამ თვითმავალისთვის სასროლი მოწყობილობის წარმოების ხაზი დიდ ბრიტანეთშიც მოეწყობა. თვით ბრიტანეთის სამეფო ჰაუბიცების კლასის იარაღს არ აწარმოებს, თუმცა გერმანელებთან ერთობლივად წარმოებული RCH-155-ი მისი არმიის ძირითადი დასაყრდენი იქნება. ამ მომენტისთვის ბრიტანელები მეტწილად შეედურ Archer-ს ყიდულობენ. მიახლოებული შეფასებებით, შეედური მწარმოებელი წელიწადში მაქსიმუმ 12 ასეთ დანადგარს ამზადებს. ალიანსის ევროპულ ნაწილში ჰაუბიცები კიდევ ორ ქვეყანაში იწარმოება. პოლონეთი მიმდინარე წლის ბოლოსთვის 24 ერთეული Krab-ის, ხოლო სლოვაკეთი 40 ერთეული Zuzana-ს გამოშვებას გეგმავს.

აშშ-ში, თავის მხრივ საგრძნობლად გაზარდეს M777 და M109 ჰაუბიცებისთვის ლულების წარმოება. მაგალითისთვის, თვეში M777-ს ლულათა რიცხვი 11-დან 18-მდე გაიზარდა. ბუნებრივია, ეს არ ნიშნავს, რომ ამერიკელები წლიურად 216 ამ სახის ჰაუბიცას დაამზადებენ – მიზეზთა გამო, ხომ ლულა უფრო მალე გამოდის მწყობრიდან. ჰოდა, დაკვეთაც მოთხოვნის მიხედვითაა. ანალოგიურ შეკვეთებზე მუშაობას შეუდგნენ დიდ ბრიტანეთშიც (შეფილდი).

თვითმავალი საარტილერიო დანადგარი M109-ს რაც შეეხება, მისი წარმოების ამჟამინდელი ზუსტი ოდენობა უცნობია. თუმცა არსებობს 2017 წლის მონაცემი, რომლის მიხედვით ბრიტანული BAE Systems-ი მას წელიწადში 60 ერთეულს უშვებდა. სხვათა შორის, ამერიკელებმა 2024-შიც იგივე კომპანიასთან გააფორმეს 5-წლიანი 318 მილიონი დოლარის ღირებულების ახალი კონტრაქტი.

არტილერიის მსგავსად, რუსეთის მიერ წარმოებული ტანკების ზუსტი რიცხვის დასახელება ძნელია. ერთადერთი რაც არის ცნობილი, უკრაინაში გამოყენებული ეს საბრძოლო ტექნიკა საბჭოთა ტანკების (T-72B3 და T-80BVM) აღდგენილი და მოდერნიზებული ვარიანტებია. ალბათ სწორედ ამ ფაქტებზე დაყრდნობითაა გენერალი კავოლის ვარაუდი, რომ წლეულს რუსეთის არმია 1500-მდე ტანკის მიღებას გეგმავს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ უკრაინაში მასშტაბური შეჭრის დაწყებიდან რუსთა მეტ-ნაკლებად თანამედროვე ტანკების მარაგი ძალიან შემცირდა. T-72B დარჩა ომამდელი ოდენობის 20%, T-80B/BB – 10%, ხოლო T-80U/UD – 27%. ერთადერთი,

რუსეთში „ნულიდან“ წარმოებული ტანკია T-90M. CIT-ის ინფორმაციით, მხოლოდ ამ მოდელის წარმოება აწყობილი და იგი წელიწადში 280 ერთეულამდე მზადდება.

ამ ყველაფრის ფონზე, ევროპული სახელმწიფოები პრაქტიკულად აღარ აწარმოებენ ამ ტექნიკას: საფრანგეთი უკვე 10 წელზე მეტია, რაც არ უშვებს ძირითად საბრძოლო ტანკს Leclerc – პირველ რიგში, სიძვირის გამო; ბრიტანეთის სამეფო Challenger 3-ის საკუთარ პირველ საბრძოლო ვებმპლარს 2027 წელს მიიღებს. სულ, 2030 წლის ბოლოსთვის ალბიონურ არმიას 148 ახალი ტანკი ეყოლება.

ერთადერთი ევროპული ქვეყანა, რომელიც ტანკების სერიული მწარმოებელია, გერმანიაა. აქ წელიწადში 50 ერთეულ Leopard 2A8-ს ამზადებენ. ამას გარდა, გერმანია უახლოესი 10 წლის განმავლობაში 1000 ერთეული Leopard 2-ის შექმნას გეგმავს.

აშშ 2024 წლის გეგმური დოკუმენტების თანახმად წელიწადში 109 ერთეულ M1A2 Abrams-ს აწარმოებს. საჭიროების შემთხვევაში, როგორც კონგრესისთვის აშშ-ის არმიის სამინისტროს მომზადებულ მოხსენებაშია ნათქვამი, წლიური წარმოება 420-მდე შეიძლება გაიზარდოს. ამას გარდა, შტატებში წლიურად 200 ძველი ტანკის მოდერნიზება ხდება და ეს რიცხვი „თავისუფლად შეიძლება გაიზარდოს 350-მდე“.

საბოლოოდ, იმის გათვალისწინებით, რომ ტანკების წარმოება ევროპაში უახლოესი პერსპექტივით საგრძნობლად მოიმატებს, ხოლო შეერთებული შტატების საწარმოებიც სრული დატვირთვით არ მუშაობენ, მხარეთა ახლანდელი თანაფარდობა მოჩვენებითია.

უმაღლესი პილოტაჟით მიღწეული „საბრძოლო ფრე“

CIT-ის მიერ მოპოვებულ ინფორმაციებში, ყურადღებას წლიური წარმოების მასშტაბებზე კი არა, არსებულ არსენალზე შევჩერდებით. გამანადგურებლების რაოდენობის მიხედვით NATO-ს რუსეთთან მიმართებით უპირატესობა უდიდესია. Military Balance-ს უახლესი ინფორმაციით, რუსეთს 931 გამანადგურებელი (მათ შორის მხოლოდ 19 ერთეული მეხუთე თაობის Cy-57) გააჩნია. მხოლოდ აშშ-ს შეიარაღებაშია 2338 გამანადგურებელი (მათგან 787 ერთეული მეხუთე თაობის F-22 და F-35). ამასთან, ამერიკელებს აქტიურ რეზერვში აქვთ 727 გამანადგურებელი (61 ერთეული მეხუთე თაობის).

NATO-ს ევროპული ქვეყნების (გარდა თურქეთისა) შეიარაღებაში 1814 ერთეული გამანადგურებელია. ლიდერებად ითვლებიან საფრანგეთი, იტალიასა და დიდი ბრიტანეთი, ხოლო ნიდერლანდები (40) და ნორვეგია (44) მთლიანად უახლესი თაობის გამანადგურებლებითაა დაკომპლექტებული.

სამაგიეროდ, რუსეთს „ულაპარაკო“ უპირატესობა აქვს დრონებისა და მათთვის განკუთვნილი რაკეტების წარმოების მიხედვით. „მახელის“ ტიპის დრონებს

რუსეთში წლიურად 60 ათასს ერთეულს ამზადებენ, რაკეტები კი მაქსიმუმ 3000 ცალს აღწევს. NATO-ს არსენალში იმ დანიშნულებითა და ფუნქციებით, როგორც „მახელის“ აქვთ, დრონი პრაქტიკულად არ არსებობს. ამდენად, უპირატესობაც სახეზეა.

სწორედ რუსეთის ამ დონის უპირატესობამ განადა აუცილებელი უპილოტო საფრენი აპარატების (ე.წ. დრონები) კოალიციის შექმნა. მისი ბოლო 2 წევრის (ბელგია, თურქეთი) ჩათვლით იგი 20 ქვეყანას აერთიანებს. კოალიციის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი, ევროპაში დრონების ერთ-ერთი მსხვილი მწარმოებელი ლატვიაა. ამ გაერთიანების შექმნის წელს (2024) ამ ქვეყანამ უკრაინას 5000-მდე საბრძოლო დრონი მიაწოდა. სულ გასულ წელს უკრაინისადმი ამ ტექნიკით აღმოჩენილი დახმარების ფულადი ოდენობა 1,8 მილიარდ ევროს შეადგენდა, ხოლო 2025-ში ამ თანხამ 2,75 მილიარდი ევრო უნდა შეადგინოს.

რუსეთთან ერთად ჩრდილოკორეელმაგიც „დასამარცხებელია“

ზემოთ რუსეთისთვის ჩრდილოეთ კორეიდან რეგულარულ საიარალო გზავნილებს შევხებით. კონკრეტულად რა სახის სამხედრო თანამშრომლობაზეა ამ ქვეყნებს შორის საუბარი, ამაზე უკრაინის თავდაცვის სამინისტროს მთავარი სადაზვერვო სამმართველოს უფროსი კირილო ბუდანოვი იუწყება. The Japan Times-თან 14 აგვისტოს მიცემულ ინტერვიუში იგი ამბობს:

„იმის გარდა, რომ კორეა რუსეთის შეიარაღებული ძალებისთვის 6000-მდე მეტროლის გაგზავნას გეგმავს, ჩვენი ინფორმაციით ამ უახლოეს არსენალში იქნება 50-დან 100-მდე ერთეული მძიმე ტექნიკა, მათ შორის M2010-ის (Cheonma-D) ტიპის ტანკები და BTR-80-ის ტიპის ჯავშანტრანსპორტიორები. მათი თქმით, ეს ყველაფერი საინჟინრო სამუშაოების შესასრულებლად გამოიყენება. ზოგიერთი მათგანი შეიძლება მართლაც იყოს ჩართული განადმვით სამუშაოებსა და სიმაგრეების მშენებლობაში, მაგრამ ყველა ამით იქნება დაკავებული?“.

ბუდანოვი მოსკოვსა და ფხენიანს შორის სამხედრო თანამშრომლობის მასშტაბებსა და შედეგებზეც საუბრობს და აღნიშნავს, რომ ამჟამად მსოფლიოში მხოლოდ სამ ქვეყანას აქვს ფართო ფრონტის ხაზზე თანამედროვე ომის წარმოების გამოცდილება – უკრაინას, რუსეთს და ჩრდილოეთ კორეას. მისი თქმით, რუსეთი გულუხვად აფინანსებს ჩრდილოეთ კორეის ჯარების მონაწილეობას უკრაინის წინააღმდეგ ომში.

„კრემლი იხდის ყველა სამხედრო აღჭურვილობისა და ჯარისკაცებისთვის. საუბარია ათობით მილიარდ დოლარზე და ჩრდილოეთ კორეის ეკონომიკისთვის, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე იზოლირებული ქვეყანაა, ეს ძალიან სერიოზული ფულია“, – აღნიშნა უკრაინის დაზვერვის ხელმძღვანელმა.

ფრიდონ კერვალიშვილი

Ryanair-ის ახალი რეკორდი – ივლისში 20.7 მილიონმა ადამიანმა იმგზავრა

ირლანდიურმა დაბალბიუჯეტოვანიმა ავიახაზებმა, Ryanair-მა თავისი კალენდარული თვის რეკორდი მოხსნა მას შემდეგ, რაც ავიახაზებით წინა თვეს 20.7 მილიონმა ადამიანმა იფრინა. აღნიშნული მაჩვენებელი წინა წლის ივლისის თვის მაჩვენებელს 20.2 მლნ-ს 3%-ით აღემატება.

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ წინა თვეს ავიაკომპანია 113,000 რეისის განხორციელება შეძლო. ასევე საინტერესოა, რომ ივლისში ავიახაზებს 680 რეისის გადაღება მოუწია, რაც საფრანგეთში მიმდინარე საავიაციო დისპეტჩერების გაფიცვით იყო გამოწვეული.

დაბალბიუჯეტოვანი ავიახაზებზე არსებულ დიდ მოთხოვნას ის სტატისტიკაც ადასტურებს, რომ წინა თვეში Ryanair-ის ფრენებზე ადგილების საშუალოდ 96% იყო დაკავებული. ჯამში, მხოლოდ 2025 წელს ავიაკომპანია 203.1 მილიონ ადამიანს მოემსახურა.

არგენტინის პრეზიდენტმა კონგრესის დამტკიცებულ პენსიების გაზრდას ვეტო დაადო

არგენტინის პრეზიდენტის, ხავიერ მილერის გადაწყვეტილებით, კონგრესის მიერ ივლისში მიღებულ ორ კანონპროექტს ვეტო დაედო. ერთი, რომელიც ეხებოდა პენსიების ზრდას 7,2%-ით, ხოლო მეორე – შშმ პირებისათვის სახელმწიფო ბენეფიტების შემოღებას. პრეზიდენტის ადმინისტრაციის განმარტებით, გადაწყვეტილება ფინანსების უკმარისობისა და ფისკალური ბალანსის დაცვის მიზნით იქნა მიღებული.

მიღებული გადაწყვეტილება მილერის ადმინისტრაციის მიერ გატარებული ფართო პოლიტიკის გამოძახილია, რომელიც ინფლაციისა და სამთავრობო ხარჯებისა საგრძნობ შემცირებას გულისხმობს. აღნიშნული კამპანიის დევიზად კი პრეზიდენტ მილერის მიერ განცხადებების ბოლოს დართული ფრაზა – „ფული არ არის“ (ესპ. „No Hay Plata“) გვხვდება.

საგულისხმოა, რომ ორივე კანონპროექტის დაფინანსება სახელმწიფოს მიმდინარე წელს მშპ-ის 0.9%, ხოლო 2026 წელს მშპ-ის 1,68% დაუჯდება.

საინტერესოა, რომ ადგილობრივი არჩევნების მოახლოებასთან ერთად, მილერის პოზიცია, როგორც მოსახლეობაში, ისე საკანონმდებლო ორგანოებში მცირდება. ვეტოს დასაძლევად არგენტინის კონგრესს ხმათა 2/3 ესაჭიროება.

ტრამპმა ვენესუელის პრეზიდენტის დაკავებისთვის ჯილდო \$50 მლნ-მდე გაზარდა

დონალდ ტრამპის ადმინისტრაციამ ვენესუელის პრეზიდენტ ნიკოლას მადუროს დაკავებისთვის ჯილდო გააორმაგა და 50 მილიონ დოლარამდე გაზარდა. ამის შესახებ ინფორმაციას CNN ავრცელებს.

აშშ მადუროს ნარკოტრეფიკინგში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ „კარტელებთან ერთად მუშაობს იმისთვის, რომ ფენტანილით გაყლენთილი კოკაინით წაღეკოს ამერიკა“.

გენერალურმა პროკურორმა პამ ბონდიმ განაცხადა, რომ ტრამპის პირობებში მადურო „სამართალს ვერ გაეცევა“. იუსტიციის დეპარტამენტმა მას 700 მილიონ დოლარზე მეტი აქტივი და ორი კერძო თვითმფრინავი უკვე ჩამოართვა.

აღსანიშნავია, რომ 2020 წელს, ტრამპის პრეზიდენტობის პირველ ვადაში, აშშ-ის ფედერალურმა სასამართლომ მადურო ნარკოტერორიზმისთვის მისცა პასუხისმგებლობა. საერთაშორისო წინააღმდეგობის მიუხედავად, მან 2024 წლის არჩევნებში თავი გამარჯვებულად გამოაცხადა, თუმცა მის ლეგიტიმაციას ბევრი ქვეყანა არ აღიარებს. ვენესუელის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯილდოს გაზრდას „პათეტიკური“ უწოდა.

ივლისში ჩინეთის ექსპორტმა მოსალოდნელზე მაღალი 7%-იანი ზრდა აჩვენა

ივლისში ჩინეთის ექსპორტმა \$321.8 მილიარდი დოლარი შეადგინა, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 7.2%-ით გაზრდილი მაჩვენებელია. ეს შედეგი ჩინეთის ექსპორტის ზრდის 5.4%-იან პროგნოზს მნიშვნელოვნად აჭარბებს. აღსანიშნავია, რომ ზრდა ივნისის მაჩვენებელსაც აჭარბებს, რადგან ექსპორტი ამ პერიოდში 5.8%-ით გაიზარდა.

ჩინურ პროდუქციაზე მოთხოვნის ზრდა ტრამპის სატარიფო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი თარიღის, პირველი აგვისტოს მოახლოებამ განაპირობა. ქვეყნები ახალი ტალღის დაწყებამდე მარაგების მობილიზებას მაქსიმალურად ცდილობდნენ. ამ მხრივ გამორჩეული იყო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია. რაც შეეხება თავად ამერიკის შეერთებულ შტატებს, აშშ-ში ჩინეთის ექსპორტი 22%-მდე შემცირდა.

რაც შეეხება იმპორტს, ივლისში ჩინეთში იმპორტი 4%-მდე გაიზარდა, რაც მიანიშნებს, რომ სატარიფო დაპირისპირებით გამოწვეული ქაოსი ნელ-ნელა ცხრება. აღსანიშნავია, რომ ქვეყანამ დადებითი სავაჭრო სალდო

კიდევ ერთხელ დააფიქსირა და \$98.2 მილიარდი შეადგინა. თუმცა ეს მაჩვენებელი გასულ თვეში \$114.8 მილიარდს უდრიდა. ზოგადად, ივლისის ჯამურმა სავაჭრო ბრუნვამ ჩინეთში \$540 მილიარდი დოლარი შეადგინა.

გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 11.5%-ით გაიზარდა ნავთობის იმპორტი, თუმცა კლება დაფიქსირდა ივნისთან შედარებით, რადგან გასული თვის მიწურულს ქვეყანას ისევ ჰქონდა მორჩენილი დიდი ოდენობით გამოუყენებელი ნავთობი. აღსანიშნავია, რომ ჩინეთში წლიურად რკინის მადნის იმპორტი 1.8%-ით გაიზარდა. საგრძნობი ზრდა დაფიქსირდა ნახშირის შემთხვევაშიც, რადგან წიაღისეულზე მოთხოვნა და, შესაბამისად, ფასებიც მსოფლიო ბაზარზე ბოლო პერიოდში დაეცა.

EU-ს და დიდი ბრიტანეთის შემდეგ რუსულ ნავთობზე საფასო ჭერს კანადაც შეამცირებს

ევროკავშირისა და დიდი ბრიტანეთის მსგავსად, კანადა რუსულ ნავთობზე საფასო ჭერის შემცირებას გეგმავს. მთავრობის განცხადებით, ამით რუსეთის შესაძლებლობას უკრაინაში ომი აწარმოოს შეამცირებენ.

დღეის მდგომარეობით, დიდ შვიდეულს (G7) ურალსზე ფასის ზედა ზღვრად ბარელზე 60 დოლარი აქვს განსაზღვრული და აპირებენ ის 47.60 დოლარამდე შემცირდეს. საფასო ჭერის მექანიზმის, რომელიც რუსეთში წარმოებულ ნავთობზე უკრაინის ომის დაწყებიდან მალევე 2022 წლის დეკემბერში დაწესდა, მიზანია ნავთობისა და გაზის გაყიდვებზე დამოკიდებულ რუსეთს შემოსავლები შეუმცირდეს. თუმცა შემზღუდავი მექანიზმი მიზნად ისახავდა, რომ საფასო ჭერს საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობის გაძვირება არ გამოეწვია.

„კანადა იღვა და გააგრძელებს უკრაინისა და მისი მამაცი ხალხის გვერდში დგომას, რომლებიც იცავენ საკუთარ სუვერენიტეტს რუსეთის უკანონო ინტერვენციის პირობებში. ჩვენ ვაგრძელებთ რუსეთზე ზეწოლას“, – აცხადებს კანადის საგარეო საქმეთა მინისტრი ანიტა ანანდი. კანადას, რომელიც თავად ნავთობის ნეტო ექსპორტიორია, 2022 წლის მარტიდან რუსული ნავთობის პირდაპირი იმპორტი აკრძალული აქვს. დღეის მდგომარეობით, რუსული ურალსი ბირჟაზე საფასო ჭერზე ძვირად, 63 დოლარად იყიდება.

ევროპაში ინფლაცია თითქმის მიზნობრივ დონეზეა და 2%-ს შეადგენს

ევროზონაში ინფლაცია ივლისში 2%-ზე შენარჩუნდა, რაც ევროპის ცენტრალური ბანკის (ECB) მიზნობრივ მაჩვენებელს მეორე თვეა შეესაბამება და ოდნავ აღემატება პროგნოზირებულ 1.9%-ს. TBC Capital-ის „ობლიგაციების ბაზრის“ განახლებული მიმოხილვის მიხედვით, ძირითადი ინფლაცია უცვლელად 2.3%-ზე დარჩა, ხოლო მომსახურების სექტორის ინფლაცია 3.1%-მდე დაეცა – რაც ბოლო სამ წელზე მეტი დროის განმავლობაში დაფიქსირებული მინიმუმია და ადგილობრივი ფასების ზეწოლის შემცირებაზე მიუთითებს. ევროს 10%-იანმა გამყარებამ და ნავთობის ფასის 20%-იანმა ვარდნამ იმპორტის ხარჯი შეამცირა და დეფლაციურ პროცესებს შეუწყობ ხელი.

საინვესტიციო ბანკის შეფასებით, ივლისის მაჩვენებლები ცხადყოფს, რომ ევროზონის ინფლაცია სტაბილურდება, რაც ECB-ს საშუალებას აძლევს, 2%-იანი პოლიტიკის განაკვეთი შეინარჩუნოს. მომსახურების სექტორის ინფლაციის შესუსტება შიდა მოთხოვნის შენელებაზე მიანიშნებს, ხოლო ენერგორესურსების გაიაფება და ევროს გამყარება ამცირებს იმპორტზე დამოკიდებული ფასების ზრდას. პოლიტიკის შემმუშავებლები სავარაუდოდ, აირჩევენ მოლოდინის რეჟიმს და დააკვირდებიან, აგრძელებს თუ არა საქონლისა და ხელფასების ინფლაცია შენელებას. მიუხედავად იმისა, რომ მეორე კვარტალში ეკონომიკური ზრდა ზომიერი იყო, უშუალო საჭიროება საპროცენტო განაკვეთის შემცირებისთვის – არ შეინიშნება.

ევროპის ცენტრალურმა ბანკმა ბოლოს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი ივნისში განაახლა და განაკვეთი 25 პროცენტული პუნქტით 2%-მდე შეამცირა.

დიდი ბრიტანეთის ცენტრალურმა ბანკმა რეფინანსირების განაკვეთი 4%-მდე შეამცირა

დიდი ბრიტანეთის ცენტრალურმა ბანკმა რეფინანსირების განაკვეთი 0.25 პროცენტული პუნქტით, 4%-მდე შეამცირა. ქვეყნის მთავარმა ფინანსურმა ინსტიტუტმა მაჩვენებლის შემცირების გადაწყვეტილება წელს უკვე მეხუთედ მიიღო. აღსანიშნავია, რომ რეფინანსირების განაკვეთი ასეთ დაბალ ნიშნულზე 2023 წლის მარტის შემდეგ არ ყოფილა.

განაკვეთის შემცირების გადაწყვეტილების მიღება მონეტარული პოლიტიკის კომიტეტისთვის ამჯერად მარტივი არ ყოფილა. ბორდის წევრებს შორის აზრთა სხვადასხვაობის გამო კენჭისყრის ჩატარება 2-ჯერ გახდა საჭირო. საბოლოოდ, 9 წევრიდან გადაწყვეტილებას მხარი მხოლოდ 5-მა დაუჭირა.

ცენტრალური ბანკის მიერ განაკვეთის შემცირების მიზანი შენელებული ბრიტანული ეკონომიკის

გამოცოცხლება. ბოლო პერიოდში საკვებ პროდუქტებსა და ენერგორესურსებზე ფასი საგრძნობლად გაიზარდა, რის გამოც ეკონომისტები მოელოან, რომ სექტემბრის თვეში ინფლაციის მაჩვენებელი 4%-ს მიაღწევს. ცენტრალური ბანკი კი ინფლაციას მხოლოდ 2%-ის ფარგლებში ვარაუდობდა.

რუსეთის ბიუჯეტის დეფიციტმა წლიურ სამიზნე ნიშნულს 30%-ით გადააჭარბა

რუსეთის ფინანსთა სამინისტროს ცნობით, რუსეთის ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტი მკვეთრად გაიზარდა და ივლისის ბოლოსთვის 4.9 ტრილიონი რუბლი (61.4 მილიარდი დოლარი) შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ეს კრემლის მიერ განსაზღვრულ სამიზნე ნიშნულს – 3.8 ტრილიონ რუბლს (47.6 მილიარდი დოლარი) – უკვე 30%-ზე მეტით აღემატება.

ბიუჯეტის დეფიციტის მკვეთრი ზრდა კრემლის მიერ ცივი ომის შემდეგ თავდაცვის ხარჯების ყველაზე მაღალ დონემდე გაზრდას უკავშირდება. ეს, თავის მხრივ, რეცესიის რისკს ზრდის.

მხოლოდ გასულ თვეში დეფიციტი 1.2 ტრილიონი რუბლით (15 მილიარდი დოლარი) გაიზარდა, როგორც სამინისტრო აცხადებს, „ძირითადად ნავთობის საშუალო ფასის შემცირების გამო“.

მიმდინარე წლის შვიდი თვის განმავლობაში რუსეთმა უკვე დახარჯა 25.2 ტრილიონი რუბლი (316 მილიარდი დოლარი) წლიური ბიუჯეტიდან, 42.3 ტრილიონი რუბლიდან (530 მილიარდი დოლარი).

აღსანიშნავია, რომ ივლისის თვეში შემოსავლებმა 2.7 ტრილიონი რუბლი (33.8 მილიარდი აშშ დოლარი) შეადგინა, ხოლო ხარჯები 3.9 ტრილიონ რუბლამდე (48.9 მილიარდი აშშ დოლარი) გაიზარდა, რაც ივნისის 3.2 ტრილიონ რუბლს (40.1 მილიარდი აშშ დოლარი) მნიშვნელოვნად აღემატება.

რუსეთის ფინანსთა სამინისტრო ირწმუნება, რომ ხარჯების მაჩვენებელი „გრაფიკის მიხედვით“ იცვლება, თუმცა რეალური სურათი განსხვავებულ წარმოდგენას იძლევა. მაგალითად, ნომინალური შემოსავლები წლიურად მხოლოდ 2.8%-ით გაიზარდა, ხოლო ხარჯები 20.8%-ით. ინფლაციის გათვალისწინებით, რეალურ მაჩვენებლებში შემოსავლები არათუ გაზრდილი, შემცირებულია.

ნავთობისა და გაზის გაყიდვით მიღებული შემოსავლები, რომლებიც ფედერალური შემოსავლების დაახლოებით ერთ მესამედს შეადგენს, 2025 წლის პირველი შვიდი თვის განმავლობაში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 18.5%-ით შემცირდა. კლება წლის პირველ ნახევარში დაფიქსირებული წლიური 16.9%-იანი შემცირების შემდეგ დაჩქარდა.

ფინანსთა სამინისტრომ შემოსავლების კლების მთავარ მიზეზად ნავთობის დაბალი ფასები დაასახელა. ბრენტის ნავთობის ფასები, 8 აგვისტოს მდგომარეობით, ბარელზე 66.40 აშშ დოლარამდე დაეცა, რაც ივნისის შემდეგ ყველაზე დაბალი ყოველკვირეული ვარდნაა.

რუსმა ოპოზიციონერმა პოლიტიკოსმა, ვლადიმირ მილოვმა, ივნისში The Kyiv Independent-ს განუცხადა, რომ კრემლი მზარდი ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარად და ომის დასაფინანსებლად თავის რეზერვებს ამოწურავს.

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ცოტა ხნის წინ რუსეთის ეკონომიკური ვარდნა მშვიდობისკენ სწრაფვის ფაქტორად დაასახელა და თქვა, რომ ნავთობიდან შემოსავლების შემცირებამ შესაძლოა რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი აიძულოს, უკრაინაში ომი დაასრულოს.

აშშ-მ და ევროკავშირმა სავაჭრო შეთანხმებას მიაღწიეს

27 ივლისს აშშ-მ და ევროკავშირმა სავაჭრო შეთანხმებას მიაღწიეს. ამის შესახებ აშშ-ს პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმა ევროკომისიის პრეზიდენტ ურსულა ფონ დერ ლაიენთან გამართული მოლაპარაკების შემდეგ განაცხადა.

ტრამპის თქმით, შეთანხმება ევროკავშირიდან აშშ-ში შემოტანილი პროდუქტების უმეტესობისთვის, მათ შორის ავტომობილებისთვის 15%-იანი ტარიფის დაწესებას ითვალისწინებს.

ურსულა ფონ დერ ლაიენმა, შეთანხმების გამოცხადების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე აღნიშნა, რომ გარკვეული პროდუქცია – როგორცაა თვითმფრინავები და მათი კომპონენტები, ზოგიერთი ქიმიური ნივთიერება და ფარმაცევტული საშუალებები – ტარიფებს არ დაექვემდებარება.

მან ასევე განაცხადა, რომ ახალი 15%-იანი ტარიფი უკვე მოქმედ ტარიფებს არ დაემატება.

გამოცემა CNBC აღნიშნავს, რომ 15%-იანი ტარიფი დაბალია იმ 30%-იან მაჩვენებელზე, რითაც ტრამპი აშშ-ს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორს ემუქრებოდა, თუმცა მაინც აღემატება იმ 10%-იან საბაზისო ტარიფს, რომელსაც ევროკავშირი მოელოდა.

ტრამპის განცხადებით, 27-ნევრიანი ბლოკი აშშ-სგან 750 მილიარდი დოლარის ღირებულების ენერგორესურსების შექენასა და აშშ-ში დამატებითი 600 მილიარდი დოლარის ინვესტიციის განხორციელებას დათანხმდა.

მისივე თქმით, ბლოკი ასევე „ასობით მილიარდი დოლარის ღირებულების სამხედრო ტექნიკის შექენას გეგმავს“, თუმცა კონკრეტული თანხა არ დაუსახელებია.

უცხოური ვალუტის კურსები

ივლისის თვის ევროს საშუალო კურსი: **1 EURO=3.1756** ლარი

ვალუტა	ივლისი, 2025 წელი														
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
1 ბულგარული ლევი	1.6315	1.6439	1.6375	1.6404	1.6371	1.6371	1.6371	1.6301	1.6298	1.6265	1.6298	1.6233	1.6233	1.6233	1.6224
10 დანიური კრონი	4.2769	4.3098	4.2927	4.3007	4.2915	4.2915	4.2915	4.2722	4.2723	4.2627	4.2720	4.2558	4.2558	4.2558	4.2529
1 ევრო	3.1910	3.2155	3.2029	3.2090	3.2020	3.2020	3.2020	3.1871	3.1875	3.1805	3.1875	3.1753	3.1753	3.1753	3.1737
1 დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	3.7287	3.7502	3.7284	3.7162	3.7110	3.7110	3.7110	3.6959	3.6909	3.6913	3.6965	3.6772	3.6772	3.6772	3.6619
100 ისლანდიური კრონი	2.2439	2.2611	2.2397	2.2535	2.2485	2.2485	2.2485	2.2383	2.2353	2.2147	2.2257	2.2299	2.2299	2.2299	2.2286
100 სერბიული დინარი	2.7229	2.7447	2.7334	2.7380	2.7322	2.7322	2.7322	2.7204	2.7201	2.7141	2.7200	2.7108	2.7108	2.7108	2.7090
10 ნორვეგიული კრონი	2.6951	2.7177	2.6958	2.7021	2.6990	2.6990	2.6990	2.6793	2.6960	2.6896	2.7019	2.6882	2.6882	2.6882	2.6859
10 პოლონური ზლოტი	7.5240	7.5804	7.5323	7.5443	7.5403	7.5403	7.5403	7.5033	7.5100	7.4976	7.5054	7.4638	7.4638	7.4638	7.4518
10 რუმინული ლეი	6.2851	6.3347	6.3220	6.3424	6.3278	6.3278	6.3278	6.2927	6.2896	6.2640	6.2776	6.2523	6.2523	6.2523	6.2473
100 უნგრული ფორინტი	0.7986	0.8055	0.8031	0.8035	0.8035	0.8035	0.8035	0.7981	0.7977	0.7942	0.7993	0.7949	0.7949	0.7949	0.7931
10 შვედური კრონი	2.8644	2.8883	2.8601	2.8526	2.8447	2.8447	2.8447	2.8544	2.8565	2.8503	2.8606	2.8498	2.8498	2.8498	2.8288
1 შვეიცარიული ფრანკი	3.4158	3.4519	3.4330	3.4328	3.4254	3.4254	3.4254	3.4082	3.4087	3.4127	3.4198	3.4121	3.4121	3.4121	3.4081
10 ჩეხური კრონა	1.2895	1.3020	1.2997	1.3018	1.2992	1.2992	1.2992	1.2951	1.2932	1.2911	1.2939	1.2877	1.2877	1.2877	1.2866
1 აშშ დოლარი	2.7227	2.7215	2.7203	2.7195	2.7191	2.7191	2.7191	2.7180	2.7181	2.7172	2.7174	2.7160	2.7160	2.7160	2.7149
1 კანადური დოლარი	1.9909	2.0011	1.9939	2.0015	2.0001	2.0001	2.0001	1.9887	1.9908	1.9847	1.9868	1.9838	1.9838	1.9838	1.9853
1 ავსტრალიური დოლარი	1.7768	1.7932	1.7872	1.7883	1.7824	1.7824	1.7824	1.7659	1.7779	1.7730	1.7837	1.7890	1.7890	1.7890	1.7829
10 ეგვიპტური გირვანქა	0.5488	0.5503	0.5512	0.5511	0.5510	0.5510	0.5510	0.5476	0.5471	0.5478	0.5487	0.5486	0.5486	0.5486	0.5489
1 თურქული ლირა	0.0684	0.0683	0.0683	0.0682	0.0683	0.0683	0.0683	0.0680	0.0679	0.0678	0.0678	0.0676	0.0676	0.0676	0.0675
100 იაპონური იენი	1.8880	1.9043	1.8901	1.8913	1.8834	1.8834	1.8834	1.8687	1.8571	1.8530	1.8598	1.8501	1.8501	1.8501	1.8437
10 არაბეთის გაერთიანებული სამედიცინო დირჰამი	7.4138	7.4095	7.4062	7.4038	7.4027	7.4027	7.4027	7.3997	7.4002	7.3978	7.3983	7.3945	7.3945	7.3945	7.3915
10000 ირანული რიალი	0.6483	0.6480	0.6477	0.6475	0.6474	0.6474	0.6474	0.6471	0.6472	0.6470	0.6470	0.6467	0.6467	0.6467	0.6464
10 ისრაელის შეკელი	8.0795	8.0711	8.0628	8.0938	8.1352	8.1352	8.1352	8.1463	8.1009	8.1649	8.2109	8.1449	8.1449	8.1449	8.0659
1 სინგაპურული დოლარი	2.1358	2.1421	2.1364	2.1363	2.1346	2.1346	2.1346	2.1254	2.1258	2.1213	2.1251	2.1229	2.1229	2.1229	2.1199
1 ქუვეითური დინარი	8.9035	8.9200	8.9132	8.9135	8.9063	8.9063	8.9063	8.8998	8.8972	8.8943	8.8949	8.8874	8.8874	8.8874	8.8867
10 ჩინური იუანი	3.8005	3.8001	3.7950	3.7979	3.7964	3.7964	3.7964	3.7885	3.7878	3.7842	3.7877	3.7891	3.7891	3.7891	3.7878
10 ჰონკონგური დოლარი	3.4684	3.4669	3.4654	3.4643	3.4640	3.4640	3.4640	3.4625	3.4625	3.4614	3.4617	3.4599	3.4599	3.4599	3.4585
100 ინდური რუპია	3.1746	3.1819	3.1739	3.1875	3.1842	3.1842	3.1842	3.1655	3.1716	3.1712	3.1727	3.1655	3.1655	3.1655	3.1574
1 ახალზელანდიური დოლარი	1.6494	1.6653	1.6531	1.6516	1.6483	1.6483	1.6483	1.6300	1.6344	1.6284	1.6370	1.6353	1.6353	1.6353	1.6265
100 რუსული რუბლი	3.4642	3.4658	3.4550	3.4546	3.4463	3.4463	3.4463	3.4624	3.4792	3.4765	3.4975	3.4793	3.4793	3.4793	3.4690
1 აზერბაიჯანული მანათი	1.6010	1.6003	1.5996	1.5991	1.5989	1.5989	1.5989	1.5984	1.5985	1.5978	1.5979	1.5973	1.5973	1.5973	1.5970
1 ბელარუსული რუბლი	0.9179	0.9176	0.9181	0.9178	0.9177	0.9177	0.9177	0.9164	0.9153	0.9189	0.9204	0.9253	0.9253	0.9253	0.9265
10 თურქმენული მანათი	7.7791	7.7757	7.7723	7.7700	7.7689	7.7689	7.7689	7.7657	7.7660	7.7634	7.7640	7.7600	7.7600	7.7600	7.7569
10 მოლდოვეური ლეი	1.6096	1.6161	1.6168	1.6144	1.6137	1.6137	1.6137	1.6107	1.6083	1.6050	1.6047	1.6019	1.6019	1.6019	1.6020
1000 სომხური დრამი	7.0830	7.0869	7.0837	7.0765	7.0821	7.0821	7.0821	7.0735	7.0738	7.0755	7.0742	7.0637	7.0637	7.0637	7.0682
10 ტაჯიკური სომონი	2.7537	2.7541	2.7582	2.7630	2.7654	2.7654	2.7654	2.6128	2.6129	2.7889	2.7717	2.6109	2.6109	2.6109	2.7493
1000 უზბეკური სუმი	0.2145	0.2147	0.2160	0.2166	0.2157	0.2157	0.2157	0.2144	0.2138	0.2144	0.2151	0.2153	0.2153	0.2153	0.2135
10 უკრაინული გრივნა	0.6516	0.6506	0.6502	0.6512	0.6514	0.6514	0.6514	0.6495	0.6499	0.6505	0.6493	0.6499	0.6499	0.6499	0.6485
100 ყაზახური ტენგე	0.5233	0.5243	0.5243	0.5240	0.5234	0.5234	0.5234	0.5232	0.5232	0.5239	0.5238	0.5199	0.5199	0.5199	0.5171
100 ყირგიზული სომი	3.1208	3.1182	3.1187	3.1142	3.1138	3.1138	3.1138	3.1125	3.1296	3.1118	3.1120	3.1272	3.1272	3.1272	3.1050
10 სამხრეთ აფრიკული რანდი	1.5332	1.5475	1.5403	1.5526	1.5460	1.5460	1.5460	1.5312	1.5287	1.5231	1.5320	1.5229	1.5229	1.5229	1.5207
1 ზრახილიური რიალი	0.4962	0.5010	0.4983	0.5013	0.5027	0.5027	0.5027	0.5014	0.4954	0.4987	0.4876	0.4910	0.4910	0.4910	0.4883
10 კატარული რიალი	7.4699	7.4664	7.4631	7.4609	7.4602	7.4602	7.4602	7.4568	7.4571	7.4552	7.4541	7.4513	7.4513	7.4513	7.4487
1000 სამხრეთ კორეული ვონი	2.0115	2.0115	2.0021	1.9976	1.9950	1.9950	1.9950	1.9850	1.9829	1.9742	1.9817	1.9764	1.9764	1.9764	1.9662

უცხოური ვალუტის კურსები

ივლისის თვის აშშ დოლარის საშუალო კურსი: **1 USD=2.7141** ლარი.

ვალუტა	ივლისი, 2025 წელი															
	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31
1 ბულგარული ლევი	1.6210	1.6113	1.6068	1.6140	1.6140	1.6140	1.6136	1.6217	1.6256	1.6276	1.6253	1.6253	1.6253	1.6155	1.6025	1.5974
10 დანიური კრონი	4.2475	4.2226	4.2108	4.2295	4.2295	4.2295	4.2285	4.2496	4.2601	4.2636	4.2578	4.2578	4.2578	4.2316	4.2001	4.1853
1 ევრო	3.1703	3.1511	3.1425	3.1568	3.1568	3.1568	3.1565	3.1725	3.1799	3.1825	3.1783	3.1783	3.1783	3.1583	3.1344	3.1230
1 დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	3.6517	3.6350	3.6337	3.6460	3.6460	3.6460	3.6478	3.6552	3.6702	3.6677	3.6450	3.6450	3.6450	3.6327	3.6168	3.6172
100 ისლანდიური კრონი	2.2263	2.2128	2.2161	2.2232	2.2232	2.2232	2.2166	2.2278	2.2330	2.2410	2.2350	2.2350	2.2350	2.2211	2.2040	2.1963
100 სერბიული დინარი	2.7065	2.6897	2.6822	2.6947	2.6947	2.6947	2.6940	2.7073	2.7134	2.7158	2.7121	2.7121	2.7121	2.6953	2.6752	2.6656
10 ნორვეგიული კრონი	2.6705	2.6343	2.6277	2.6564	2.6564	2.6564	2.6589	2.6657	2.6908	2.6799	2.6668	2.6668	2.6668	2.6579	2.6534	2.6518
10 პოლონური ზლოტი	7.4516	7.4035	7.3865	7.4328	7.4328	7.4328	7.4415	7.4533	7.4726	7.4790	7.4685	7.4685	7.4685	7.4182	7.3273	7.3176
10 რუმინული ლეი	6.2411	6.2131	6.1937	6.2220	6.2220	6.2220	6.2239	6.2567	6.2734	6.2758	6.2672	6.2672	6.2672	6.2293	6.1732	6.1523
100 უნგრული ფორინტი	0.7917	0.7878	0.7875	0.7909	0.7909	0.7909	0.7913	0.7942	0.7968	0.8001	0.8011	0.8011	0.8011	0.7941	0.7841	0.7835
10 შვედური კრონი	2.8151	2.7824	2.7799	2.8044	2.8044	2.8044	2.8142	2.8287	2.8537	2.8417	2.8424	2.8424	2.8424	2.8278	2.8111	2.8050
1 შვეიცარიული ფრანკი	3.4084	3.3837	3.3720	3.3817	3.3817	3.3817	3.3874	3.4010	3.4196	3.4081	3.4019	3.4019	3.4019	3.3823	3.3648	3.3586
10 ჩეხური კრონა	1.2852	1.2787	1.2752	1.2820	1.2820	1.2820	1.2821	1.2880	1.2917	1.2957	1.2948	1.2948	1.2948	1.2834	1.2730	1.2710
1 აშშ დოლარი	2.7138	2.7127	2.7121	2.7118	2.7118	2.7118	2.7113	2.7106	2.7100	2.7094	2.7086	2.7086	2.7086	2.7075	2.7070	2.7067
1 კანადური დოლარი	1.9830	1.9772	1.9714	1.9761	1.9761	1.9761	1.9757	1.9816	1.9953	1.9894	1.9804	1.9804	1.9804	1.9728	1.9682	1.9632
1 ავსტრალიული დოლარი	1.7824	1.7695	1.7536	1.7684	1.7684	1.7684	1.7656	1.7657	1.7867	1.7901	1.7774	1.7774	1.7774	1.7688	1.7633	1.7577
10 ეგვიპტური გირვანქა	0.5491	0.5489	0.5488	0.5488	0.5488	0.5488	0.5506	0.5525	0.5522	0.5520	0.5521	0.5521	0.5521	0.5552	0.5563	0.5556
1 თურქული ლირა	0.0675	0.0674	0.0673	0.0672	0.0672	0.0672	0.0671	0.0671	0.0670	0.0669	0.0668	0.0668	0.0668	0.0668	0.0667	0.0667
100 იაპონური იენი	1.8368	1.8246	1.8244	1.8253	1.8253	1.8253	1.8343	1.8377	1.8507	1.8483	1.8326	1.8326	1.8326	1.8251	1.8228	1.8264
10 არაბეთის გაერთიანებული სამეფოს დირჰამი	7.3885	7.3855	7.3839	7.3831	7.3831	7.3831	7.3817	7.3798	7.3782	7.3765	7.3744	7.3744	7.3744	7.3714	7.3700	7.3692
10000 ირანული რიალი	0.6461	0.6459	0.6457	0.6457	0.6457	0.6457	0.6455	0.6454	0.6452	0.6451	0.6449	0.6449	0.6449	0.6446	0.6445	0.6445
10 ისრაელის შეკელი	8.1225	8.0824	8.0804	8.0889	8.0889	8.0889	8.0814	8.0790	8.1376	8.1081	8.0596	8.0596	8.0596	8.0773	8.0503	8.0394
1 სინგაპურული დოლარი	2.1183	2.1114	2.1086	2.1128	2.1128	2.1128	2.1137	2.1152	2.1222	2.1209	2.1144	2.1144	2.1144	2.1083	2.1032	2.0997
1 ქუვეითური დინარი	8.8831	8.8708	8.8718	8.8708	8.8708	8.8708	8.8750	8.8756	8.8823	8.8804	8.8719	8.8719	8.8719	8.8683	8.8609	8.8599
10 ჩინური იუანი	3.7830	3.7786	3.7772	3.7782	3.7782	3.7782	3.7783	3.7778	3.7845	3.7858	3.7788	3.7788	3.7788	3.7739	3.7725	3.7693
10 ჰონკონგური დოლარი	3.4571	3.4557	3.4555	3.4553	3.4553	3.4553	3.4539	3.4530	3.4522	3.4515	3.4508	3.4508	3.4508	3.4491	3.4484	3.4480
100 ინდური რუპია	3.1623	3.1564	3.1508	3.1474	3.1474	3.1474	3.1417	3.1384	3.1359	3.1356	3.1307	3.1307	3.1307	3.1241	3.1180	3.0959
1 ახალზელანდიური დოლარი	1.6283	1.6122	1.6050	1.6189	1.6189	1.6189	1.6162	1.6131	1.6379	1.6378	1.6279	1.6279	1.6279	1.6199	1.6131	1.6102
100 რუსული რუბლი	3.4710	3.4719	3.4672	3.4534	3.4534	3.4534	3.4660	3.4603	3.4511	3.4068	3.4210	3.4210	3.4210	3.3787	3.3058	3.3103
1 აზერბაიჯანული მანათი	1.5958	1.5957	1.5948	1.5946	1.5946	1.5946	1.5943	1.5941	1.5936	1.5932	1.5927	1.5927	1.5927	1.5921	1.5918	1.5916
1 ბელარუსული რუბლი	0.9223	0.9244	0.9238	0.9235	0.9235	0.9235	0.9238	0.9253	0.9284	0.9258	0.9201	0.9201	0.9201	0.9186	0.9161	0.8963
10 თურქმენული მანათი	7.7537	7.7506	7.7489	7.7480	7.7480	7.7480	7.7466	7.7446	7.7429	7.7411	7.7389	7.7389	7.7389	7.7357	7.7343	7.7334
10 მოლდოვური ლეი	1.6027	1.5971	1.5958	1.5960	1.5960	1.5960	1.5930	1.5971	1.6019	1.6084	1.6081	1.6081	1.6081	1.6058	1.5938	1.5877
1000 სომხური დრამი	7.0727	7.0698	7.0683	7.0675	7.0675	7.0675	7.0634	7.0533	7.0584	7.0585	7.0536	7.0536	7.0536	7.0473	7.0495	7.0474
10 ტაჯიკური სომონი	2.8023	2.7933	2.8035	2.7924	2.7924	2.7924	2.8210	2.8041	2.8273	2.8051	2.8042	2.8042	2.8042	2.6206	2.8026	2.8023
1000 უზბეკური სუმი	0.2134	0.2126	0.2135	0.2152	0.2152	0.2152	0.2153	0.2134	0.2131	0.2137	0.2153	0.2153	0.2153	0.2161	0.2166	0.2150
10 უკრაინული გრივნა	0.6488	0.6485	0.6474	0.6493	0.6493	0.6493	0.6478	0.6489	0.6483	0.6479	0.6479	0.6479	0.6479	0.6475	0.6475	0.6482
100 ყაზახური ტენგე	0.5160	0.5144	0.5075	0.5089	0.5089	0.5089	0.5116	0.5076	0.5035	0.4987	0.4968	0.4968	0.4968	0.4981	0.4982	0.4981
100 ყირგიზული სომი	3.1087	3.1100	3.1069	3.1090	3.1090	3.1090	3.1057	3.1076	3.1042	3.1062	3.1053	3.1053	3.1053	3.1183	3.1178	3.1031
10 სამხრეთ აფრიკული რანდი	1.5248	1.5140	1.5155	1.5325	1.5325	1.5325	1.5295	1.5394	1.5450	1.5387	1.5267	1.5267	1.5267	1.5171	1.5090	1.5153
1 ბრაზილიური რიალი	0.4856	0.4882	0.4871	0.4890	0.4890	0.4890	0.4859	0.4869	0.4870	0.4908	0.4906	0.4906	0.4906	0.4866	0.4844	0.4855
10 კატარული რიალი	7.4455	7.4422	7.4402	7.4394	7.4394	7.4394	7.4378	7.4363	7.4342	7.4326	7.4304	7.4304	7.4304	7.4282	7.4262	7.4256
1000 სამხრეთ კორეული ვონი	1.9687	1.9526	1.9481	1.9499	1.9499	1.9499	1.9541	1.9551	1.9693	1.9760	1.9605	1.9605	1.9605	1.9536	1.9455	1.9570